F-133
1961

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5 1961 წ.

F-2484

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

77. სახელმწიფოს მოტყუების ფაქტების თავიდან აცილებისა და გეგმების და ვალდებულებათა შესრულების ანგარიშების სინამდვილისადმი კონტროლის გაძლიერების ზომების შესახებ.

78. საკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 12 სექტემბრის № 997 და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 5 სექტემბრის № 956 დადგენილებებთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

79. საქართველოს სსრ საქალაქო ტრანსპორტის მუშაკთა ხელფასის მოწესრიგების შესახებ.

80. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 1 ნოემბრის № 1535 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

81. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 6 ივლისის № 590 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ.

82. საწარმოებში სასწავლო საამქროების, მალებისა და უბნების მოწყობის წესების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ... ეროვნული ... ბიბლიოთეკა

83. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 5 ივნისის № 428 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებების გაუქმების შესახებ.
84. სამრეწველო მავნე ნაყარებისაგან ატმოსფერული ჰაერის გაბინძურების ლიკვიდაციისა და თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ.
85. უცხო ენების სწავლების გაუმჯობესების შესახებ.
86. „სახელმწიფოსათვის მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის მიყიდვის გეგმის შესრულებისა და გადაჭარბებით შესრულებისათვის კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოების დაჯილდოების შესახებ“ დებულების დამტკიცების შესახებ.
87. საბჭოთა მეურნეობების კუთვნილ სახლებში საცხოვრებელი ფართობის გამოყენების მოწესრიგების შესახებ.
88. ფასების შექმნის დარგში მუშაობის მოწესრიგების შესახებ.
89. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.
90. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან თევზის მრეწველობის ფლოტის ზღვაოსნობის უსაშიშრობისა და სანავსადგურო ზედამხედველობის ინსპექციის მოწყობის საკითხი.
91. ქ. ჭიათურის, ლანჩხუთის, გეგეჭკორისა და ლაგოდეხის რაიონების ადგილობრივ საბჭოებში შესულ მშრომელთა განცხადებებისა და წერილების, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სესიებსა და კოლმეურნეთა საერთო კრებებზე გამოსულთა კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების განხილვის მდგომარეობის შესახებ.
92. მგლების განადგურებისათვის დამატებითი წამახალისებელი ჯილდოს გაცემის პირობებში ცვლილებების შეტანის შესახებ.
93. კავშირგაბმულობის საწარმოებში რადიომიმღებებისა და ტელევიზორების რეგისტრაციისა და მათი სარგებლობისათვის სააბონენტო გადასახდელის გადახდევინების გაუქმების შესახებ.
94. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 2 სექტემბრის № 81 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ.
95. ინვალიდებისათვის საპროთეზო-ორთოპედიული დახმარების გაუმჯობესების ზომების შესახებ.
96. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.
97. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 26 აგვისტოს № 777 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ.
98. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 12 სექტემბრის № 834 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ.
99. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორთა კადრებით უზრუნველყოფის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

100. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიის (საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის) დებულებისა და ამ კომისიის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ.

101. საკოლმეურნეო ბაზრებში ციტრუსოვანთა ნაყოფის გაყიდვის აკრძალვის შესახებ.

102. კოლექტიურ ბაღ-ვენახებად გამოყოფილი მიწის ნაკვეთების მუშა-მოსამსახურეთა ინდივიდუალური სარგებლობისათვის მიმაგრების გაუქმების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

77 სახელმწიფოს მოტყუების ფაქტების თავიდან აცილებისა და გეგმების და ვალდებულებათა შესრულების ანგარიშების სინამდვილისადმი კონტროლის გაძლიერების ზომების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ დროს გამოვლინებულია კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დამამზადებელი, სამრეწველო, სამშენებლო და სავაჭრო ორგანიზაციების, მომარაგების ორგანოებისა და რესპუბლიკის სხვა საწარმოების ცალკეულ ხელმძღვანელთა ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების ფაქტები, რაც გამოიხატება სახელმწიფო ანგარიშგებაში წამატებებით, სიყალბის ჩადენითა და სხვა დამახინჯებებით.

ლენტეხის, წალენჯიხის, ლაგოდეხის, მაიაკოვსკის, ახმეტის, ჩოხატაურისა და სხვა რაიონების ბევრ კოლმეურნეობაში რძის საშუალო წველადობის ხელოვნურად გადიდების მიზნით, 1960 წელს დაშვებული იყო რძის წარმოებაში წამატებები, ხბოების გამოსაკვებად მისი არასწორად მიკუთვნების ხარჯზე.

რძის ანგარიშგებაში წამატების ფაქტებს ადგილი ჰქონდა 1961 წელსაც ლაგოდეხის, ბოლნისის, გურჯაანის, საგარეჯოს, ცაგერის, წულუკიძის, მაიაკოვსკის, წალკის რაიონების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ცალკეულ კოლმეურნეობებში.

შემოწმებით დადასტურდა, რომ გორის რაიონის სოფ. მეჯვრისხევის კოლმეურნეობაში 1961 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე მაწოვარი ხბოების გამოსაკვებად ჩამოწერილია საანგარიშსწორებო მონაცემებით, 35 ათასი ლიტრი რძე, ანუ საერთო წარმოების 22 პროცენტი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ჯავის რაიონის სოფ. გუფტის კოლმეურნეობაში — 10.360 ლიტრი, ანუ საერთო წარმოების 50 პროცენტი. სულ ჯავის რაიონის 15 კოლმეურნეობაში 1961 წლის 5 თვეში ამ გზით წამატებულია 168 ათას ლიტრზე მეტი რძე.

ბორჯომის, თელავის, დუშეთის, ზნაურის, ზესტაფონის, ჭიათურის, ონისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობები რძის საშუალო წველადობის გადიდების მიზნით აფორმებდნენ ყალბ დოკუმენტებს ძროხების გასასუქებლად დაკენების შესახებ.

თიანეთის რაიონის სოფ. ჩეკურაანთგორის კოლმეურნეობამ აჩვენა 1960 წლისათვის 1.200 ტონა სილოსის ჩადება ნაცვლად ფაქტიურად ჩადებული 225 ტონისა.

ამასთან ერთად, ზოგიერთ კოლმეურნეობაში გამოვლინებულია ფაქტები, როდესაც გეგმის შესრულებაში ნაჩვენებია კოლმეურნეთა მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, გაფორმებულია საქონლის შესყიდვის უსაქონლო ქვითრები, საბჭოთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმის შესრულებაში შეტანილია პირუტყვის გასასუქებლად გამოყენებული ბოსტნეული და სხვ.

ყვარლის, ცაგერისა და საგარეჯოს რაიონების ზოგიერთმა კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიყიდა არა თავისი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, არამედ ისეთი პროდუქტები, რომლებიც შეძენილია ბაზარში და სავაჭრო ქსელშიც კი.

არის ფაქტები, როდესაც საექსპლუატაციოდ გადაცემულია ისეთი საცხოვრებელი სახლები, რომლებიც გაუფორმებელია ჩაბარების აქტებით. ან გადაცემულია ისეთი აქტებით, რომლებიც არ არის დამტკიცებული მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების გადაწყვეტილებებით.

ანგარიშგებაში წამატებები აღმოჩენილია აგრეთვე სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოების წარმოების სრულიად საკავშირო ტრესტის კამოს სახელობის სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოების ქარხანაში.

აღნიშნული ხელმძღვანელები იმისათვის, რომ დაეფარათ უმოქმედობა და პარტიისა და ხალხისათვის დაემალათ თავისი არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგები, კარიერისტული მიზნებით ალამაზებდნენ გეგმებისა და ვალდებულებათა შესრულების ნამდვილ მდგომარეობას, დაადგნენ სახელმწიფოს მოტყუების დანაშაულებრივ გზას, მიმართავდნენ წამატებებსა და თვალისახვევას.

სახელმწიფოს მოტყუების სამარცხვინო მოვლენები იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანო არ ეწეოდა სათანადო ბრძოლას ამ მოვლენების წინააღმდეგ, ვერ უზრუნველყო მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა თვითკრიტიკისა და კრიტიკის გაშლა და არ აძლევდა მათ მწვავე პოლიტიკურ შეფასებას, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ცალკეული ხელმძღვანელები არა თუ არ ეხმარებოდნენ საზოგადოებრიობის კრიტიკულ სიგნალებს, ახშობდნენ რა ამით კრიტიკას, არამედ თვითონაც დაადგნენ სახელმწიფოს მო-

ტყუების გზას და ამასვე აიძულებდნენ სამეურნეო, დამამზადებელი ორგანიზაციებისა და სტატისტიკური ორგანოების მუშაკებს.

წამატებების, სტატისტიკური ორგანოებისათვის ანგარიშების არა თავის დროზე წარდგენისა და ანგარიშგებაში სხვა დამახინჯებათა არსებული ფაქტები მეტწილად იმითაც აიხსნება, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოს დარგობრივი სამმართველოებისა და ტრესტების, სამინისტროებისა და უწყებების, სხვა სამეურნეო ორგანიზაციების, საფინანსო ორგანოების ცალკეულმა ხელმძღვანელებმა მნიშვნელოვნად შეასუსტეს მუშაობა საანგარიშო დისციპლინის განმტკიცებისათვის საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებში; საანგარიშო მონაცემების სინამდვილის უზრუნველსაყოფად არ ამოწმებდნენ აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობას, არ უზრუნველყოფდნენ მათი საქმიანობის რევიზიას და სათანადოდ არ ეხმაურებოდნენ სიგნალებს თვალის ახვევისა და ანგარიშებში წამატებათა შესახებ, რასაც საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკები მიმართავდნენ.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო და ადგილობრივი სტატისტიკური ორგანოები არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ და უხეშ შეცდომებს უშვებდნენ მათ მიერ მიღებული საანგარიშო მონაცემების სინამდვილის შემოწმების დროს, არ ამჟღავნებდნენ, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში ჩქმალავდნენ წამატებათა და თვალისახვევის ფაქტებს, არ იღებდნენ ეფექტიან ზომებს ასეთი ანტისახელმწიფოებრივი მოქმედების აღსაკვეთად და იმ პირთა სასტიკ პასუხისგებაში მისაცემად, რომლებიც დამნაშავენი არიან სახელმწიფოს მოტყუებაში.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მოტყუების ფაქტები წარმოადგენენ კანონიერების უაღრესად უხეშ დარღვევას და დანაშაულებრივ ხასიათს ატარებენ, პროკურატურის ორგანოები არ იღებდნენ მათ წინააღმდეგ საჭირო ზომებს.

ზოგიერთმა პარტიულმა, საბჭოთა და პროფკავშირულმა ორგანოებმა, აგრეთვე სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებმა მნიშვნელოვნად შეასუსტეს ყურადღება საბუღალტრო აღრიცხვის საკითხებისადმი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ საზოგადოებრივ მეურნეობაში. მთელ რიგ საწარმოებში, ვნელოვნად შეასუსტეს ყურადღება საბუღალტრო აღრიცხვის საკიბებში, სავაჭრო და დამამზადებელ ორგანიზაციებში სამეურნეო საქმიანობის აღრიცხვა ჩამორჩენილი აღმოჩნდა, რაც ქმნიდა პი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობებს წამატებებისა და სახელმწიფოს მოტყუებისათვის. ბევრ შემთხვევაში უგულებელყოფილია მთავარი (უფროსი) ბუღალტრების როლი მათ მიერ სახელმწიფო კონტროლიორთა ფუნქციების განხორციელებაში.

საწარმოებსა და ორგანიზაციებში სუსტად ხორციელდება საზოგადოებრივი კონტროლი გეგმებისა და ვალდებულებათა შესრულებისადმი, სტატისტიკურ ორგანოებში წარსადგენი ანგარიშგების სისწორისადმი.

ბევრი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანო ვერ აფასებს იმ საფრთხეს, რასაც თვალისახვევა და წამატებანი წარმოადგენენ, ვერ ხედავს, რომ ეს ბოროტება დიდ ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობას, გამხრწნელად მოქმედებს კადრებზე, ამცირებს მათ პასუხისმგებლობას დავალებული საქმისათვის.

„სახელმწიფოს მოტყუების ფაქტების თავიდან აცილებისა და გეგმების და ვალდებულებათა შესრულების ანგარიშების სინამდვილისადმი კონტროლის გაძლიერების ზომების შესახებ" საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 19 მაისის № 440 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, სახალხო მეურნეობის საბჭოს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს:

ა) მიიღონ გადამწყვეტი ზომები ანგარიშგებაში წამატებათა და სხვა დამახინჯებათა ფაქტების აღმოსაფხვრელად, განიხილონ ეს მოქმედება როგორც დანაშაული პარტიისა და ხალხის წინაშე. აღნიშნულ დანაშაულებათა ჩამდენი პირები და ისინი, ვინც სხვებს აიძულებენ ამის ჩადენას, მოხსნან თანამდებობიდან, მისცენ სასტიკ პარტიულ და სახელმწიფოებრივ პასუხისგებაში თვით პარტიიდან გარიცხვამდე და სამართალში მიცემამდეც კი.

უზრუნველყონ მწვავე კრიტიკა და თვითკრიტიკა მუშაობაში, გააძლიერონ ბრძოლა თვითკრიტიკის ჩახშობის ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ და ამით შექმნან შეუწყნარებლობის ვითარება იმ პირთა მიმართ, რომლებიც სახელმწიფოს ატყუებენ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მიიღონ საჭირო ზომები კონტროლის გასაძლიერებლად აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობისადმი კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში, მშენებლობებზე, მომმარაგებელ, დამამზადებელ, სავაჭრო და სხვა ორგანიზაციებში; უზრუნველყონ სახელმწიფოებრივი დისციპლინის დაცვა და საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის გაძლიერება სახელმწიფო ანგარიშების დროულად წარდგენისა და მისი მონაცემების სინამდვილისათვის;

გ) სისტემატურად მოისმინონ მოხსენებანი ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო მეურნეობაში აღრიცხვისა და ანგარიშგების მდგომარეობისა და იმისათვის მიღებული ზომების შესახებ, რომ უზრუნველყოფილ იქნას საანგარიშო მონაცემების სინამდვილე და დროზე წარედგინოს ისინი სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებს;

დ) გააუმჯობესონ საბუღალტრო აღრიცხვის დაყენება საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დამამზადებელ და სხვა ორგანიზაციებში, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ ანგარიშგება უნდა დგებოდეს სარწმუნო პირველადი დოკუმენტებისა და სათანადო საბუღალტრო ჩანაწერების საფუძველზე. დაწესდეს, რომ ანგარიშს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების მიხედვით გეგმის შესრულების შესახებ ხელს აწერენ ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან ერთად მთავარი (უფროსი) ბუღალტრები, რომლებიც აგრეთვე პასუხისმგებელი არიან წარდგენილი ცნობების სისწორისათვის. ასეთი ანგარიშების ნუსხას დააწესებს სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო;

ე) გააძლიერონ სარევიზიო მუშაობა საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და ორგანიზაციებში, გულმოდგინედ შეამოწმონ საანგარიშო მონაცემების სინამდვილე;

ვ) უზრუნველყონ სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული და საქალაქო ინსპექტურები სათანადო სადგომებით, საჭირო ინვენტარითა და კავშირის საშუალებებით. არ დაუშვან სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული და საქალაქო ინსპექტურების მუშაკთა მოცდენა ისეთი სამუშაოებისათვის, რაც არ არის დაკავშირებული აღრიცხვასა და ანგარიშგებასთან;

ზ) საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით მოაწყონ რაიაღმასკომებთან კოლმეურნეობათა ბუღალტრებისა და მოანგარიშეების მუდმივმოქმედი სემინარები სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების ხელმძღვანელობით.

2. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს გააუმჯობესონ მუშაობა კადრების შერჩევისა, განაწილებისა და იდეური გამოწრთობისათვის, გადაჭრით აღკვეთონ ყოველგვარი ცდა მუშაკთა დაწინაურებისა არა საქმიანი და პოლიტიკური თვისებებით, არამედ თვისტომობის, პირადი ერთგულებისა და ძმაბიჭური განწყობილების პრინციპის მიხედვით. მუდმივ ზარდონ კადრები. პატიოსნებისა და სიმართლის, პარტიული პრინციპულობის, პარტიისა და ხალხის წინაშე დიდი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

ფართოდ გაშალონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, შექმნან იმათ მიმართ შეურიგებლობის ატმოსფერო, ვინც ჩქმალავს, მალავს ნაკლოვანებებს, სცვლის ორგანიზატორულ მუშაობას საქმის მოჩვენებითი მხარით, პარადულობითა და ხმაურით.

სათანადო წესრიგი დაამყარონ მშრომელთა წერილებისა და განცხადებების განხილვაში, გულმოდგინედ შეისწავლონ კრიტიკული სიგნალები და მიიღონ სათანადო ზომები.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს გააძლიერონ პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი იმ მხრივ, რომ უზრუნველყოფილ იქნას მუდმივი კონტროლი სახელმწიფო გეგმებისა და ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობისადმი, სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებში წარსადგენი საანგარიშო მონაცემების სისწორისა და მათი დროულად წარდგენისადმი.

პარტიულმა ორგანიზაციებმა კრიტიკულად უნდა განიხილონ სამეურნეო საქმიანობის შედეგები, სწორი შეფასება მისცენ მიღწევებსა და ნაკლოვანებებს, გადაჭრით და პრინციპულად გამოვიდნენ სინამდვილის შელამაზების, წამატებებისა და თვალისახვევის წინააღმდეგ.

4. დაწესდეს, რომ ანგარიშგებაში წამატებების გამოვლინების შემთხვევაში საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებისათვის, მთავარი ბუღალტრებისათვის, საგეგმო და საფინანსო განყოფილებათა უფროსებისათვის უკანონოდ მიცემული პრემიები აუცილებლად უნდა იქნას გადახდევინებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებულ იქნას ცნობად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს განცხადება, რომ სახელმწიფო სტატისტიკის რაიონულ და საქალაქო ინსპექტურებს მიეცათ მითითება — გამორიცხონ შესაბამისი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების ანგარიშგებიდან გამოვლინებული წამატებანი და სხვა დამახინჯებანი.

5. საჭიროდ ჩაითვალოს გაძლიერდეს პროფკავშირულ ორგანიზაციათა საზოგადოებრივი კონტროლი გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობისადმი, შემოღებულ იქნას სამეურნეო ხელმძღვანელთა რეგულარული ანგარიშები ამ საკითხებზე მუშა-მოსამსახურეთა კრებებსა და მუდმივმოქმედ საწარმოო თათბირებზე.

გადაწყვეტილებანი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით გარდამავალი წითელი დროშებისა და ფულადი პრემიების მიკუთვნების შესახებ მიღებულ უნდა იქნას მას შემდეგ, რაკ პროფკავშირული ორგანოები შეამოწმებენ იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ გეგმებისა და ვალდებულებათა შესრულების მონაცემების სისწორეს, რომლებიც წამოყენებული არიან პრემიების მიღების კანდიდატებად.

6. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში აღრიცხვისა და ანგარიშგების გაუმჯობესების მიზნით, ჩატარდეს 1961 წლის აგვისტოს მეორე ნახევარში სახელმწიფო სტატისტიკის აქტივისა და აღრიცხვის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების მონაწილეობით.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს:

ა) მიიღოს საჭირო ზომები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, სტატისტიკური ორგანოების მუშაობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებისათვის, სტატისტიკური ორგანოების მიერ მიღებული საანგარიშო მონაცემების სინამდვილისადმი კონტროლის გაძლიერებისათვის და ანგარიშგებაში წამატებათა და სხვა დამახინჯებათა აღკვეთისათვის, იმისათვის, რომ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა მტკიცედ დაიცვან სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გეგმების შესრულების აღრიცხვის დადგენილი წესი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) გააძლიეროს სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული ინსპექტორების, საქალაქო და საოლქო სტატისტიკური სამმართველოების უფროსების პასუხისმგებლობა მათ მიერ წარდგენილი სახელმწიფო სტატისტიკის მონაცემების სისწორისათვის, ამასთან აღზარდოს სტატისტიკური ორგანოების მუშაკები ანგარიშგების დამახინჯების ყოველგვარი ფაქტებისადმი შეურიგებლობისა და გულმართლობის სულისკვეთებით;

გ) სისტემატურად მოახსენოს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საანგარიშო მონაცემების სინამდვილის და ანგარიშების წარმდგენი ორგანიზაციების მიერ საანგარიშო დისციპლინის დაცვის ჩატარებული შემოწმების შედეგები.

8. დაევალოთ საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტროს, ელკავშირის გამგეობასა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მკაცრი წესრიგი დაამყარონ დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და საწარმოების მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიღებისა და აღრიცხვის საქმეში იმ ანგარიშით, რომ გამოირიცხოს ბოროტმოქმედებისა და სახელმწიფოს მოტყუების ყოველგვარი შესაძლებლობა.

9. მიღებულ იქნას ცნობად, რომ წამატებებისა და დარღვევების ზემომოყვანილი და სხვა ფაქტები განხილულია პარტიული და საბჭოთა ორგანოების მიერ და რომ მკაცრი სასჯელი დაედოთ კონკრეტულ დამნაშავეებს.

ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილებამ და სოფლის მეურნეობის განყოფილებამ მოახსენონ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტს, თუ რა ზომები მიიღეს პარტიის რაიკომებმა და რაიაღმასკომებმა ანგარიშგებაში წამატებათა და სხვა დამახინჯებათა ფაქტების გამო, რომლებიც აღნიშნულია მათთვის გაგზავნილი მოხსენებითს ბარათებში.

10. დაევალოთ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისა და სამშენებლო ბანკის რესპუბლიკურ კანტორებს გააძლიერონ კონტროლი იმ მონაცემების სისწორისადმი, რომელთა საფუძველზე წარმოებს სახალხო მეურნეობის დარგების დაფინანსება და საწარმოთა და ორგანიზაციათა დაკრედიტება, აგრეთვე გააძლიერონ საკონტროლო-სარევიზიო მუშაობა.

11. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიას გააძლიეროს კონტროლი იმ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი, რომლებიც სსრ კავშირის მთავრობამ და საქართველოს სსრ მთავრობამ მიიღეს სახელმწიფო ანგარიშგებაში წამატებათა და სხვა დამახინჯებათა აღკვეთის შესახებ.

12. დაევალოს რესპუბლიკის პროკურორს მიიღოს საჭირო ზომები სახელმწიფოს მოტყუების იმ ფაქტების გამოძიებისათვის, რომლებიც გამოიხატება წამატებებსა და სხვა ბოროტმოქმედებაში სახელმწიფო ანგარიშგების წარდგენის დროს.

13. დაწესდეს, რომ რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების მიერ წლიური, ნახევარი წლის, კვარტალური და თვიური გეგმების, აგრეთვე მეურნეობის ყველა დარგში ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შესახებ ცნობების გამოქვეყნება პრესაში წარმოებს: რესპუბლიკურ პრესაში — საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ მათი შემოწმების შემდეგ და ადგილობრივ პრესაში — შესაბამისი სტატისტიკური ორგანოების მიერ მათი შემოწმების შემდეგ.

14. შეტანილ იქნას საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ნომენკლატურაში ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის სტატისტიკური სამმართველოების უფროსებისა და სახელმწიფო სტატისტიკის საქალაქო და რაიონული ინსპექტორების თანამდებობანი.

რჩევა მიეცეთ საქართველოს კპ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებს შეიტანონ თავიანთ ნომენკლატურაში სახელმწიფო სტატისტიკის რაიონული ინსპექტორების თანამდებობანი.

დაწესდეს, რომ მუშაკთა დანიშვნა აღნიშნულ თანამდებობებზე და მათი გადაყვან-გადმოყვანა წარმოებს ადგილობრივი პარტიული ორგანოებისა და საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს წარდგენით.

*
* *

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ავალებენ ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პროფკავშირულ ორგანოებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებს იმ მხრივ, რომ უზრუნველყოფილ იქნას საანგარიშო მონაცემების სინამდვილე და განმტკიცდეს საანგარიშო დისციპლინა საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამინისტროებში, უწყებებსა და ორგანიზაციებში იმის საფუძველზე, რომ სახელმწიფო სტატისტიკა წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობისა და სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმიანი ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანეს ბერკეტს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე.	**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 15 აგვისტო, № 530

78 სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 12 სექტემბრის № 997 და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 5 სექტემბრის № 956 დადგენილებებთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

„სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 6 მარტის № 311 დადგენილებასთან დაკავშირებით კოლმეურნეობებში შრომის დამატებითი ანაზღაურების საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებების გაუქმების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 12 სექტემბრის № 997 დადგენილების შესაბამისად, აგრეთვე ამავე საკითხზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 5 სექტემბრის № 956 დადგენილების შესაბამისად, ძალადაკარგულად ჩაით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, დართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე.	**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 29 აგვისტო, № 563

F-2484

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 29 აგვისტოს № 563 დადგენილების დანართი

ნ უ ს ხ ა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იმ დადგენილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 12 სექტემბრის № 997 და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 5 სექტემბრის № 956 დადგენილებებთან დაკავშირებით:

1. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 2 აპრილის № 536 დადგენილება „საქართველოს სსრ რაიონების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გეგმისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის დავალების შესახებ“.

2. „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოზარდეულის შენარჩუნებისა და საქონლის სულადობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების ღონისძიებებზე საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 31 მარტის № 526-ე დადგენილების 36-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

3. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 24 ივნისის № 1013 დადგენი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება „მანქანა-ტრაქტორთა სადგურების კომბაინერთა შრომის დამატებით ანაზღაურების შესახებ“.

4. „1943 წელს საქართველოს სს რესპუბლიკაში ბოსტნეული კულტურების მეთესლეობის განვითარებისა და ბოსტნეული კულტურების ნათესების თესლით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 30 სექტემბრის № 1524 დადგენილების **მე-9 მუხლი.**

5. „1945 წლისათვის საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში ღორის სულადობის გადიდებისა და მისი გასუქების შესახებ“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის 12 თებერვლის № 162 დადგენილების მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

6. „საქართველოს სს რესპუბლიკაში მეფუტკრეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის 14 მარტის № 333 დადგენილების პირველი განაყოფის მე-5 მუხლი.

7. „1945 წელს მეაბრეშუმეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის 14 მარტის № 336 დადგენილების მე-5 მუხლი.

8. „საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების 1945 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის 23 აპრილის № 503 დადგენილების მე-5 განაყოფის მე-5 მუხლი, მე-3, მე-4 მუხლები და მე-6 განაყოფის მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი, აგრეთვე ამ დადგენილების I განაყოფის მე-20 მუხლი და მე-6 განაყოფის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი იმ ნაწილში, რომელიც შეეხება გეგმის გადამეტებით აღებული მოსავლის ერთი მესამედის გაცემას.

9. „კოლმეურნეობებში მზესუმზირასა და არაქისის მოსავლიანობის ამაღლებისა და საერთო მოსავლის გადიდების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 20 მაისის № 221 დადგენილების მე-7 მუხლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ბალახ-თესვის გადიდებისა და მრავალწლიანი ბალახების მოსავლიანობის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 7 ივნისის № 325 დადგენილების 29-ე მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.

11. „კომბაინებით მზესუმზირას აღებისა და მზესუმზირას აღებაზე მომუშავე კომბაინერთა, კომბაინერების თანაშემწეთა და ტრაქტორისტთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 19 აგვისტოს № 690 დადგენილების მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, აგრეთვე ამავე დადგენილების მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი იმ ნაწილში, რომელიც შეეხება მანქანა-ტრაქტორთა სადგურების კომბაინერთა შრომის მარცვლით ანაზღაურების ოდენობის შემცირებას.

12. „1948 წელს თუთის სარგავი მასალის გამოყვანისა და სანერგეების მოწყობის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 16 ოქტომბრის № 1167 დადგენილების მე-5 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

13. „კოლმეურნეობებში ბალახების მეთესლეობის ორგანიზაციისა და ბალახთესვის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 8 ივლისის № 730 დადგენილების მე-17 მუხლი.

14. „საქართველოს სს რესპუბლიკაში ევკალიპტის კულტურის შემდგომი განვითარების ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 26 თებერვლის № 216 დადგენილების მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მეოთხე და მეხუთე აბზაცი.

15. „ტუნგოს კულტურის შემდგომი განვითარებისა და ტუნგოს ნარგავების მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 25 აგვისტოს № 1091 დადგენილების მე-8 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

16. „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სიმინდის მოსავლის აღების ჩატარების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 22 სექტემბრის № 1250 დადგენილების მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მეორე აბზაცი.

17. „1950—1960 წლებში მეაბრეშუმეობის აღმავლობის, პარკის დამზადებისა და პირველადი დამუშავების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 11 ნოემბრის № 1537 დადგენილების 23-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი.

18. „1950—1951 წლებში კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და ცხენსაშენებში მეცხენეობის განვითარების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 17 ნოემბრის № 1563 დადგენილების 38-ე მუხლი.

19. „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მრავალწლიანი ბალახების საკუთარი თესლით უზრუნველყოფისა და ბალახთესვის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის 7 სექტემბრის № 1210 დადგენილების მე-10 მუხლი.

20. „1951—1955 წლებისათვის მატყლის დამზადების გადიდებისა და მეცხვარეობის განვითარების ზომების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 25 ივნისის № 2167 დადგენილების შესრულების ღონისძიებებზე“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 2 აგვისტოს № 1004 დადგენილების მე-15 მუხლი.

21. „საქართველოში მეფუტკრეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 21 მარტის № 346 დადგენილების მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

22. „კარტოფილის მოსავლიანობის ამაღლების, მისი წარმოებისა და დამზადების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 24 აპრილის № 492 დადგენილების მე-10 და მე-12 მუხლები.

23. „საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში თამბაქოს მოსავლიანობის გადიდების ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 24 აპრილის № 496 დადგენილების მე-14 მუხლის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები.

24. „საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში მზესუმზირასა და სოიის მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 8 მაისის № 592 დადგენილების მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

25. „1952 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თივის აღებისა და საკვების დასილოსების განხორციელების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 30 მაისის № 739 დადგენილების მე-15 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.

26. „საქართველოს სს რესპუბლიკაში მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 4 დეკემბრის № 1624 დადგენილების მე-6 განაყოფის პირველი მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები, აგრეთვე ამ დადგენილების მე-5 განაყოფის მე-6 მუხლი იმ ნაწილში, რომელიც შეეხება კოლმეურნეთა შრომის დამატებით ანაზღაურებას.

27. „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 7 მაისის № 895 დადგენილების დაგზავნის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 17 მაისის № 284 დადგენილება.

79 საქართველოს სსრ საქალაქო ტრანსპორტის მუშაკთა ხელფასის მოწესრიგების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 8 ივნისის № 525 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 8 ივნისის № 525 დადგენილება „საქალაქო ტრანსპორტის მუშაკთა ხელფასის მოწესრიგების შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესასრულებლად ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს, თბილისისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებსა და პროფკავშირთა შესაბამის რესპუბლიკურ კომიტეტებს.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროსთან და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ერთად შეამოწმოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტში წარმოდგენილი ხელფასის დამატებითი ფონდი 1961 წლისათვის, საქალაქო ტრანსპორტის მუშაკთათვის შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღებასთან დაკავშირებით, ამასთან იხელმძღვანელოს იმ დებულებით, რომ საჭირო დამატებითი სახსრების საშუალოდ არა ნაკლებ 25 პროცენტისა უნდა გამოიძებნოს საქალაქო ტრანსპორტის ორგანიზაციებში ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოების, მათი საწარმოებისა და ქვეგანაყოფების რეორგანიზაციის, მუშაკთა რაოდენობის შემცირებისა და სხვა ღონისძიებათა გატარების ხარჯზე.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს, თბილისისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს 1963 წლის 1 მარტისათვის წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოხსენება საქალაქო ტრანსპორტის საწარმოებსა და ორგანიზაციებში მუშაკთა შრომის ანაზღაურების ამ დადგენილებით გათვალისწინებული ახალი პირობების გამოყენების შედეგების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 19 აგვისტო, № 517.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 525

1961 წლის 8 ივნისი

მოსკოვი, კრემლი

საქალაქო ტრანსპორტის მუშაკთა ხელფასის მოწესრიგების შესახებ

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს საქალაქო ტრანსპორტის მუშაკთა მატერიალური დაინტერესება მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესებით, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდითა და სატრანსპორტო მომსახურების თვითღირებულების შემცირებით, აგრეთვე იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს საქალაქო ტრანსპორტის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა მატერიალური კეთილდღეობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. განხორციელდეს 1961 წლის 1 დეკემბრიდან საქალაქო ტრანსპორტის მუშაკთა, აგრეთვე მძღოლთა და საქალაქო ტრანსპორტის სხვა მუშაკთა მოსამზადებელი და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სკოლების, კურსების, სასწავლებლებისა და კომბინატების მუშაკთა ხელფასის მოწესრიგება.

2. დაწესდეს, რომ საქალაქო ტრანსპორტის ცალკეული საწარმოების (საამქროების) და ორგანიზაციების მუშაკთა შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღების კონკრეტულ ვადებს განსაზღვრავენ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროები და უწყებები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო მეურნეობის საბჭოები, სამხარეო აღმასკომები, საოლქო აღმასკომები და საქალაქო აღმასკომები (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში) შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან შეთანხმებით, იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად არიან მომზადებული ეს საწარმოები და ორგანიზაციები ახალ პირობებში მუშაობისათვის.

3. დაუწესდეთ თვიური სატარიფო განაკვეთები:

ა) მე-3 კლასის მძღოლებს, რომლებიც ტრამვაისა და ტროლეიბუსებზე მუშაობენ:

მოძრავი შემადგენლობის ტიპი	თვიური სატარიფო განაკვეთები (მანეთობით)
ტრამვაი: სამგზავრო, სატვირთო, სამსახურებრივი, სასწავლო, სპეციალური, სამანევრო, ტრამვაი-ელექტრომავლები	65
ტრამვაი ავტომატური გაშვებით, ტრამვაის სამვაგონიანი მატარებლები, ორი ოთხღერძიანი ვაგონისაგან შემდგარი მატარებლები	70
ტროლეიბუსები: სამგზავრო 65 ადგილამდე საერთო ტევადობით, სატვირთო, სამსახურებრივი, სასწავლო, სპეციალური, სამანევრო; ტროლეიკარი, ელექტრომობილი, ელექტრობუსი, ტრამვაის ვაგონები, რომლებიც გაწყობილია მრავალი ერთეულის სისტემით სამართავად	75
ტროლეიბუსები სამგზავრო 65 ადგილზე მეტი საერთო ტევადობით; სატვირთო ტროლეიბუსები მისაბმელით	80
ტროლეიბუსები სამგზავრო: შეწევრებული, მისაბმელით, ორსართულიანი	94

ბ) დამრიგებელ მძღოლებს მე-3 კლასის იმ მძღოლის უმაღლესი განაკვეთის ოდენობით, რომელიც მუდმივად მუშაობს დამრიგებელი მძღოლისათვის მიჩენილ ტრამვაიზე (ტროლეიბუსებზე);

გ) პირველი კლასის კონდუქტორებს, რომლებიც მუშაობენ სამგზავრო, სატვირთო და სამსახურებრივ ტრამვაისა და ტროლეიბუსებზე — 55 მანეთი, მე-2 კლასის კონდუქტორებს — 50 მანეთი;

დ) დამრიგებელ კონდუქტორებს — 60 მანეთი.

4. მიეცეთ მძღოლებსა და დამრიგებელ მძღოლებს სატარიფო განაკვეთების ყოველთვიური დანამატი კლასიანობისათვის შემდეგი ოდენობით: მეორე კლასის მძღოლებს — 10 პროცენტი და პირველი კლასის მძღოლებს — 25 პროცენტი.

5. სამგზავრო ტრამვაისა და ტროლეიბუსების მძღოლებს, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დესაც ისინი უკონდუქტოროდ მუშაობენ, მიეცეთ დამატებით მათ მიერ ჩაბარებული ამონაგების თანხის 3 პროცენტამდე.

6. დაწესდეს, რომ იმ მუშათა შრომის ანაზღაურება, რომლებიც დასაქმებული არიან მოძრავი შემადგენლობის, ლიანდაგის, საკონტაქტო და საკაბელო ქსელების, გარდამქმნელი ქვესადგურების, სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის, ბლოკირებისა და კავშირგაბმულობის, ელექტროსაათობრივი ქსელის და ტრამვაის, ტროლეიბუსების, სამგზავრო ფუნიკულორების და საჰაერო-საბაგირო გზების რემონტზე, დამხმარე სამუშაოებსა და მომსახურებაზე საქალაქო ტრანსპორტის საექსპლუატაციო საწარმოებში (საამქროებში) და ორგანიზაციებში, წარმოებს სატარიფო განაკვეთებით, რაც გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1959 წლის 19 სექტემბრის № 1120 დადგენილების № 2 დანართის მე-5 ცხრილით ლითონდამუშავებისა და მოწყობილობის რემონტის საამქროებისა და სახელოსნოების მუშებისათვის.

უფლება მიენიჭოთ საქალაქო ტრანსპორტის საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაუწესონ პროფკავშირთა შესაბამის კომიტეტებთან შეთანხმებით დროებლივ მუშებს, რომლებიც დასაქმებული არიან მოძრავი შემადგენლობისა და ტრამვაის ლიანდაგების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სამუშაოებზე, სატარიფო განაკვეთები, რაც გათვალისწინებულია მონარდე მუშებისათვის.

დაუწესდეთ ბრიგადირებს მუშათა რიცხვიდან, რომლებიც არ არიან განთავისუფლებული ძირითადი სამუშაოსაგან, დანამატი ბრიგადის ხელმძღვანელობისათვის შემდეგი ოდენობით: როდესაც ბრიგადის შემადგენლობა 5-დან 10 კაცამდეა — სატარიფო განაკვეთის 10 პროცენტი და როდესაც 10 კაცზე მეტია — 15 პროცენტი.

7. საქალაქო ტრანსპორტის მუშაკებისათვის ახალი სატარიფო განაკვეთების შემოღების შემდეგ არ მიეცეთ დანამატები მონარდე მუშებს, აგრეთვე დროებლივ მუშებს შემცირებული სამუშაო დროისათვის დასვენების წინადღეებსა და უქმეების წინადღეებში.

8. უფლება მიენიჭოთ საქალაქო ტრანსპორტის საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს შემოიღონ პროფკავშირთა შესაბამის კომიტეტებთან შეთანხმებით მუშათა დაჯილდოება მოძრავი შემადგენლობის გამოყენების მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის, მგზავრთა მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძრავი შემადგენლობის, ლიანდაგის, საკონტაქტო და საკაბელო ქსელების, გარდამქმნელი ქვესადგურების, სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის, ბლოკირებისა და კავშირგაბმულობის, ელექტროსაათობრივი ქსელის და ტრამვაის, ტროლეიბუსების სამგზავრო ფუნიკულორებისა და საჰაერო-საბაგირო გზების სხვა მოწყობილობის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის დავალებათა მაღალხარისხოვნად, დროულად და ვადამდე შესრულებისათვის, შემდეგი ოდენობით:

ა) მძღოლებს, რომლებიც მუშაობენ სამგზავრო ტრამვაისა და ტროლეიბუსებზე, მათ შორის შეკვეთილებზე, ყოველ რეისში, რაც შესრულებულია განრიგის (გრაფიკის) მიხედვით ან გარბენის მიცემული დროის განმავლობაში, — 20 პროცენტამდე იმ თვიური სატარიფო განაკვეთის ნაწილისა, რაც მოცემული რეისისათვის ერგებათ.

მძღოლებს, რომლებიც მუშაობენ სამგზავრო ტრამვაისა და ტროლეიბუსებზე ქალაქ მოსკოვსა და ლენინგრადში, აგრეთვე ცალკეულ საქალაქთაშორისო სამგზავრო სატროლეიბუსო ხაზებზე, ყოველ რეისში, რაც შესრულებულია განრიგის (გრაფიკის) მიხედვით ან გარბენის მიცემული დროის განმავლობაში, პრემიები მიეცეთ 50 პროცენტამდე იმ თვიური სატარიფო განაკვეთის შესაბამისი ნაწილისა, რაც მოცემულ რეისში ერგებათ;

ბ) მძღოლებს, რომლებიც სამგზავრო ტრამვაისა და ტროლეიბუსებზე მუშაობენ, ამონაგების თვიური გეგმის გადაჭარბებით შესრულების ყოველ პროცენტში, — ხაზზე ნამუშევარი დროისათვის თვიური სატარიფო განაკვეთის შესაბამისი ნაწილის 1,5 პროცენტის ოდენობით;

გ) მძღოლებს, რომლებიც მუშაობენ სატვირთო, სამსახურებრივ, სპეციალურ, სამანევრო ტრამვაისა და ტროლეიბუსებზე, ტროლეიკარებზე, ელექტრობუსებზე, ელექტრომობილებზე, ტრამვაი-ელექტრომავლებზე, მოძრავი შემადგენლობის მორგებაზე, განაწილებასა და გამოცდაზე, აგრეთვე დამრიგებელ მძღოლებს ყველა ტიპისა და სახეობის მოძრავ შემადგენლობაზე დავალებათა დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის, — ფაქტიურად ნამუშევარი დროის სატარიფო განაკვეთის 20 პროცენტამდე; მძღოლებს, რომლებიც მუშაობენ ქალაქ მოსკოვსა და ლენინგრადში და ცალკეულ საქალაქთაშორისო სატვირთო სატროლეიბუსო ხაზებზე, აგრეთვე დამრიგებელ მძღოლებს, რომლებიც მუშაობენ ამ ქალაქებ-

ში და ცალკეულ საქალაქთაშორისო სამგზავრო და სატვირთო სატროლეიბუსო ხაზებზე, — ფაქტიურად ნამუშევარი დროის სატარიფო განაკვეთის 30 პროცენტამდე;

დ) სამგზავრო ტრამვაისა და ტროლეიბუსების კონდუქტორებს — გეგმური ამონაგების 2 პროცენტის ოდენობით და დამატებით ზეგეგმითი ამონაგების 4 პროცენტის ოდენობით; სამგზავრო ტრამვაისა და ტროლეიბუსის კონდუქტორებს, რომლებიც მუშაობენ ქალაქ მოსკოვსა და ლენინგრადში, — შესაბამისად 2,5 პროცენტის და 5 პროცენტის ოდენობით, აღნიშნულ კონდუქტორებს პრემია მიეცეთ იმ პირობით, თუ შესრულებულია ამონაგების გეგმა;

ე) სატვირთო, სამსახურებრივი და სპეციალური ტრამვაისა და ტროლეიბუსების კონდუქტორებს დავალებათა დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის და დამრიგებელ კონდუქტორებს სამგზავრო მარშრუტებზე — სამომსახურეო მარშრუტებზე ამონაგების გეგმის შესრულებისათვის, — ფაქტიურად ნამუშევარი დროის სატარიფო განაკვეთის 20 პროცენტამდე ოდენობით;

ვ) დროებლივ მუშებს, რომლებიც დასაქმებული არიან რემონტზე, დამხმარე სამუშაოებსა და მოძრავი შემადგენლობის, ლიანდაგის, საკონტაქტო და საკაბელო ქსელების, გარდამქმნელი ქვესადგურების, სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის, ბლოკირებისა და კავშირგაბმულობის, ტრამვაის, ტროლეიბუსების, სამგზავრო ფუნიკულორებისა და საჰაერო-საბაგირო გზების ელექტროსაათობრივი ქსელისა და სხვა მოწყობილობების მომსახურებაზე, — სატარიფო განაკვეთის (სარგოს) 25 პროცენტამდე ოდენობით, ხაზზე ტექნიკურად გამართული მოძრავი შემადგენლობის გაშვების დავალებათა შესრულების უზრუნველყოფისათვის იმ სამუშაოთა ხარისხიანად და დროულად შესრულებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ მოძრავი შემადგენლობისა და მოწყობილობის შეუფერხებელ მუშაობას მორიგ ტექნიკურ მომსახურებამდე;

ზ) ტროლეიბუსების, ტროლეიკარების, ელექტრობუსების, ელექტრომობილების მძღოლებს ავტოსალტეების ეკონომიისათვის (სერიული ავტოსალტეების გარბენისათვის დაწესებული ნორმების გადამეტებით), — მიღებული ეკონომიის თანხის 20 პროცენტის ოდენობით.

სალტემემონტაჟეებსა და სხვა მუშაკებს, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებენ ავტოსალტეების ეკონომიის მიღწევაში, პრემიები მიეცეთ მიღებული ეკონომიის თანხის 5 პროცენტამდე ოდენობით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) ტროლეიბუსების, ტროლეიკარების, ელექტრობუსების, ელ-ექტრომობილების მძღოლებსა და სხვა მუშაკებს საცდელი საავ-ტომობილო სალტეების გამოცდისათვის — 20 კაპიკიდან 1 მანე-თამდე ერთი გამოსაცდელი სალტის გარბენის ყოველ ათას კილო-მეტრში, დაწესებული გარბენის 10 ათას კილომეტრს ზევით.

იმ პრემიების თანხა, რაც ერთ მუშაკს ეძლევა ყველა მაჩვენებლის მიხედვით (გარდა პრემიებისა სოციალისტური შეჯიბრებებისათვის, აგრეთვე პრემიებისა, რაც დაწესებულია საბჭოთა კავშირის კომუ-ნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 23 ივნისის № 687 და 1960 წლის 30 სექტემბრის № 1049 დადგენილებებით და სსრ კავშირის მინის-ტრთა საბჭოს 1961 წლის 24 თებერვლის № 161 დადგენილებით), არ უნდა აღემატებოდეს თვეზე გაანგარიშებით სატარიფო განაკვე-თის 40 პროცენტს, ხოლო ქალაქ მოსკოვისა და ლენინგრადის ტრა-მვაის და ტროლეიბუსებისა და ცალკეული საქალაქთაშორისო სა-ტროლეიბუსო ხაზების ტრამვაი-ტროლეიბუსების მძღოლებისა — 60 პროცენტს.

9. საქალაქო ტრანსპორტის საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს უფლება ეძლევათ შესაბამის პროფკავშირთა კო-მიტეტებთან შეთანხმებით ჩამოართვან მძღოლებსა და კონდუქტო-რებს პრემიები ნაწილობრივ ან მთლიანად, უკეთუ დადასტურდება მათი დანაშაული ავარიებში, ვისმეს გატანაში, მოძრავი შემადგენ-ლობის ექსპლუატაციის წესების დარღვევაში, აგრეთვე იმ შემთხ-ვევაში, თუ დასაბუთებულია მგზავრთა საჩივრები.

დაწესდეს, რომ პირებს, რომლებმაც სამუშაო გააცდინეს იმ პერიოდის განმავლობაში, რომლისთვისაც პრემია ერიცხებათ, ჩა-მოერთმევათ პრემია მთლიანად ან ნაწილობრივ.

10. დაწესდეს თანამდებობრივი განაკვეთები, ღამით მუშაობის დანამატის ჩათვლით, საქალაქო ტრანსპორტის საექსპლუატაციო საწარმოების (საამქროების) და ორგანიზაციების ხელმძღვანელი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის მოსამსახურეებისა და უმცროსი მომსახურე პერსონალისათვის, აგრეთვე მძღოლთა და საქალაქო ტრანსპორტის სხვა მუშაკთა მოსამზადებელი და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სკოლების, კურსების, სასწავლებლებისა და კომბი-ნატების მუშაკებისათვის, №№ 1-3 დანართების თანახმად.

11. საქალაქო ტრანსპორტის მუშაკებისათვის ახალი თანამდე-ბობრივი განაკვეთების შემოღებასთან ერთად შემცირდეს პერსონა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური დანამატების ფონდი, რაც გამოყოფილია მოკავშირე რესპუ-ბლიკების მინისტრთა საბჭოების განკარგულებაში, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებებისათვის, იმ მუშაკთა თანამდებობ-რივი განაკვეთების შეცვლის შესაბამისად, რომლებიც პერსონალურ დანამატებს იღებენ.

12. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტს პროფესიულ კავ-შირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან ერთად და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით ერთი თვის ვადაში დაამტკიცოს:

ტიპობრივი დებულება იმ მუშათა შრომის ანაზღაურების და და-ჯილდოების შესახებ, რომლებიც დასაქმებული არიან მოძრავი შემა-დგენლობის, ლიანდაგის საკონტაქტო და საკაბელო ქსელების, გარ-დამქმნელი ქვესადგურების, სიგნალიზაციის, ბლოკირებისა და კავ-შირგაბმულობის, ელექტროსაათობრივი ქსელის და ტრამვაის, ტროლეიბუსების, სამგზავრო ფუნიკულიორების და საჰაერო-საბა-გირო გზების სხვა მოწყობილობების რემონტზე, დამხმარე სამუშა-ოებსა და მომსახურებაზე საქალაქო ტრანსპორტის საექსპლუატა-ციოდ საწარმოებში (საამქროებში) და ორგანიზაციებში;

ტიპობრივი დებულება საქალაქო ტრანსპორტის საექსპლუატა-ციო საწარმოების (საამქროების) და ორგანიზაციების ხელმძღვა-ნელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დაჯილდო-ების შესახებ მოგების გეგმის შესრულებისა და გადაჭარბებით შეს-რულებისათვის ან პროდუქციის (სატრანსპორტო მომსახურების) თვითღირებულების გეგმის შესრულებისა და თვითღირებულების ზეგეგმითი შემცირებისათვის, ხოლო საქმიანობის ცალკეულ სახეო-ბებში იმ ძირითადი საწარმოო-ტექნიკური მაჩვენებლების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, რომლებიც გათვალისწინებუ-ლია გეგმით და თვითღირებულებას განსაზღვრავენ, იმ პირობით თუ შესრულებულია გეგმა (სამუშაოთა მოცულობა) და ძირითადი ხარის-ხობრივი მაჩვენებლები;

მაჩვენებლები და წესი საქალაქო ტრანსპორტის საექსპლუატა-ციო საწარმოების (საამქროების) და ორგანიზაციების მიკუთვ-ნებისა ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შრომის ანა-ზღაურების ჯგუფებზე;

ნუსხა საქალაქო ტრანსპორტის საექსპლუატაციო საწარმოების (საამქროების) და ორგანიზაციების იმ დროებლივ მუშათა ცალკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული პროფესიებისა, რომლებსაც უწესდებათ თვიური განაკვეთები სატარიფო განაკვეთების ნაცვლად, და ამ მუშათა განაკვეთების ოდენობა;

ტიპობრივი ნუსხა მუშათა პროფესიებისა, რომელთა შრომის ანაზღაურება წარმოებს სატარიფო განაკვეთებით, რაც დაწესებულია ცხელ და მძიმე სამუშაოებზე და შრომის მავნე პირობებიან სამუშაოებზე დასაქმებული მუშებისათვის;

დებულება ტრამვაისა და ტროლეიბუსების მძღოლთა და კონდუქტორთა შრომის ანაზღაურების შესახებ, რომელშიაც, კერძოდ, გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ:

ა) მძღოლებსა და დამრიგებელ მძღოლებს, კონდუქტორებსა და დამრიგებელ კონდუქტორებს, რომლებიც მუშაობენ ქალაქ მოსკოვსა და ლენინგრადში, სატარიფო განაკვეთები უდიდდებათ 10 პროცენტით;

ბ) სამგზავრო ტრამვაისა და ტროლეიბუსების მძღოლებისა და კონდუქტორებისათვის წესდება სამუშაო დროის თვიური შეჯამებული აღრიცხვა;

გ) მძღოლებს, რომლებიც მუშაობენ ტექნიკური დახმარების სპეციალურ ტრამვაისა და ტროლეიბუსებზე და მოძრავ სარემონტო სახელოსნოებში, რემონტის მუშათა (ზეინკლები, ელექტრიკოსები და სხვ.) პროფესიების შეთავსებისათვის უწესდებათ დანამატი თვიური სატარიფო განაკვეთის 10-დან 20 პროცენტამდე.

13. შეწყდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 2 მარტის № 234 დადგენილებით გათვალისწინებული წელთა ნამსახურობის ერთდროული გასამრჯელოს (პროცენტული დანამატების) მიცემა საქალაქო ტრანსპორტის ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის მუშაკებისათვის იმ მომენტიდან, რაც ისინი გადაყვანილ იქნებიან შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე.

წელთა ნამსახურობის ერთდროული გასამრჯელოს თანხა, რაც აღნიშნულ მუშაკებს ერგებათ შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღებამდე, მიეცეთ წლის დამლევს ნამუშევარი დროის პროპორციულად.

საქალაქო ტრანსპორტის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკებს, რომლებსაც ამ დადგენილებით არა აქვთ დაწესებული შრომის ანაზღაურების ახალი პირობები, ხელფასის მოწესრიგებამდე, წელთა ნამსახურობისათვის ერთდროული გასამრჯელო (პროცენტული დანამატები) მიეცეთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

1957 წლის 2 მარტის № 234 და 1959 წლის 10 აპრილის № 417 დადგენილებებით გათვალისწინებული წესით.

14. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტს პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან ერთად დაამტკიცოს საქალაქო ტრანსპორტის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა, აგრეთვე მრეწველობისა და მშენებლობის იმ საწარმოების ტრამვაი-ტროლეიბუსების საექსპლუატაციო საამქროების მუშაკთა ხელფასის რაიონული კოეფიციენტები, რომლებიც მდებარეობენ უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებსა და უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ ადგილებში.

15. უფლება მიენიჭოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს დაუწესონ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით, სატარიფო განაკვეთები საქალაქო ტრანსპორტის ახალი ტიპის მოძრავ შემადგენლობაზე მომუშავე მძღოლებს ამ დადგენილებით დაწესებულ სატარიფო განაკვეთების შესაბამისად, აგრეთვე მიაკუთვნონ ცალკეული სატროლეიბუსო მარშრუტები სამგზავრო და სატვირთო საქალაქთაშორისო სატროლეიბუსო ხაზებს.

16. შრომის ანაზღაურების ახალი პირობები საქალაქო ტრანსპორტის საწარმოთა და ორგანიზაციათა საანგარიშო მანქანათა სადგურების, დაცვის, საბინაო-კომუნალური განყოფილებებისა და ბავშვთა დაწესებულებების მუშაკებისათვის შემოიღონ სახალხო მეურნეობის შესაბამისი დარგების მუშაკთა ხელფასის მოწესრიგებასთან ერთად იმ ვადებში, რაც დაწესებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1959 წლის 19 სექტემბრის № 1120 დადგენილებით.

17. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, საქალაქო ტრანსპორტის საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა გადაყვანა შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე განახორციელონ ძირითადად ისეთ ღონისძიებათა გატარების გზით, როგორიცაა მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის შედეგად მიღებული სახსრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომჭირნეობა, ნორმების მოწესრიგება, სამუშაო დროის დანაკარგების შემცირება, დამხმარე მუშათა რაოდენობის შემცირება, ტრამვაისა და ტროლეიბუსების გადაყვანა უკონდუქტოროდ მუშაობაზე, წარმოების მართვის შემდგომი სრულყოფა, საწარმოების, საამქროების, უბნების გაერთიანება, ზედმეტი ქვედანაყოფების ლიკვიდაცია, წარმოების მართვის უუბნო (უსაამქრო) სრუქტურის დანერგვა, აგრეთვე ზედმეტობის აღმოფხვრა შრომის ანაზღაურების წახალისებითი სისტემების გამოყენებაში და წელთა ნამსახურობისათვის გასამრჯელოს დროებით შენარჩუნებული გაცემის შეწყვეტა.

შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადასვლის დროს შემუშავებულ და დანერგილ უნდა იქნას მომსახურების ახალი, უფრო გადიდებული ნორმები დროებლივი მუშაობისათვის, რომლებიც დასაქმებული არიან მოძრავი შემადგენლობის, საკონტაქტო და საკაბელო ქსელების, გარდამქმნელი ქვესადგურებისა და ლიანდაგის რემონტსა და მომსახურებაზე.

18. მუშაკთა შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღების შემდეგ გაუქმდეს საქალაქო ტრანსპორტის საწარმოებსა და ორგანიზაციებში ყველა მოქმედი სატარიფო განაკვეთები, თანამდებობრივი განაკვეთები, დებულებანი მუშათა, ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დაჯილდოების შესახებ, აგრეთვე ხელფასის კოეფიციენტები და დანამატები.

დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან ერთად წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნუსხა სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით.

19. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტს აძლიოს განმარტება შრომისა და ხელფასის ყველა საკითხზე, რომლებიც დაკავშირებულია საქალაქო ტრანსპორტის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკების შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადაყვანასთან, აგრეთვე გამოსცეს შესაბამისი ინსტრუქციები ამ საკითხებზე.

20. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტს 1963 წლის 1 აპრი-

ლისათვის წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოხსენება საქალაქო ტრანსპორტის საწარმოებსა და ორგანიზაციებში მუშაკთა შრომის ანაზღაურების ამ დადგენილებით გათვალისწინებული ახალი პირობების გამოყენების შედეგების შესახებ.

21. ოქმის წესით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ხრუშჩოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. სტეპანოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 8 ივნისის № 525 დადგენილების დანართი № 1

თანამდებობრივი განაკვეთები

საქალაქო ტრანსპორტის საექსპლუატაციო საწარმოების (საამქროების) და ორგანიზაციების ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა

I. მოსკოვის საქალაქო აღმასკომისა და ლენინგრადის საქალაქო აღმასკომის სამმართველოები და ქვედანაყოფები

თანამდებობათა დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები (მანეთობით)	
	მოსკოვის საქალაქო აღმასკომის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველო	ლენინგრადის საქალაქო აღმასკომის ტროლეიბუსების სამმართველო
ა) სამმართველოები		
სამმართველოს უფროსი	330	300
მოძრავი შემადგენლობის, მოძრაობის, ლიანდაგის, სატროლეიბუსო სამსახურის უფროსები; ენერგომეურნეობის უფროსი	210—230	190—210
სამეცნიერო-საკვლევი განყოფილების უფროსი . .	225	—
მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ცენტრალური აღმდგენი სამსახურის უფროსები; სამმართველოს საწარმოო-ტექნიკური, საგეგმო-ეკონომიური, შრომისა და ხელფასის, საფინანსო განყოფილებათა უფროსები, მთავარი ბუღალტერი	190—210	170—190
კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი, სამმართველოს მთავარი მექანიკოსი, მოძრაობის უსაფრთხობის მთავარი რევიზორი	160—180	150—160
სამმართველოს მეორე განყოფილების უფროსი, განყოფილებათა უფროსები სამსახურებსა და ენერგომეურნეობაში: საწარმოო-ტექნიკურისა, მოძრაობის ორგანიზაციისა, სადისპეტჩეროსი, ტექნიკური დახმარებისა	150—160	140—150

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამდებობათა დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები (მანეთობით)	
	მოსკოვის საქალაქო აღმასკომის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველო	ლენინგრადის საქალაქო აღმასკომის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველო
განყოფილებათა უფროსები სამსახურებსა და ენერგომეურნეობაში: კავშირგაბმულობისა, საგეგმო-ეკონომიურისა, საინსპექციოსი, ამონაგების აკრეფისა; ჯგუფის უფროსი, მთავარი ბუღალტრები: სამსახურებისა, ენერგომეურნეობისა; ლიანდაგის სამსახურის მთავარი მექანიკოსი	130—140	130—140
ყველა სპეციალობის უფროსი ინჟინრები და უფროსი ეკონომისტი სამმართველოში, სამმართველოს აღმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსი, განზომილებათა ლაბორატორიის უფროსი, მოძრაობის უფროსი, ცენტრალური დისპეტჩერი, უფროსი ელექტროდისპეტჩერი	110—130	110—130
ყველა სპეციალობის ინჟინრები და ეკონომისტი სამმართველოში, ელექტროდისპეტჩერი, რევიზორი მოძრაობის უსაფრთხოების დარგში, მოძრაობის ცენტრალური დისპეტჩერი	100—120	100—120
ყველა სპეციალობის უფროსი ტექნიკოსები სამმართველოში, მოძრაობის დისპეტჩერი	75— 95	75— 95
ყველა სპეციალობის ტექნიკოსები სამმართველოში, მოძრაობის რევიზორი	70— 85	70— 85
ბ) ენერგომეურნეობის სახაზო ქვედანაყოფები (გარდამქმნელი ქვესადგურების, სპეც. ცენტრ. ბიუროს, კავშირგაბმულობის, საკონტაქტო და საკაბელო ქსელის სამსახურები)		
სამსახურის უფროსი	160—180	150—160
საწარმოო-ტექნიკური, ავტომატიკის, კაპიტალური რემონტის განყოფილებათა უფროსები	140—150	130—140
მთავარი ბუღალტერი (უფროსი ბუღალტერი მთავარი ბუღალტრის უფლებებით)	100—110	100—110
უფროსი ელექტროდისპეტჩერი	90—100	90—100
ელექტროდისპეტჩერი	80— 90	80— 90

თანამდებობათა დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები (მანეთობით)	
	მოსკოვის საქალაქო აღმასკომის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველო	ლენინგრადის საქალაქო აღმასკომის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველო
გ) ლიანდაგის სამსახურის დისტანცია		
დისტანციის უფროსი		
1 ჯგუფისა	160—170	160—170
2 ჯგუფისა	140—150	140—150
სამუშაოთა მწარმოებელი (პირველი ჯგუფის დისტანციებში)	120—130	120—130
დისტანციის მთავარი ბუღალტერი (უფროსი ბუღალტერი მთავარი ბუღალტრის უფლებებით)		
1 ჯგუფისა	100—110	100—110
2 ჯგუფისა	90—100	90—100

II. ტრამვაის, ტროლეიბუსის, ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოები, სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოები

თანამდებობათა დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები სამმართველოთა ჯგუფების მიხედვით (მანეთობით)				
	I	II	III	IV	V
სამმართველოს უფროსი	200—220	180—200	160—180	140—160	120—140
სამსახურის უფროსები: მოძრავი შემადგენლობისა, ლიანდაგისა, მოძრაობისა, ენერგომეურნეობის უფროსი	150—160	140—150	130—140	120—130	110—120
სატროლეიბუსო სამსახურის უფროსი	150—160	—	—	—	—
სამმართველოს საწარმოო, ტექნიკური განყოფილებების უფროსები	140—150	130—140	120—130	110—120	—
სამსახურის უფროსები: მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა, საავარიო-აღდგენითი სამსახურისა; სამმართველოს განყოფილებათა უფროსები: საგეგმოსი, შრომისა და ხელფასისა, კაპიტალური მშენებლობისა; სამმართველოს მთავარი მექანიკოსი	120—130	120—130	110—120	100—120	—
მოძრაობის უსაფრთხოების მთავარი რევიზორი, სამმართველოს მთავარი ბუღალტერი (უფროსი ბუღალტერი მთავარი ბუღალტრის უფლებებით) . . .	120—130	120—130	110—120	100—120	90—100
ლიანდაგის დისტანციის უფროსი:					
2 ჯგუფისა	140—150	—	—	—	—
3. ჯგუფისა	110—130	110—130	110—130	—	—

თანამდებობათა დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები სამმართველოთა ჯგუფების მიხედვით (მანეთობით)				
	I	II	III	IV	V
სამმართველოს კადრებისა და მეორე განყოფილებათა უფროსები	100—110	90—100	80—90	80—90	—
ამონაგების აკრეფის განყოფილების უფროსი, უფროსი, (ცენტრალური) დისპეტჩერი	100—110	90—100	80—90	80—90	80—90
ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსი	90—100	80—90	—	—	—
მოძრაობის უსაფრთხობის უფროსი რევიზორი . .	90—100	—	—	—	—
მოძრაობის უსაფრთხობის რევიზორი, მოძრაობის დისპეტჩერი	70—80	70—80	70—80	70—80	70—80
მოძრაობის რევიზორი . . . . . , , ,	60—75	60—75	60—75	60—75	60—75

III. საქალაქო ტრანსპორტის საწარმოები:

ა) ქალაქ მოსკოვის, ლენინგრადის ტრამვაის, ტროლეიბუსის და ტრამვაი-ტროლეიბუსის დეპოები (პარკები) და I, II და III ჯგუფებზე მიკუთვნებული სამმართველოები, რომლებიც იმყოფებიან დამოუკიდებელ ბალანსზე და რომლებსაც თავიანთ სიობრივ შემადგენლობაში ჰყავთ მძღოლები, კონდუქტორები და მოძრავი შემადგენლობის შემკეთებელი მუშები

თანამდებობათა დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები დეპოების (პარკების) ჯგუფების მიხედვით (მანეთობით)			
	I	II	III	IV
დირექტორი	190—210	170—190	150—170	130—150
საექსპლუატაციო, საწარმოო-ტექნიკურ განყოფილებათა უფროსები	140—150	130—140	120—130	110—120
მთავარი მექანიკოსი, უფროსები: სავაგონო განყოფილებისა (პროფილაქტორიუმის), ტრამვაის (ტროლეიბუსის) შემკეთებელი საამქროსი	130—140	120—130	110—120	110—120
საგეგმო განყოფილების უფროსი	120—130	110—120	100—110	—
ტექნიკური კონტროლის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების განყოფილებათა უფროსები, მთავარი ბუღალტერი (უფროსი ბუღალტერი მთავარი ბუღალტრის უფლებებით)	120—130	110—120	100—110	100—110

თანამდებობათა დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები დეპოების (პარკების) ჯგუფების მიხედვით (მანეთობით) და სახელოსნოების			
	I	II	III	IV
მეორე განყოფილების უფროსი	100—110	90—100	90—100	—
კადრების, ამონაგების აკრეფის განყოფილებათა უფროსები	100—110	90—100	90—100	90—100
ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსი	80—100	80—100	80—100	—

ბ) ტრამვაის, ტროლეიბუსის, ტრამვაი-ტროლეიბუსის დეპოები (პარკები) და ტრამვაის (ტროლეიბუსის) შემკეთებელი სახელოსნოები, რომლებიც არ იმყოფებიან დამოუკიდებელ ბალანსზე

თანამდებობათა დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები დეპოების (პარკების) და სახელოსნოების ჯგუფების მიხედვით (მანეთობით)		
	I	II	III
დეპოს (პარკის) სახელოსნოების უფროსები . . .	140—150	130—140	110—130
უფროსები სავაგონო განყოფილებისა (პროფილაქტორიუმისა), ტრამვაის (ტროლეიბუსების) შემკეთებელი საამქროსი დეპოში (პარკში)	120—130	110—120	100—110

IV. სამმართველოები, სახაზო ქვედანაყოფები, დისტანციები, დეპოები, პარკები, ტრამვაის (ტროლეიბუსის) შემკეთებელი სახელოსნოები, რომლებიც არ იმყოფებიან დამოუკიდებელ ბალანსზე

თანამდებობათა დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები დამოუკიდებლად სამმართველოების, დეპოების სახაზო ქვედანაყოფების, დისტანციების, პარკების, სახელოსნოების ჯგუფებისა (მანეთობით)
საამქროს უფროსი (გარდა ტრამვაის, ტროლეიბუსის შემკეთებელი საამქროებისა დეპოებსა და პარკებში), საკონტაქტო და საკაბელო ქსელების რაიონების გარდამქმნელი ქვესადგურების უფროსები:	
I ჯგუფის საამქროსი, რაიონისა	120—130
II ჯგუფის საამქროსი, რაიონისა	110—120
III ჯგუფის საამქროსი, რაიონისა	100—110
მოძრაობის სამსახურის რაიონის (განყოფილების) უფროსი, უფროსი ოსტატი, ლიანდაგის უფროსი ოსტატი, უფროსი მექანიკოსი:	
I ჯგუფის უბნისა, რაიონისა	110—120
II ჯგუფის უბნისა, რაიონისა	100—110
III ჯგუფის უბნისა, რაიონისა	90—100
მარშრუტის (ტრამვაის, ტროლეიბუსის) უფროსი .	
I ჯგუფისა	100—110
II ჯგუფისა	80—90
სადგურის (ტრამვაის, ტროლეიბუსის, ტრამვაი-ტროლეიბუსის) უფროსი:	
I ჯგუფისა	80—90
II ჯგუფისა	70—80
ვერცხლისწყალ-გამმართველი აგრეგატების კვლავ ამწყობი და შემკეთებელი და ავტოტელემართვის პუნქტების ოსტატი	100—120
ოსტატი, ლიანდაგის ოსტატი, მექანიკოსი, გარდამქმნელი ქვესადგურის ოსტატი:	
I ჯგუფის უბნისა, ქვესადგურისა	95—110
II ჯგუფის უბნისა, ქვესადგურისა	90—100
III ჯგუფის უბნისა, ქვესადგურისა	80— 90

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამდებობათა დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები დამოუკიდებლად სამმართველოების, დეპოების, სახაზო ქვედანაყოფების, დისტანციების, პარკების, სახელოსნოების ჯგუფებისა (მანეთობით)
მოსკოვის საქალაქო აღმასკომის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოს, ლენინგრადის საქალაქო აღმასკომის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს საწარმოები, სახაზო ქვედანაყოფები და დისტანციები I, II, III ჯგუფებზე მიკუთვნებული საქალაქო ტრანსპორტის სამმართველოები და მათი საექსპლუატაციო საწარმოები, სახაზო ქვედანაყოფები და დისტანციები	
ყველა სპეციალობის უფროსი ინჟინრები. უფროსი ეკონომისტი	95—120
ყველა სპეციალობის ინჟინრები, ეკონომისტი ნორმადარი	85—110
დანარჩენი სამმართველოები და მათი საწარმოები და სახაზო ქვედანაყოფები	
ყველა სპეციალობის უფროსი ინჟინრები, უფროსი ეკონომისტი	90—110
ყველა სპეციალობის ინჟინრები, ეკონომისტი, ნორმადარი	80—100
I, II, III, IV, V ჯგუფების სამმართველოები, ყველა სახაზო ქვედანაყოფები, დეპოები (პარკები) დისტანციები, ტრამვაის (ტროლეიბუსის) შემკეთებელი სახელოსნოები	
ყველა სპეციალობის უფროსი ტექნიკოსები, უფროსი დისპეტჩერები დეპოებსა და პარკებში, ელექტროდისპეტჩერი — ოპერატორი	75—90
ყველა სპეციალობის ტექნიკოსები, დისპეტჩერები დეპოში, პარკებსა და საბოლოო სადგურებში . .	70—80
ლაბორანტი	60—70

შენიშვნები:

1. ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოებში სამსახურები და განყოფილებები ცალკე ტრამვაისა და ტროლეიბუსისათვის (გარდა სატროლეიბუსო სამსახურებისა ქალაქ ლენინგრადსა და კიევში) არ შეიქმნება.

2. საქალაქო ტრანსპორტის სამმართველოებში (ტრამვაის, ტროლეიბუსის, ტრამვაი-ტროლეიბუსის), სადაც მოძრავი შემადგენლობის მოყვანილი ერთეულები 25-ზე ნაკლებია, სამსახურები და განყოფილებები არ შეიქმნება.

3. თანამდებობრივი განაკვეთები მთავარ ინჟინრებსა და ხელმძღვანელთა მოადგილეებს დაუწესდებათ შესაბამის ხელმძღვანელთა თანამდებობრივი განაკვეთების 10—20 პროცენტით ნაკლები.

4. III განაყოფში აღნიშნული (პუნქტი „ბ") ტრამვაისა და ტროლეიბუსის დეპოები (პარკები) შეიქმნება, თუ მათში არის მოძრავი შემადგენლობის არა ნაკლებ 50 მოყვანილი ერთეულისა. დანარჩენ შემთხვევებში დეპოების (პარკების) ნაცვლად შეიქმნება სავაგონო განყოფილებები (პროფილაქტორიუმები), სადაც ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს შრომა აუნაზღაურდებათ თანამდებობრივი განაკვეთების შემდეგი სქემის მიხედვით (მანეთობით თვეში):

სავაგონო განყოფილების (პროფილაქტორიუმის) უფროსი . .	100—110
ბუღალტერი	60— 75
ოსტატი (მექანიკოსი)	80— 90
დისპეტჩერი	70— 80

ასეთივე განაკვეთები წესდება სამგზავრო ფუნიკულორებისა და საჰაერო-საბაგირო გზების მუშაკებისათვის.

5. მრეწველობისა და მშენებლობის საწარმოების ტრამვაისა და ტროლეიბუსის საექსპლუატაციო საამქროების ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს დაუწესდებათ თანამდებობრივი განაკვეთები, რომლებიც გათვალისწინებულია II, III (პუნქტი „ბ") და IV განაყოფებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. სტეპანოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961
წლის 8 ივნისის № 525 დადგენილების
დანართი № 2

თანამდებობრივი განაკვეთები

საქალაქო ტრანსპორტის საწარმოებისა და ორგანიზაციების, მრეწველობის და მშენებლობის საწარმოების ტრამვაის და ტროლეიბუსის საექსპლუატაციო საამქროების მოსამსახურეთა და უმცროსი მომსახურე პერსონალისა

თანამდებობათა დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები (მანეთობით)
I. მოსამსახურეები	
უფროსი ბუღალტერი, უფროსი საქონელმცოდნე, უფროსი ინსპექტორი, იურისკონსულტი, ცენტრალური საწყობის გამგე	70—90
ბუღალტერი, მეურნეობის გამგე, საქონელმცოდნე, საწყობის გამგე, უფროსი მოლარე, უფროსი ექსპედიტორი სატვირთო და სამგზავრო ოპერაციების დარგში, ინსპექტორი, პირადი შემადგენლობის მაგიდის გამგე, მენიჩრე, საბილეთო კონტროლიორი, საბილეთო სალაროს გამგე, არქივის გამგე, ტრამვაის (ტროლეიბუსის) ბრიგადების უფროსი განმწესებელი . .	60—75
მოლარე, ინკასატორი, აგენტი, აგენტი-ექსპედიტორი, სამანქანო ბიუროს გამგე, მდივანი-სტენოგრაფისტი, უფროსი მოანგარიშე, უფროსი მეკუჭნავე, კალკულატორი, ქრონომეტრაჟისტი, ტრამვაის (ტროლეიბუსის) ბრიგადების განმწესებელი, საინფორმაციო ბიუროს გამგე, უფროსი სტატისტიკოსი	55—65
უფროსი მეტაბელე, მოანგარიშე, სტატისტიკოსი, აღმრიცხველი მემანქანე, მდივანი-მემანქანე, საქმისმწარმოებელი, მხაზველი, საშვთა ბიუროს მორიგე, შესანახი კამერის გამგე, არქივარიუსი, მეკუჭნავე . .	50—60

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამდებობათა დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები (მანეთობით)
მეტაბელე, გადამღები, შუქგადამღები, საშვთა ბიუროს მორიგე, მეროტატორე, მინამბეჭდავი, გამწესებელი, კანცელარიის (ფოსტის) ექსპედიტორი ინფორმატორი	45—55
II. უმცროსი მომსახურე პერსონალი	
მეეზოვე, ეზოს დამლაგებელი, მეზარფუშე, საყოფაცხოვრებო სათბობი ღუმელების მეცეცხლური, მეგარდერობე, დამლაგებელი: აბანოების, სანკვანძების, საშხაპოების და სხვა სამსახურებრივი სადგომებისა	40; 42,5; 45
სამგზავრო ლიფტების მელიფტე, ვახტიორი, შვეიცარი, დარაჯი, დამტარებელი, შიკრიკი, მესატურატორე	40

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. სტეპანოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 8 ივნისის № 525 დადგენილების დანართი № 3

თანამდებობრივი განაკვეთები

საქალაქო ტრანსპორტის მძღოლთა და სხვა მუშაკთა მოსამზადებელი და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სკოლების, კურსების, სასწავლებლების, კომბინატების საწარმოო სწავლების ოსტატებისა, უფროსი ოსტატებისა, დირექტორებისა და მათი მოადგილეებისა სასწავლო-საწარმოო ნაწილში

თანამდებობათა დასახელება	თვიური თანამდებობრივი განაკვეთები (მანეთობით)
საწარმოო სწავლების ოსტატი (ინსტრუქტორი) . .	85—110
უფროსი ოსტატი (უფროსი ინსტრუქტორი), როდესაც მოსწავლეთა რიცხვი:	
250 კაცამდეა	95—115
251-დან 500 კაცამდეა	100—120
500 კაცზე მეტია	110—125
დირექტორი (უფროსი) კომბინატისა, სასწავლებლებისა, სკოლისა, კურსებისა, როდესაც მოსწავლეთა რიცხვი:	
250 კაცამდეა	120—140
251-დან 500 კაცამდეა	130—145
500 კაცზე მეტია	140—150
დირექტორის (უფროსის) მოადგილე სასწავლო-საწარმოო ნაწილში, როდესაც მოსწავლეთა რიცხვი:	
250 კაცამდეა	110—130
251-დან 500 კაცამდეა	120—130
500 კაცზე მეტია	125—140

შენიშვნა: სპეციალური სახელოსნო და სპეციალური პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების საწარმოო სწავლების ოსტატებსა და უფროს ოსტატებს თანამდებობრივი განაკვეთები გაუდიდდებათ 10 პროცენტით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. სტეპანოვი.**

80 **საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 1 ნოემბრის № 1535 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 1 ნოემბრის № 1535 დადგენილება მოსწავლეთა ყოფაქცევის წესების დამტკიცების შესახებ.

მიღებულ იქნას ცნობად, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ შეიმუშავა და დაამტკიცა წესები მოსწავლეთათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 19 აგვისტო, № 519

81 **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 6 ივლისის № 590 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ**

იმის გამო, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1961 წლის 6 ივლისს მიიღო დადგენილება № 590 „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 17 აგვისტოს № 892 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების თაობაზე“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან და თბილისის საოლქო აღმასკომთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟების მუშაობაში სერიოზულ დარღვევათა და ნაკლოვანებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 6 თებერვლის № 175 დადგენილების მე-3 მუხლი.

2. „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 28 სექტემბრის № 784 დადგენილების მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მეორე აბზაცი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუპავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ბერაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 19 აგვისტო, № 521.

82 საწარმოებში სასწავლო საამქროების, მალებისა და უბნების მოწყობის წესების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთათვის საწარმოებში სასწავლო საამქროების, მალებისა და უბნების მოწყობის წესები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 25 აგვისტო, № 533

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 25 აგვისტოს № 533 დადგენილებით

საწარმოებში სასწავლო საამქროების, მალებისა და უბნების მოწყობის წესები

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საწარმოო-სწავლებიანი სკოლა თავის სასწავლო-საწარმოო ბაზად ირჩევს ერთ ან რამდენიმე უახლოეს საწარმოს, სადაც მოსწავლეები გადიან საწარმოო სწავლებას და ეუფლებიან შესაბამის პროფესიას.

საწარმო, რომელიც ამ მიზნით არის გამოყოფილი, თავის აღჭურვილობით უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე ტექნიკის მოთხოვნებს და იძლეოდეს სასწავლო-საწარმოო საამქროების, მალებისა და უბნების მოწყობის შესაძლებლობას.

საწარმოო სწავლება ეწყობა ცალკე მოსწავლეთა საამქროში ან საგანგებოდ გამოყოფილ სამუშაო ადგილებზე საერთო საამქროებში. ტექნიკური პირობებისა და უსაფრთხობის ტექნიკის წესების სრულად დაცვით.

დაუშვებელია საწარმოო სწავლების მოწყობა ჯანმრთელობისათვის მავნე საწარმოებსა და საამქროებში.

I. მოსწავლეთა სასწავლო-საწარმოო საამქროს მოწყობის წესი

1. მოსწავლეთა სასწავლო-საწარმოო საამქრო ეწყობა ცალკე გამოყოფილ ოთახში, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) თვითეულ მოსწავლეზე უნდა მოდიოდეს არანაკლებ 14 კუბური მეტრი მოცულობა;

ბ) ოთახის სიმაღლე იატაკიდან ჭერამდე უნდა იყოს არანაკლებ 3,5 მეტრისა;

გ) ოთახის იატაკი უნდა იყოს თბილი და მკვრივი; არ უნდა ჰქონდეს პრიალა ზედაპირი, არ უნდა იყოს მოპირკეთებული ბეტონით, მარმარილოთი ან ცემენტ-კირით;

დ) წლის ცივ პერიოდში ოთახის ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა უნდა შეადგენდეს 50-დან 60 პროცენტს;

ე) კარები, კიბეები და დერეფნები მოწყობილი უნდა იყოს ხან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძარსაწინააღმდეგო წესებისა და ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად;

ვ) ოთახებს, რომლებშიც ერთ მოსწავლეზე 20 კუბ. მეტრზე ნაკლები მოდის, უნდა ჰქონდეს ვენტილაცია;

ზ) სასწავლო-საწარმოო საამქროსათვის შერჩეული ოთახი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბუნებრივი განათებით, რომლის კოეფიციენტი უნდა იყოს არანაკლებ 0,25-სა, ე. ი. საამქროს ფანჯრების ჩამინული ზედაპირის შეფარდება საამქროს ფართობთან უნდა შეადგენდეს 1:4; იმ შემთხვევაში, თუ ოთახის ბუნებრივი განათება არ ხერხდება, გამოყენებულ უნდა იქნეს თანაბარი ხელოვნური განათება და სამუშაო ადგილზე არ უნდა ეცემოდეს ჩრდილი;

თ) ხელოვნური ელექტროგანათებისას სამუშაო ზედაპირის განათებულობა უნდა იყოს არანაკლებ 250—300 ლუქსისა, ხოლო ლუმინესცენციური განათების დროს — არანაკლებ 300 ლუქსისა (სასურველია 600 ლუქსი);

ი) ნათურების დაშორება იატაკიდან უნდა იყოს არანაკლებ 2,8 მეტრისა.

2. მოსწავლეთა სასწავლო საამქროში სამუშაო ადგილების რიცხვი იმგვარად უნდა განისაზღვროს, რომ თვითეულ სამუშაო ადგილზე მოდიოდეს თითო მოსწავლე.

3. სამუშაო ადგილის, დაზგის სიმაღლე უნდა შეესაბამებოდეს მასზე მომუშავე მოსწავლის ასაკს (შეიძლება გამოყენებულ იქნას ფეხსადებები) — 150 სმ სიმაღლის მოზარდისათვის სამუშაო ადგილის სიმაღლე უნდა იყოს 80 სმ. ხოლო უფრო მაღლებისათვის (160—165 სმ) — 85-90 სანტიმეტრი.

4. სამუშაო ადგილების მოწყობისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ტექნოლოგიური პროცესების შესრულების დროს მოსწავლეები იყენებდნენ საბუნებისმეტყველო დისციპლინებში (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) მიღებულ ცოდნას.

5. სამუშაო იარაღები და ხელსაწყოები უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვე ტექნიკის განვითარების დონეს, მოსწავლის ასაკს და იძლეოდეს შრომის მოწინავე მეთოდებით მუშაობისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან დაკავშირების შესაძლებლობას.

6. სამუშაო ადგილებზე შესაძლებელი უნდა იყოს მოცემული წარმოებისათვის ტიპური პროცესების განხორციელება და მწარმოებლური შრომის გაწევა.

7. სამუშაო ადგილებზე შესაძლებელი უნდა იყოს უსაფრთხოების ტექნიკის წესებისა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვა.

8. ჩარხები ან სხვა მძიმე დანადგარები (თუ ამას სპეციალობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესწავლა მოითხოვს) იდგმება მყარ საძირკველზე; ისინი გულმოდგინედ უნდა შემოწმდეს თარაზოსა და შვეულზე და კარგად დამაგრდეს.

9. ჩარხები და სხვა მძიმე დანადგარები ისე უნდა განლაგდეს რომ:

ა) მანძილი მათსა და შენობის უძრავ ნაწილებს (კედელი, სვეტი და სხვა) შორის იყოს არანაკლებ 300 მმ, თუ მათ შორის არ არის გათვალისწინებული სამუშაო ან მომსახურების ადგილები;

ბ) მანძილი მათსა და შენობის უძრავ ნაწილებს (კედლები, სვეტები და სხვა) შორის უნდა იყოს არანაკლებ 700 მმ, თუ მათ შორის არსებული ადგილი გამოიყენება მომსახურების ადგილად;

გ) მანძილი მათსა და შენობის უძრავ ნაწილებს (კედლები, სვეტები და სხვა) შორის უნდა იყოს არანაკლებ 1000 მმ, თუ მათ შორის არსებული ადგილი წარმოადგენს სამუშაო ადგილს;

დ) მანძილი ჩარხებს შორის ერთ მწკრივში უნდა იყოს არანაკლებ 500 მმ, თუ მათ შორის არ არის გათვალისწინებული გასასვლელი;

ე) მანძილი ჩარხებს ან სხვა მძიმე დანადგარებს შორის მათი აწყობა-სამუშაო მხრიდან განლაგებისას, უნდა იყოს არანაკლებ 500 მილიმეტრისა;

ვ) ჩარხებსა და სხვა მძიმე დანადგარებს შორის იატაკი უნდა იყოს სწორი, მაგრამ არა სრიალა;

ზ) ისეთი დანადგარების ზევით, რომლებიც მუშაობის დროს სპეციალური სამუშაოს შესრულებისას ჰაერს ამტვერიანებენ, უნდა მოეწყოს მტვერშემწოვი;

თ) მანქანებზე, ჩარხებზე და სხვა დანადგარებზე დაცული უნდა იყოს უსაფრთხობის ტექნიკის წესები (ღია გადამცემი დაცული უნდა იყოს ბადეებით, ელექტროსადენები დანადგარებთან უნდა მიდიოდეს იატაკის ქვეშ გავლით და სხვა);

ი) საშიშ ადგილებზე უნდა გაიკრას გამაფრთხილებელი წარწერები;

კ) მთავარი გამანაწილებელი ფარი და ჩამრთველები მოთავსებული უნდა იყოს კარადებში ან ყუთებში;

ლ) ჩარხები, მანქანები ან სხვა დანადგარები, რომლებზედაც დამონტაჟებულია ელექტროძრავები ან ელექტროხელსაწყოები, საიმედოდ უნდა იქნეს დამიწებული ან ჩანულებული მოქმედი წესების მოთხოვნათა შესაბამისად.

10. ცალკე ეწყობა გასახდელი (ცალკე გოგონებისათვისა და ცალკე ვაჟებისათვის) და საბანი ოთახები, რომლებიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ტანსაცმლის შესანახავი კარადებით (თითო მოსწავლეზე თითო კარადა), ხელსახოცებით, ტექნიკური საპნით, სარკით და სხვა.

11. სასწავლო-საწარმოო საამქროში ეწყობა პირველადი დახმარების აფთიაქი, რომელიც უზრუნველყოფილ უნდა იქნას სამედიცინო მედიკამენტებით.

II. მალებისა და უბნების მოწყობის წესი

საწარმოო სწავლების განხორციელებისათვის, როდესაც წარმოებას არა აქვს სასწავლო-საწარმოო საამქროს ცალკე გამოყოფის შესაძლებლობა, ან ამას მოითხოვს საწარმოოს პროფილის თავისებურება, საწარმოს საამქროში უნდა გამოიყოს მალები ან უბნები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ იგივე მოთხოვნებს, რომლებიც წაყენებულია სასწავლო-საწარმოო საამქროსა და მისი აღჭურვილობისადმი.

---

83 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 5 ივნისის № 428 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებების გაუქმების შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1960 წლის 5 ივნისს მიიღო დადგენილება № 428 „სარეწაო კოოპერაციის არტელების სახელმწიფო საწარმოებლად გარდაქმნისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს სისტემაში მათი გადაცემის შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი, დართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 25 აგვისტო, № 536

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 25 აგვისტოს № 536
დადგენილების დანართი

ნ უ ს ხ ა

საქართველოს სსრ მთავრობის იმ დადგენილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს სარეწაო კოოპერაციის არტელების სახელმწიფო საწარმოებად გარდაქმნისა და საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს სისტემაში მათი გადაცემის გამო

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 21 მაისის დადგენილება „სარეწაო კოოპერაციის წევრ შინამრეწველთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ. 1929 წელი, № 13, მუხ. 136).

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 15 ნოემბრის დადგენილება „სარეწაო კოოპერაციული არტელებისა და ამხანაგობებისა და აგრეთვე შინამრეწველებისა და ხელოსნებისათვის სადგომების დაქირავების შეღავათების შესახებ“.

(საქ. სსრ კან. კრ. 1932 წელი, № 24, მუხ. 247).

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წლის 8 დეკემბრის დადგენილება „სადგომების დაქირავების სფეროში სარეწაო კოოპერაციული არტელებისათვის (ამხანაგობებისათვის) მინიჭებული შეღავათების ინვალიდთა კოოპერაციის ამხანაგობებ-

სა და არტელებზე და ღარიბ ებრაელთა დამხმარე სრულიად საქართველოს კომიტეტის საწარმოო ორგანიზაციებზე გავრცელების შესახებ".

(საქ. სსრ კან. კრ. 1933 წელი, № 1, მუხ. 21).

4. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 11 მარტის № 334 დადგენილება „სარეწაო კავშირის რეორგანიზაციის შესახებ" — 1-7 მუხლები.

(საქ. სსრ კან. კრ. 1938 წელი, № 10, მუხ. 39).

5. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 6 დეკემბრის № 1600 დადგენილება „საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის საკითხები".

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 6 დეკემბრის № 1126 დადგენილება „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის შესასყიდად სარეწაო კოოპერაციის და ინვალიდთა კოოპერაციის დაშვების შესახებ" — დანართებით.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 19 აპრილის № 344 დადგენილება „სარეწაო კოოპერაციის და ინვალიდთა კოოპერაციის კულტურულ-მასობრივი მუშაობისა და კადრების მომზადების ფონდში პროცენტული დანარიცხების და ანარიცხების ნორმებისა და კრედიტების ვადების შესახებ".

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 1 ივნისის № 581 დადგენილება „საქართველოს სსრ ინვალიდთა კოოპერაციის დებულებისა და ინვალიდთა კოოპერაციული არტელის სანიმუშო წესდების დამტკიცების შესახებ".

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 11 აგვისტოს № 896 დადგენილება სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის სავაჭრო ქსელის დამტკიცების შესახებ".

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 1 აგვისტოს № 966 დადგენილება „სარეწაო კოოპერაციის ლითონმშენკავშირის სისტემაში სამხატვრო დეკორატიული ნაწარმისა და სამახსოვრო ნივთების დამამზადებელი სპეციალიზებული არტელის მოწყობის შესახებ".

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 24 აპრილის № 479 დადგენილება „საქართველოს სამომხმარებლო, სარეწაო კოოპერაციის და ინვალიდთა კოოპერაციის მიერ კოლმეურნეობებსა და გლეხებისაგან ზღვრულ-შესასყიდ ფასებში მცენარეულის ზეთისა და ღვინის შესყიდვის შესახებ".

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 23 ნოემბრის № 1645 დადგენილება „საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის არტელების კრედიტუნარიანობის აღდგენის ზომების შესახებ“.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 29 იანვრის № 107 დადგენილება „საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციასა და ინვალიდთა კოოპერაციაში კულტფონდის, დაჯილდოების ფონდისა და არტელების წევრთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდის სახსრების გამოყენების შესახებ“.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 24 თებერვლის № 324 დადგენილება „იმის შესახებ, რომ დაეტოვოს სარეწაო კოოპერაციას და საქინკოოპკავშირს საკონდიტრო ნაწარმის თავიანთი სისტემის საცალო ქსელში რეალიზაციისათვის“.

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 2 მარტის № 346 დადგენილების „სარეწაო კოოპერაციის არტელების მიერ დამზადებული ურმის თვლების საბითუმო ფასის დაწესების შესახებ“ — 1-ლი მუხლი.

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 17 მარტის № 389 დადგენილება „სარეწაო კოოპერაციაში ურთიერთდაკრედიტების უკანონო პრაქტიკის შესახებ“.

17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 10 აპრილის № 514 დადგენილება საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის სისტემაში სახვითი ხელოვნების მუშაკთა საწარმოო-კოოპერაციული არტელის მოწყობის შესახებ ქ. თბილისში“.

18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 25 ივნისის № 868 დადგენილება „საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის საბჭოსა და საქართველოს სსრ ინვალიდთა კოოპერაციის კავშირის გაერთიანების შესახებ“ .

19. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 28 დეკემბრის № 1713 დადგენილება „ქ. თბილისში საქართველოს სარეწაო კოოპერაციის არტელების სპეციალიზაციის შესახებ“.

20. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 6 მაისის № 420 დადგენილება „საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის საბჭოს წესდების დამტკიცების შესახებ“.

21. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 18 იანვრის № 49 დადგენილება „საქართველოს სარეწაო საბჭოს სისტემის სარეწაო კავშირებისა და აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეწაო საბჭოების ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის სტრუქტურისა და შტატების შესახებ".

22. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 11 ნოემბრის № 635 დადგენილების საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის საკითხები" — მე-3 მუხლი.

23. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 1 თებერვლის № 42 დადგენილების „ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისათვის, მშრომელთა დეპუტატების საოლქო აღმასკომისა და საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებისათვის ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტის გადაცემის შესახებ" — მე-7 მუხლი, აგრეთვე მე-11 მუხლის „ბ" ქვეპუნქტიდან და მეორე ნაწილის მე-20 მუხლიდან ამოიშალოს სიტყვები „და სარეწაო კოოპერაციის".

24. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 31 ოქტომბრის № 628 დადგენილება „საქართველოს სარეწაო საბჭოს სტრუქტურისა და შტატების შესახებ".

25. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 9 მარტის № 128 დადგენილება „საქსარეწკოოპდაზღვევის საბჭოს წესდების დამტკიცების შესახებ".

26. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 18 მარტის № 187 დადგენილება „საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის საბჭოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურისა და შტატის დამტკიცების შესახებ".

27. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 23 მაისის № 408 დადგენილება ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის საწარმოების მიერ დამზადებული სახალხო მოხმარების საქონლის საცალო ფასების დონის შესახებ" იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სარეწაო კოოპერაციის საწარმოებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

84 სამრეწველო მავნე ნაყარებისაგან ატმოსფერული ჰაერის გაბინძურების ლიკვიდაციის და თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ

რესპუბლიკური სანეპიდემიოლოგიური სადგურის, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარიისა და ჰი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიენის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს შრომის დაცვის თბილისის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დაკვირვებათა და სპეციალურ გამოკვლევათა შედეგად დადგენილია, რომ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული სათბობი და სხვა სამრეწველო დანადგარების მიერ გამოყოფილი მტვრითა და გაზით ატმოსფერული ჰაერის გაბინძურების დონე ჯერ კიდევ ძალზე მაღალია.

ასე მაგალითად, ქალაქ თბილისში, რუსთავსა და ზესტაფონში ატმოსფერული ჰაერის გამტვერიანება გაცილებით აღემატება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას. რუსთავის თბოელექტროცენტრალისაგან ყოველ დღე-ღამეში გამოიყოფა და ატმოსფეროს უერთდება 220 ტონაზე მეტი წვრილი ნაცარი, ხოლო რუსთავისა და კასპის ცემენტის ქარხნები ყოველდღიურად რამდენიმე ათეული ტონა მცირედისპერსიული მტვრით აბინძურებენ ჰაერს.

დიდი რაოდენობით ნაცარს (22 ტონამდე) გამოყოფს აგრეთვე ქუთაისის საავტომობილო ქარხნის თბოელექტროცენტრალი.

დადგენილია, რომ ბათუმის ნავთობსახდელი ქარხნიდან 700 მეტრის დაშორებითაც კი გოგირდოვანი გაზის შედგენილობა აღემატება ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციას.

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს შრომის დაცვის თბილისის ინსტიტუტის მონაცემებით, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მარტო № 1-ლი საამქროს ღუმელები დღე-ღამეში 28 ტონამდე მტვრით აბინძურებენ ჰაერს.

ჰაერის გაბინძურება შეინიშნება აგრეთვე საქართველოს კურორტებზეც; წყალტუბოში მცირე საქვაბეები ჰაერში უშვებენ დღე-ღამეში 2 ტონამდე მტვერს. ანალოგიური მდგომარეობაა გაგრისა და ბორჯომის კურორტებზეც.

აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომმა, სამინისტროებმა და უწყებებმა არ შეასრულეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 6 ოქტომბრის № 805 დადგენილებით დასახული ღონისძიებანი ატმოსფერული ჰაერის გაბინძურებასთან ბრძოლის დარგში. ჯერ კიდევ ადგილი აქვს ახალ სამრეწველო, კომუნალურ და სხვა ნაგებობათა მშენებლობას არსებული სანიტარული ნორმების დარღვევით.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის გეგმით მიმდინარე შვიდწლედში არ არის გათვალისწინებული საჭირო სახსრების გამოყოფა ატმოსფერული ჰაერის გაბინძურებისაგან დასაცავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომს, სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, აგრეთვე რუსთავის, ქუთაისის, ჭიათურის, გორისა და ფოთის საქალაქო საბჭოების აღმასკომებს:

ა) შეიმუშაონ და 1961 წლის ბოლოსათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომ სიას წარუდგინონ სანიტარული ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებული ღონისძიებანი სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნაყარებისაგან ატმოსფეროს გაბინძურების შემცირებისა და ლიკვიდაციის შესახებ.

დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე შეიმუშაოს პერსპექტიული გეგმა გაზსაწმენდი დანადგარებისა და მოწყობილობების მშენებლობისა იმ ანგარიშით, რომ ეს სამუშაოები დაწყებულ იქნას 1962 წელს და მთლიანად დასრულდეს მიჯდინარე შვიდწლედის ბოლოსათვის;

ბ) აკრძალონ ახალი და რეკონსტრუირებული სამრეწველო და საყოფაცხოვრებო საწარმოების ამუშავება სათანადო გაზსაწმენდი ნაგებობების გარეშე, „იმ ახალ საწარმოთა, ცალკეულ საამქროთა და აგრეგატთა საექსპლუატაციოდ გადაცემის წესის შესახებ, რომლებიც ატმოსფერულ ჰაერში უშვებენ მავნე გაზს, ორთქლსა და მტვერს“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 29 მაისის № 2196 დადგენილების შესაბამისად. აიკრძალოს აგრეთვე სათანადო გასაწმენდი მოწყობილობების გარეშე, იმ ახალი ტექნოლოგიური პროცესების შემოღება, რომლებიც დაკავშირებულია ატმოსფეროში მავნე ნაყარების გამოყოფასთან;

გ) მიმდინარე წლის ბოლომდე შეიმუშაონ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტს წარუდგინონ წინადადებანი შესაბამისი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების წლიურ თემატიკურ გეგმებში შესატანად, განსაკუთრებით მავნე საწარმოების ტექნოლოგიის შესაცვლელად, რათა შემცირდეს ატმოსფერული ჰაერის გაბინძურება და ძვირფასი პროდუქტების დანაკარგები;

დ) მაგარი სათბობის წვისაგან ატმოსფერული ჰაერის გაბინძურების შემცირების მიზნით აკრძალონ 1962 წლიდან ქალაქ თბილის-

ში ახალ შენობათა საქვაბეების მშენებლობა და შენობების გათბობა უზრუნველყონ სარაიონთაშორისო და კვარტალთშორისო საქვაბეებით, რომელთაც ექნებათ საწმენდი ნაგებობანი.

ნება დართონ, როგორც გამონაკლისი, ცალკეულ საცხოვრებელ შენობებში ინდივიდუალური საქვაბეების მშენებლობისა, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარულ ინსპექციასთან შეთანხმებით;

ე) გადასინჯონ სანიტარულ-დასაცავი ზონის უზრუნველყოფის მიზნით, ის ნაკვეთები, რომლებიც საცხოვრებელი შენობებისა და სამრეწველო საწარმოების ნაგებობათა მშენებლობისათვის არის გამოყოფილი.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და სახალხო მეურნეობის საბჭოს კონტროლი გაუწიონ სამრეწველო საწარმოებსა და მათ მომიჯნავე დასახლებულ პუნქტებზე გაზსაწმენდი დანადგარების მუშაობასა და ატმოსფერული ჰაერის გაზითა და მტვრით გაბინძურების აღკვეთას.

3. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამინისტროებსა და უწყებებს, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს 1962 წლიდან გაითვალისწინონ საპროექტო სამუშაოების წლიური გეგმებით დაქვემდებარებულ სამრეწველო, კომუნალურ და საყოფაცხოვრებო ობიექტებზე გაზსაწმენდ ნაგებობათა მოწყობის ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტს შეისწავლონ საკითხი, თუ რამდენად მიზანშეწონილია საქართველოს სს რესპუბლიკაში გაზსაწმენდ მოწყობილობათა დაპროექტებისა და გამართვის სპეციალიზებული ბიუროს შექმნა და სათანადო წინადადებანი წარმოადგინონ.

5. გაზსაწმენდ დანადგართა ეფექტიან სისტემათა და ცალკეულ კვანძთა შემუშავებისათვის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირეულად გაუმჯობესების მიზნით, ეთხოვოს პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს შრომის დაცვის თბილისის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთან მოაწყოს გაზსაწმენდი ლაბორატორია.

6. დაევალოთ საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს, საქართველოს სსრ მთავარგაზსა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შეიმუშაონ და ერთი თვის ვადაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ წინადადებანი რესპუბლიკის კურორტების კვების ბლოკებისა და საქვაბეების თხევადი გაზის გამოყენებით გაზიფიკაციის შესახებ.

7. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მშრომელთა დეპუტატების თბილისისა და რუსთავის საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს და საქართველოს სსრ მთავარგაზს გადასინჯონ ქალაქ თბილისისა და რუსთავის სამრეწველო და სხვა ობიექტების თბომეურნეობების გაზზე გადაყვანის გეგმა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობების საქვაბეების, საავადმყოფოების, სბავშვო ბაღებისა და ბაგების კვების ბლოკების გაზიფიკაციას.

8. დაევალოთ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს გააძლიერონ კონტროლი იმ შიგაწვის ძრავების წესივრობისადმი, რომლებსაც ავტოტრანსპორტი იყენებს.

9. წინადადება მიეცეთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ კონტროლი იმ ღონისძიებათა განხორციელებისადმი, რომლებიც დაკავშირებულია ატმოსფერული ჰაერის გაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლასთან.

10. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიას 1962 წლის პირველ კვარტალში შეამოწმოს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა და შედეგები მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 31 აგვისტო, № 556

ეროვნული ბიბლიოთეკა

85 უცხო ენების სწავლების გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ურთიერთობის შემდგომი გაფართოების პირობებში უცხო ენების ცოდნას მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისა და რესპუბლიკის მშრომელთა ფართო წრეებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში უცხო ენების სწავლება უკანასკნელ წლებში შედარებით გაუმჯობესდა, მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

იმ პირთა უმრავლესობა, ვინც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებს ამთავრებს, როგორც წესი, უცხო ენებს სუსტად ფლობს; მხოლოდ მცირე მარაგი სიტყვებისა და გრამატიკის ფორმალური ცოდნა, არ აძლევთ მათ უცხო ენაზე შედგენილი ტექსტების ულექსიკონოდ თარგმნის საშუალებას. განსაკუთრებით არასაკმარისია სალაპარაკო ენის ათვისებისა და მართლწერის დონე; სერიოზული ნაკლოვანებანია უცხო ენების მასწავლებელთა მომზადების საქმეში. შექმნილია უცხო ენების სწავლების არარაციონალური შეფარდება; მოსწავლეების დიდი ნაწილი სწავლობს გერმანულ ენას, მცირე ნაწილი — ინგლისურსა და ფრანგულს. სრულებით არ ისწავლება ფართოდ გავრცელებული აღმოსავლური ენები.

„უცხო ენების სწავლების გაუმჯობესების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 27 მაისის № 468 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის და კულტურის სამინისტროებს და სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის პრეზიდიუმს მიიღონ ქმედითი ზომები უცხო ენების სწავლების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და მათი სწავლების ძირფესვიანად გაუმჯობესებისათვის. საშუალო და უმაღლეს სკოლებში უცხო ენების სწავლების მთავარ ამოცანად ჩაითვალოს უცხო ენების პრაქტიკულად დაუფლება.

2. 1961—1965 წლებში დამატებით გაიხსნას 21 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, სადაც მოეწყობა რიგი საგნების უცხო ენაზე შესწავლა, დანართის თანახმად. 1961—1962 სასწავლო წელს შემოღებულ იქნას რიგი საგნების უცხო ენაზე სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო გეგმებისა და პროგრამების ფარგლებში ქ. თბილისის № 3, ბათუმის № 1, ქუთაისის № 1 სკოლა-ინტერნატებში.

3. როგორც წესი, უმაღლეს სასწავლებლებში უცხო ენებში აუდიტორიული მეცადინეობა განისაზღვროს (გარდა უცხო ენათა ინსტიტუტების და ფაკულტეტებისა) არა ნაკლებ 240 საათის ოდენობით, გარდა ამისა, მსურველებისათვის მოეწყოს უცხო ენების ფაკულტატური შესწავლა.

4. დაწესდეს, რომ კვალიფიციური მასწავლებლებისა და საჭირო ფართობის არსებობის შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში კლასები 25-ზე მეტი მოსწავლით უცხო ენაში მეცადინეობისათვის გაიყოს 2 ჯგუფად. კლასების აღნიშნულ ჯგუფებად დაყოფა დაიწყოს 1961—1962 სასწავლო წელს მეხუთე კლასიდან და თანდათანობით დამთავრდეს შვიდი წლის განმავლობაში. საღამოს (ცვლიანი) საშუალო სკოლების IX-XI კლასებში კვალიფიციური მასწავლებლებისა და მოსწავლეების შესაფერისი კონტიგენტის არსებობისას შემოღებულ იქნას დამატებითი ფაკულტეტური მეცადინეობა უცხო ენაში კვირაში 2 საათის ხანგრძლიობით.

დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს:

ა) სრულყოს უცხო ენების სასწავლო პროგრამები და უზრუნველყოს ამ პროგრამების შესაბამისი ისეთი სახელმძღვანელოების შედგენა, რომელთა შინაარსი მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მოსწავლეებს სალაპარაკო ენის გამომუშავებაში და უცხო ენაზე შედგენილი ტექსტის ულექსიკონოდ თარგმნაში;

ბ) აუკრძალოს უცხო ენების სწავლება უცხო ენის სუსტად მცოდნე სხვა საგნების მასწავლებლებს, ხოლო არასაკმარისი მომზადების მქონე უცხო ენის მასწავლებლები გაგზავნოს მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე ან გაათავისუფლოს სამუშაოდან თანახმად არსებული კანონმდებლობისა. მოაწყოს უცხო ენების მასწავლებელთა ერთწლიან კურსებზე გადამზადება, ეს კურსები მოეწყოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტთან. უცხო ენების მასწავლებელთა დანიშვნა მოხდეს მათი პერსონალური შერჩევის გზით;

გ) მშობელთა სურვილის მიხედვით და მათ ხარჯზე საბავშვო ბაღებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებით კლასებ-

ში მოეწყოს უცხო ენების შემსწავლელი ჯგუფები; 1961 წლის პირველი სექტემბრისათვის შეადგინოს და დაამტკიცოს ამ ჯგუფების მუშაობის დებულება და სასწავლო პროგრამები. მიიღოს ზომები ორიგინალური სახელმძღვანელოების მომზადებისა და გამოცემისათვის. აღნიშნული ჯგუფების უცხო ენების მასწავლებლები შრომის ანაზღაურებით, აგრეთვე შეღავათებით, უპირატესობებით და პენსიის უზრუნველყოფით გაუთანასწორდეს რვაწლიანი სკოლის მასწავლებლებს;

ი) წარმოუდგინოს ერთ თვეში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უცხო ენის სწავლებისათვის საჭირო ინვენტარისა და სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყოების სია. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ უზრუნველყოს მათი სახალხო მეურნეობის საბჭოს, ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროსა და განათლების სამინისტროს საწარმოებში დამზადდება იმ ანგარიშით, რომ თვითეული რვაწლიანი და საშუალო სკოლა, სადაც ისწავლება უცხო ენა, უახლოეს წლებში უზრუნველყოს საჭირო ინვენტარითა და სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყოებით;

ე) წარუდგინოს ათი დღის ვადაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას გაანგარიშება 1961—1965 წლებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის იმ მასწავლებელთა მომზადების შესახებ, რომელთაც შეეძლებათ რიგი საგნების უცხო ენაზე სწავლება;

ვ) წარმოუდგინოს მიმდინარე წლის 15 სექტემბრამდე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება საქართველოს სსრ რვაწლიან და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში უცხო ენების სწავლების მიზანშეწონილი შეფარდების შესახებ, ამასთან ევროპულ ენებთან ერთად გაითვალისწინოს ფართოდ გავრცელებული აღმოსავლური ენების სწავლება.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს:

ა) უცხო ენების სწავლების გაუმჯობესების მიზნით სრულყოს უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო გეგმები, სახელმძღვანელოები და პროგრამები. გააძლიეროს სტუდენტების პედაგოგიური პრაქტიკა და პრაქტიკული მეცადინეობები ენის ათვისებისათვის;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ მიცემული გეგმის საფუძველზე 1961—1962 სასწავ-

ლო წლიდან უნივერსიტეტსა და პედაგოგიურ ინსტიტუტებში მოაწყოს ზოგადსაგანმანათლებლო საგნების მასწავლებელთა მომზადება, რომელთაც შეეძლებათ საშუალო სკოლებში რიგი საგნების უცხო ენებზე სწავლება;

გ) თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში მოამზადოს შემდეგი საგნების მასწავლებლები: 1. უცხო ენისა და რუსული ენისა, 2. უცხო ენისა და მშობლიური ენისა, 3. უცხო ენის მასწავლებელი და სკოლა-ინტერნატის აღმზრდელი. დანარჩენი საგნების მასწავლებლები მომზადებულ იქნან თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რისთვისაც სათანადო ფაკულტეტებზე შეიქმნას სპეციალური ჯგუფები;

დ) მოაწესრიგოს უცხო ენების სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტსა და უნივერსიტეტში (ფაკულტეტებზე) უცხო ენების მასწავლებელთა სასწავლო დატვირთვა ამ საგნების მაპროფილებელი მნიშვნელობის მხედველობაში მიღებით, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ აღმოიფხვრას მასწავლებელთა გადატვირთვა;

ე) უნივერსიტეტის, უცხო ენების ინსტიტუტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების ფაკულტეტებზე, რომლებიც ამზადებენ უცხო ენების მასწავლებლებს, უცხო ენაში პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარებისათვის ჯგუფში მყოფ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვროს 7—10 კაცის, ხოლო სხვა ფაკულტეტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში — 12—15 კაცის რაოდენობით;

ვ) ორი თვის ვადაში დააზუსტოს მოთხოვნილებები 1963—1967 წლებისათვის უცხო ენების მასწავლებლებზე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს წინადადებანი უნივერსიტეტში ან უცხო ენების ინსტიტუტში უმაღლესი სასწავლებლებისათვის უცხო ენების მაღალკვალიფიციურ მასწავლებელთა კადრების მომზადების მიზნით ორწლიანი უმაღლესი პედაგოგიური კურსების მოწყობის შესახებ.

აღნიშნულ კურსებზე კონკურსის წესით მიღებულ იქნან უმაღლესი განათლების მქონე პირები. ამ კურსების მსმენელებისათვის დაწესდეს საკვალიფიკაციო გამოცდები უმაღლესი სასწავლებლის უცხო ენის მასწავლებლის წოდების მისაღებად. აღნიშნული კურსების მსმენელების სტიპენდია გაუთანაბრდეს ასპირანტთა სტიპენდიას. აღნიშნული კურსდამთავრებულები, როგორც წესი, გაიგზავნონ უმაღლეს სასწავლებლებში სამუშაოდ უფროს მასწავლებლებად. ამ კურსების დამთავრება მხედველობაში იქნას მიღებული ამ მასწავლებლებისათვის დოცენტის წოდების მინიჭების დროს;

ზ) გააფართოოს უცხო ენების შემსწავლელ მოზრდილთა დაუსწრებელი და დასწრებული კურსების ქსელი. შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს ამ კურსების დებულება, გაითვალისწინოს მოსწავლეთა რაოდენობა უცხო ენების შემსწავლელ მოზრდილთა კურსების თვითეულ ჯგუფში არა უმეტეს 20 კაცისა.

უცხო ენების შემსწავლელი კურსების მასწავლებლები სასწავლო დატვირთვით, შრომის ანაზღაურებით, აგრეთვე შეღავათებით, უპირატესობებითა და პენსიის უზრუნველყოფით გაუთანაბრდეს საშუალო სკოლის მასწავლებლებს;

თ) ნება დართოს უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს შექმნან კურსები იმ სტუდენტებისათვის, რომელთაც სურთ უცხო ენის ცოდნის გაღრმავება.

7. დაისვას საკითხი სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ სწავლების ვადა ექვს წლამდე გადიდდეს თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში და თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სათანადო ფაკულტეტების სპეციალურ ჯგუფში, რომლებიც მასწავლებლებს ამზადებენ იმ სკოლებისათვის, სადაც შემოღებული იქნება ზოგიერთი საგნის უცხო ენაზე შესწავლა.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას 1962 წლისათვის გაითვალისწინოს ერთი სასწავლო კორპუსის მშენებლობა თბილისის უცხო ენების ინსტიტუტისათვის, აგრეთვე წარმოადგინოს წინადადება ქ. თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო-მატერიალური ბაზის გაფართოების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 6 სექტემბერი, № 564

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 6 სექტემბრის № 564 დადგენილების დანართი

დავალება

1961 — 1965 წლებში იმ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გახსნისა, სადაც რიგი საგნების უცხო ენაზე სწავლება მოეწყობა

ქალაქები	1961/62	1962/63	1963/64	1964/65
თბილისი	4	1	1	1
ქუთაისი	1	—	1	—
სოხუმი	2	—	—	—
ბათუმი	1	—	—	1
სტალინირი	1	—	—	—
რუსთავი	1	—	—	—
თელავი	—	1	—	—
გორი	—	1	—	—
ფოთი	—	—	1	—
მახარაძე	—	1	—	—
ზუგდიდი	—	1	—	—
ჭიათურა	—	—	—	1
სულ	10	5	3	3

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

86 **„სახელმწიფოსათვის მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის მიყიდვის გეგმის შესრულებისა და გადაჭარბებით შესრულებისათვის კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოების დაჯილდოების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 13 ივლისის № 634 დადგენილება „სახელმწიფოსათვის მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიყიდვის გეგმის შესრულებისა და გადაჭარბებით შესრულებისათვის კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოების წასახალისებლად დაჯილდოების ფონდის შექმნისა და მისი გამოყენების წესის შესახებ“.

2. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 13 ივლისის № 634 დადგენილების შესაბამისად, დამტკიცდეს დებულება „სახელმწიფოსათვის მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის მიყიდვის გეგმის შესრულებისა და გადაჭარბებით შესრულებისათვის კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოების დაჯილდოების შესახებ“.

3. საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა გააცნონ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 13 ივლისის № 634 დადგენილება და ამ დადგენილებასთან თანდართული დებულება და მოაწყონ სათანადო მუშაობა მათი ახსნა-განმარტებისათვის.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს 1962 წლიდან, ყოველწლიურად, გაითვალისწინოს საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში თანხები დაჯილდოების ფონდისათვის 0,3

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროცენტის ოდენობით იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულებისა, რომელსაც სახელმწიფო ყიდულობს საქართველოს სს რესპუბლიკაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 23 სექტემბერი, № 596

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 23 სექტემბრის № 596 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფოსათვის მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის მიყიდვის გეგმის შესრულებისა და გადაჭარბებით შესრულებისათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოების დაჯილდოების შესახებ

ეს დებულება კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოების დაჯილდოების შესახებ შემუშავებულია „სახელმწიფოსათვის მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიყიდვის გეგმის შესრულებისა და გადაჭარბებით შესრულებისათვის კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოების წასახალისებლად დაჯილდოების ფონდის შექმნისა და მისი გამოყენების წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 13 ივლისის № 634 დადგენილების შესაბამისად.

1. კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები დაჯილდოვდებიან კონტრაქტაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მაღალხარისხოვანი (საუკეთესო ასორტიმენტის) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნედლეულის სახელმწიფოსათვის მიყიდვის ვალდებულებათა დროულად შესრულებისა და გადაჭარბებით შესრულებისათვის, სახელდობრ: კონტრაქტაციის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ჰიბრიდული სიმინდის, ლობიოს, ჩაის პირველი ხარისხის თესლეულის, პირველი და მეორე ხარისხის თამბაქოს, საბაზისო შაქრიანობის, ყურძნის, ხოლო არა შამპანურისა, — საბაზისო და მეტი შაქრიანობის, მაღალი და საშუალო სიმსუქნის ფრინვლისა და პირუტყვის, საბაზისო და მეტი ცხიმიანობის რძის, სტანდარტული თესლოვანი და კურკოვანი ხილის, სტანდარტული ციტრუსოვანთა ნაყოფის, ხარისხოვანი აბრეშუმის პარკის მიყიდვის კონტრაქტაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისა და გადაჭარბებით შესრულებისათვის, იმ პირობით, თუ შესრულებულია სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის, აბრეშუმის პარკის, სოიის თესლეულის, ეთერზეთოვანთა ნედლეულის მიყიდვის გეგმა ნატურალური გამოხატულებით და სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის მიყიდვის საერთო მოცულობა ფულადი გამოხატულებით, აგრეთვე იმ პირობით, თუ შესრულებულია წლის ბოლოსათვის ყველა სახის პროდუქტიული პირუტყვის საწყისი სულადობის გეგმა და მეურნეობა უზრუნველყოფილია საკუთარი თესლეულით.

2. კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოების დაჯილდოება, რომლებთანაც იდება კონტრაქტაციის ხელშეკრულებანი, ხდება წელიწადში ერთხელ, საანგარიშო წლის მომდევნო წლის პირველ კვარტალში, კონტრაქტაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის მიყიდვის ვალდებულებათა შესრულების შედეგების მიხედვით.

3. ამ დებულების პირველ მუხლში გათვალისწინებული სახელმწიფოსათვის მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის მიყიდვისათვის კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოების დასაჯილდოებლად წესდება პრემიები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მოცულობის მიხედვით, შემდეგი ოდენობით:

სახელმწიფოსათვის მაღალხარისხოვანი პროდუქტებისა და ნედლეულის მიყიდვის ვალდებულებათა შესრულებისა და 5 პროცენ-

ტამდე გადაჭარბებისათვის ფულადი გამოხატულებით, პრემია წესდება 1 ათასიდან 2 ათას მანეთამდე.

ვალდებულებათა 6-დან 10 პროცენტამდე გადაჭარბებით შესრულებისათვის ფულადი გამოხატულებით, პრემია წესდება 2 ათასიდან 3.500 მანეთამდე.

ვალდებულებათა 6-დან 10 პროცენტამდე გადაჭარბებით შესრულებისათვის ფულადი გამოხატულებით, პრემია წესდება 3,5 ათასიდან 5,5 ათას მანეთამდე.

ვალდებულებათა 15 პროცენტზე ზევით გადაჭარბებით შესრულებისათვის ფულადი გამოხატულებით, პრემია წესდება 5,5 ათასიდან 8 ათას მანეთამდე.

4. კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოებს პრემიებს მიანიჭებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, რაიაღმასკომებისა და შესყიდვის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორების წარდგენით, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში — მინისტრთა საბჭოებთან და საოლქო აღმასკომთან შეთანხმებით, აგრეთვე შესყიდვის სათანადო ინსპექციებთან.

5. შესყიდვის რაიონული (სარაიონთაშორისო) მთავარი სახელმწიფო ინსპექტორები რაიაღმასკომებთან ერთად დასაჯილდოებლად წარადგენენ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოებს მას შემდეგ, რაც მთავარ სახელმწიფო ინსპექტორებთან არსებული მუდმივმოქმედი საბჭოები განიხილავენ მასალებს ამ საკითხთან დაკავშირებით.

6. კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოები მიღებულ პრემიებს გამოიყენებენ წარმოების მოწინავეების, სპეციალისტებისა და მეურნეობათა ხელმძღვანელების წასახალისებლად, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ წარმოების განვითარებაზე და სახელმწიფოსათვის მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიყიდვის გადიდებაზე.

7. მუშაკთა დაჯილდოებას, გარდა მეურნეობათა ხელმძღვანელებისა, აწარმოებენ კოლმეურნეობათა გამგეობები, საბჭოთა მეურნეობათა დირექციები ძირეული პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების დაჯილდოების საკითხს

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყვეტს კოლმეურნეთა საერთო კრება, ხოლო საბჭოთა მეურნეობათა დირექტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოთა ხელმძღვანელებისა — რაიაღმასკომები, შესყიდვის მთავარ სახელმწიფო ინსპექტორთა წარდგენით.

8. პრემიის თანხა, რომელიც თითო მუშაკს ეძლევა, არ უნდა აღემატებოდეს 300 მანეთს.

პრემიები, რომლებიც ამ დებულების შესაბამისად ეძლევათ საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოების მუშაკებს, შედის თვითეული მუშაკისათვის დაწესებული წლიური პრემიის საერთო ოდენობაში.

9. დაჯილდოების ფონდი შეიქმნება საქართველოს სსრ დამზადებათა სამინისტროში იმ თანხების ხარჯზე, რაც ყოველწლიურად არის გათვალისწინებული საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტით.

ასლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 634

1961 წლის 13 ივლისი

მოსკოვი, კრემლი

სახელმწიფოსათვის მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიყიდვის გეგმის შესრულებისა და გადაჭარბებით შესრულებისათვის კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოების წასახალისებლად დაჯილდოების ფონდის შექმნისა და მისი გამოყენების წესის შესახებ

იმ მიზნით, რომ კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოებმა, რომლებთანაც იდება კონტრაქტაციის ხელშეკრულებები, მეტი მატერიალური დაინტერესება გამოიჩინონ სახელმწიფოსათვის მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიყიდვის გეგმის შესრულებისა და გადაჭარბებით შესრულებისადმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას დაჯილდოების ფონდი სახელმწიფოსათვის მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიყიდვის გეგმის

შესრულების და გადაჭარბებით შესრულებისათვის კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოების წასახალისებლად. დამტკიცდეს დაჯილდოების ფონდის ოდენობა (სახელმწიფოს მიერ შესასყიდი მთელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულების პროცენტულად) მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით, დანართის თანახმად.

2. დაწესდეს, რომ ამ დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული დაჯილდოების ფონდი შეიქმნება მოკავშირე რესპუბლიკების დამზადებათა სამინისტროებში. ამ ფონდისათვის საჭირო თანხები ყოველწლიურად გათვალისწინებულ იქნება მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებით.

3. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოები დაჯილდოვდებიან კონტრაქტაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის სახელმწიფოსათვის მიყიდვის ვალდებულებათა შესრულების და გადაჭარბებით შესრულებისათვის, იმ პირობით, თუ შესრულებულია წლის ბოლოსათვის ყველა სახის პროდუქტიული პირუტყვის საწყისი სულადობის გეგმა და მეურნეობები უზრუნველყოფილია საკუთარი თესლეულით. დაჯილდოება ხდება წელიწადში ერთხელ, მეურნეობების მიერ კონტრაქტაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და ნედლეულის მიყიდვის ვალდებულებათა შესრულების შედეგების მიხედვით.

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოებს პრემიებს მიანიჭებენ საოლქო აღმასკომები, სამხარეო აღმასკომები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და მინისტრთა საბჭოები მოკავშირე რესპუბლიკებისა, რომელთაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, რაიაღმასკომებისა და შესყიდვის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორების წარდგენით.

4. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დააწესონ, ამ დადგენილების შესაბამისად, ჯილდოების ოდენობა მეურნეობისათვის 1000 მანეთიდან 8000 მანეთამდე ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მოცულობის მიხედვით, აგრეთვე დაადგინონ წესი კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა და სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოების დაჯილდოებისა და ამ სახსრების გამოყენებისა წარმოების იმ მოწინავეების, სპეციალისტებისა და მეურნეობათა ხელმძღვანელების წასახალისებლად, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ წარმოების განვითარებაზე და სახელმწიფოსათვის მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიყიდვის გადიდებაზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ხრუშჩოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. სტეპანოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 14 ივლისის № 634 დადგენილების დანართი

ოდენობა

დაჯილდოების ფონდისა სახელმწიფოსათვის მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიყიდვის შესრულებისა და გადაჭარბებით შესრულებისათვის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო საწარმოების წასახალისებლად

	სახელმწიფოს მიერ შესასყიდი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულების პროცენტულად
რსფსრ	0,2
უკრაინის სსრ	0,2
ბელორუსიის სსრ	0,4
უზბეკეთის სსრ	0,1
ყაზახეთის სსრ	0,12
აქედან: ყირიმის მხარე	0,15
რესპუბლიკის დანარჩენი რაიონები	0,1
საქართველოს სსრ	0,3
აზერბაიჯანის სსრ	0,3
ლიტვის სსრ	0,4
მოლდავეთის სსრ	0,2
ლატვიის სსრ	0,4
ყირგიზეთის სსრ	0,1
ტაჯიკეთის სსრ	0,1
სომხეთის სსრ	0,3
თურქმენეთის სსრ	0,1
ესტონეთის სსრ	0,4

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. სტეპანოვი.**

87 საბჭოთა მეურნეობების კუთვნილ სახლებში საცხოვრებელი ფართობის გამოყენების მოწესრიგების შესახებ

„საბჭოთა მეურნეობების კუთვნილ სახლებში საცხოვრებელი ფართობის გამოყენების მოწესრიგების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 12 აგვისტოს № 755 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს იმ მუშა-მოსამსახურეთა ადმინისტრაციული გამოსახლება საბჭოთა მეურნეობების საცხოვრებელი სახლებიდან საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით, შრომის დისციპლინის დარღვევისათვის ან ბოროტმოქმედების ჩადენისათვის დათხოვნასთან დაკავშირებით.

„სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების სახლებიდან იმ მუშა-მოსამსახურეთა ადმინისტრაციული გამოსახლების გაუქმების შესახებ, რომლებმაც შრომითი ურთიერთობა შეწყვიტეს“, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 10 სექტემბრის ბრძანებულების მე-2 მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციული წესით არ უნდა იქნან გამოსახლებული:

ის პირები, რომლებიც არჩეული არიან ხელმძღვანელ თანამდებობებზე სამუშაოდან განთავისუფლებით;

ის პირები, რომლებიც გადაყვანილი არიან სხვა სამუშაოზე საწარმოების ორგანოების გადაწყვეტილებით;

სამამულო ომის ინვალიდები, I და II ჯგუფის შრომის ინვალიდები, მოხუცებულობის პენსიონერები, პერსონალური პენსიონერები;

სამამულო ომის ფრონტებზე დაღუპულ ან უკვალოდ დაკარგულ სამხედრო მოსამსახურეთა და პარტიზანთა ოჯახები; საბჭოთა არმიის სამსახურში მყოფ პირთა ოჯახები, აგრეთვე იმ გარდაცვლილ მუშაკთა ოჯახები, რომლებსაც მიცემული ჰქონდათ საცხოვრებელი ფართობი საწარმოს ან დაწესებულებების მიერ.

2. დაწესდეს, რომ იმ პირთა გამოსახლება, რომლებმაც მიიღეს საცხოვრებელი ფართობი საბჭოთა მეურნეობებში მათთან არაშრომითი დამოკიდებულების შედეგად, მოხდება სასამართლო წესით ისე, რომ გამოსახლებულს მიეცეს სხვა საცხოვრებელი ფართობი.

3. გავრცელდეს ამ დადგენილების 1 და 2 მუხლებით გათვალისწინებული გამოსახლების წესი იმ პირებზედაც, რომლებმაც წინათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღეს საცხოვრებელი ფართობი საბჭოთა მეურნეობების სახლებში ან საბჭოთა მეურნეობების მიერ იჯარით აღებულ სახლებში.

4. მიღებულ იქნას ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თავისი 1961 წლის 12 აგვისტოს № 755 დადგენილებით „საბჭოთა მეურნეობების კუთვნილ სახლებში საცხოვრებელი ფართობის გამოყენების მოწესრიგების შესახებ“:

ა) აკრძალა საცხოვრებელი ფართობის მიცემა საბჭოთა მეურნეობების სახლებში ან მათ მიერ იჯარით აღებულ სახლებში იმ პირებისათვის, რომლებიც მოცემულ საბჭოთა მეურნეობაში არ მუშაობენ;

ბ) დაავალა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, აგრეთვე საკუთარი საცხოვრებელი ფონდის მქონე სახელმწიფო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომელთა მუშაკები საბჭოთა მეურნეობების სახლებში ცხოვრობენ, 1962 წლის 1 იანვრამდე მისცენ საცხოვრებელი ფართობი იმ პირებს, რომლებიც გამოსახლებულ უნდა იქნან აღნიშნული სახლებიდან იმ წესით, რაც გათვალისწინებულია ამ დადგენილებების მე-2 მუხლის შესაბამისად;

გ) გაათავისუფლა საბჭოთა მეურნეობები მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებისათვის საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტის გადაცემისაგან ახლადაშენებულ სახლებში;

დ) მიზანშეწონილად ცნო გამოიყოს საბჭოთა მეურნეობების კუთვნილ სახლებში სამსახურებრივი ბინები, რათა მიეცეს ისინი საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, განყოფილებების (ფერმების) მმართველებს, აგრონომებს, ზოოტექნიკოსებს, ვეტექიმებსა და ინჟინრებს, ხოლო ყაზახეთის, ციმბირის და ურალის ყამირის მიწების რაიონებში, აგრეთვე სატრაქტორო და სატრაქტორო-მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირებს, კომბაინერებსა და ტრაქტორისტებს მოცემულ საბჭოთა მეურნეობებში მუშაობის დროისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 22 სექტემბერი, № 597

88 ფასების შექმნის დარგში მუშაობის მოწესრიგების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის ფასების საკითხების კომისიის 1961 წლის 13 ივლისის № 11 დავალების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს სისტემატურად შეამოწმონ საწარმოებსა და სავაჭრო ქსელში საბითუმო და საცალო ფასების გამოყენების სისწორე და მიიღონ საჭირო ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, სახალხო მეურნეობის საბჭომ და ვაჭრობის სამინისტრომ მტკიცედ ადევნონ თვალყური მათ მიერ დამტკიცებული დროებითი საბითუმო და საცალო ფასების მოქმედების ვადებს და მათი გასვლის შემდეგ გადააფორმონ ისინი მუდმივ ვადებზე.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 28 ივლისის № 479 დადგენილების დამატებით უფლება მიენიჭოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს დააწესოს ერთიანი საცალო ფასები სახალხო მოხმარების თანამოსახელე, ერთიანი ხარისხის საქონელზე, რომელიც სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან შემოაქვთ.

იმ შემთხვევაში თუ მოიპოვება რესპუბლიკაში დამტკიცებული საწარმოო ფასები, თანამოსახელე, ერთნაირი ხარისხის საქონლის ერთიანი საცალო ფასები დაწესდება რესპუბლიკაში მოქმედი საცალო ფასების დონეზე.

4. აეკრძალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს გამოუშვას საცალო ქსელში და მიყიდოს მოსახლეობას სხვადასხვა საცალო ფასებში სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან მიღებული და რესპუბლიკაში დამზადებული სახალხო მოხმარების თანამოსახელე, ერთნაირი ხარისხის საქონელი.

5. დაწესდეს, რომ განსხვავება იმ საცალო ფასებსა (სავაჭრო ფასჩამოკლების გამოკლებით), რომლებიც დაწესდება ამ დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად და საქონლის წარმოების ადგილზე არსებულ ფასებს შორის, მიეკუთვნება სავაჭრო ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობის შედეგებს.

6. დაწესდეს, რომ სახალხო მოხმარების საქონლის საცალო ფასების პროდუქტებს განიხილავს იმავდროულად ყველა დაინტერესე-

ბული ორგანიზაცია საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროში შესაბამისი საწარმოს წარმომადგენლის მოხსენების საფუძველზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 22 სექტემბერი, № 598

89 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესახებ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლის ან ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 3 ოქტომბერი, № 610

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 3 ოქტომბრის № 610 დადგენილებით

დ ე ბ ა უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 55 მუხლის შესაბამისად არის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეორგანიზაციის შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 20 თებერვლის № 152 დადგენილების და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 57 მუხლის შესაბამისად, ხელმძღვანელობას უწევს სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა და სადგურებს, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს, საცდელ-საჩვენებელ მეურნეობებს და რესპუბლიკურ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც სამინისტროს სისტემაში შედიან, და თავის საქმიანობაში ემორჩილება როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ისე სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსაც.

3. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელიც, საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 52 მუხლის შესაბამისად, ხელმძღვანელობს სამინისტროს და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მთელ საქმიანობას.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი უზრუნველყოფს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მითითებების შესრულებას, რომლებიც შეეხება სოფლის მეურნეობას.

4. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი, საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 53 მუხლის შესაბამისად, გამოსცემს სამინისტროს კომპეტენციას ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და მათ შესასრულებლად, შეამოწმებს მათ შესრულებას.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი გააუქმებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, აგრეთვე სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელთა ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და შეაჩერებს ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მინისტრების ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

წინადადებებს ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მინისტრების ბრძანებებისა და ინსტრუქციების გაუქმების შესახებ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი შეიტანს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განსახილველად.

მინისტრი დანიშნავს და სამუშაოდან გაათავისუფლებს სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკებს და მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკებს, სათანადო წესით შექმნის, გადააკეთებს და გააუქმებს საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს; დაამტკიცებს დებულებებს სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებათა შესახებ, აგრეთვე დებულებებს მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების შესახებ.

5. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში შეიქმნება კოლეგია მინისტრის (თავმჯდომარე), მინისტრის მოადგილეებისა და სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების შემადგენლობით.

კოლეგიის შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის წარდგენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლეგია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს პრაქტიკული ხელმძღვანელობის, კადრების შერჩევისა და განაწილების, უმნიშვნელოვანესი პროექტების, ბრძანებებისა და ინსტრუქციების შესრულების კონტროლის საკითხებს, მოისმენს სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების, აგრეთვე დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელ მუშაკთა ანგარიშებს.

კოლეგიის დადგენილებანი ცხოვრებაში ტარდება მინისტრის ბრძანებით.

მინისტრსა და კოლეგიის ცალკეულ წევრებს შორის უთანხმოების შემთხვევაში, მინისტრი ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს; კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

6. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარი მიზანია მიწათმოქმედების კულტურის შემდგომი ამაღლება, ტექნიკური პროგრესი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგში სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების განვითარების სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობის ყოველმხრივი გაუმჯობესების, მეცნიერული მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების განზოგადების პროპაგანდისა და პრაქტიკაში ფართოდ დანერგვის საფუძველზე.

სამინისტროს ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა მეთესლეობისა და სასელექციო მუშაობის სწორი ორგანიზაცია; ხელმძღვანელობა საცდელ-საჩვენებელი მეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურებისადმი, რომლებიც სამინისტროს დასაყრდენი უნდა იყვნენ.

სამინისტროს ამოცანებში შედის აგრეთვე სანაშენო საქმის ორგანიზაცია, ვეტერინარული მომსახურება, ბრძოლა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ, უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის სასოფლო-სამეურნეო კადრების მომზადება. ნიადაგების დაცვა და გაუმჯობესება, მიწათსარგებლობისა და მიწის ფონდების სახელმწიფო აღრიცხვის საკითხები.

7. ამ ამოცანების საფუძველზე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო:

ა) თავის მუშაობას საფუძვლად დაუდებს დასაბუთებულ რეკომენდაციებს, იმას, რომ პრაქტიკულად უჩვენოს კოლმეურნეო-

ბებსა და საბჭოთა მეურნეობებს მეურნეობის გაძღოლის და წარმოების ორგანიზაციის საუკეთესო ხერხები;

ბ) მოაწყობს რაიონებში საუკეთესო საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის ან სასწავლო-ექსპერიმენტული მეურნეობის, სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების ან სასწავლებლის ბაზაზე სანიმუშო საცდელ-საჩვენებელ მეურნეობას, საცდელ-საჩვენებელი მეურნეობის საქმიანობის ზონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ტიპური მიმართულებით.

საცდელ-საჩვენებელი მეურნეობების სიებს, აგრეთვე მათი სპეციალისტების შტატებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო;

გ) ხელმძღვანელობას გაუწევს საცდელ-საჩვენებელ მეურნეობებს, თვალყურს ადევნებს ამ მეურნეობებში დარგების რაციონალურად შეხამებას და მათ შემდგომ განვითარებას მოცემულ ზონაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაწესებული მიმართულებისა და სპეციალიზაციის შესაბამისად; მოაწყობს საცდელ-საჩვენებელ მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების სანიმუშო გაძღოლას, რაც მაგალითის მიმცემი უნდა იყოს ახლომდებარე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 100 ჰექტარზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების მაქსიმალური მიღების საქმეში მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევების წარმოების ყველა პროცესის მექანიზაციის ფართოდ გამოყენების, შრომის ნაყოფიერების მკვეთრად გადიდების, ხელით შრომის ხარჯვის მინიმუმამდე შემცირებისა და წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების მნიშვნელოვანი გაიაფების საფუძველზე;

დ) განაზოგადებს მოწინავე მეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავე შუქურების მუშაობის გამოცდილებას, მისცემს რეკომენდაციებს ფართოდ იქნას გამოყენებული მემცენარეობასა და მეცხოველეობაში სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მიერ შემუშავებული წარმოების პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსავლიანობის ამაღლებას და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებას;

ე) ხელმძღვანელობას გაუწევს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი დარაიონებული ჯიშების დანერგვას მეურნეობებში და დაეხმარება მათ მინერალური და ორგანული სასუქების, ჰერბიციდების, სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებისა და დაა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვადებათა წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებების სწორად გამოყენებაში, ხელმძღვანელობას გაუწევს მაღალპროდუქტიული ჯიშის სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა დანერგვის მეურნეობებში და დახმარებას აღმოუჩენს პირუტყვისა და ფრინველის შენახვის, კვებისა და გამოზრდის მოწინავე მეთოდების ორგანიზაციის საქმეში.

მისცემს რეკომენდაციებს მემცენარეობასა და მეცხოველეობაში შრომის ორგანიზაციის ახალი პროგრესული ფორმების შემოღების შესახებ;

შეისწავლის, განაზოგადებს და წარმოებაში დანერგავს სასოფლო-სამეურნეო მანქანების უფრო ნაყოფიერად გამოყენების, აგრეთვე ახალი მანქანებისა და აგრეგატების გამოყენების მეთოდებს;

გაავრცელებს მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების საუკეთესო მიღწევებს და მოახდენს მათ პოპულარიზაციას იმ ანგარიშით, რომ გააცნოს ისინი თვითეულ კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობის მუშას და აამაღლოს ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა მოწინავე მეურნეობათა დონემდე, რისთვისაც ფართოდ გამოიყენებს სიტყვიერ, ბეჭდვითს და თვალსაჩინო პროპაგანდას ლექციების, პრესის, კინოს მეშვეობით;

შეადგენს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკურ საბჭოზე განიხილავს რესპუბლიკის რაიონების მიხედვით მეცნიერული მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის გეგმას;

შეადგენს რეკომენდაციებს, აგროზოოწესებს, ბროშურებს, ფურცლებს, ინსტრუქციებს, პლაკატებს სხვ. დასანერგავ ღონისძიებებზე;

ვ) ხელმძღვანელობას გაუწევს რესპუბლიკაში უმაღლესი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლების განვითარებას, შესაბამისად სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების მოთხოვნილებისა სპეციალისტებზე; უზრუნველყოფს სასწავლებლების მიზანშეწონილად განლაგებას; მოაწყობს დაუსწრებელ სწავლებას უმაღლეს და საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებში;

ხელმძღვანელობას გაუწევს სოფლის მეურნეობის უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის ისეთი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც აღიზარდნენ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სულისკვეთებით, დაეუფლნენ სამამულო და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს, რომლებსაც კარგად აქვთ ათვისებული პრაქტიკული მუშაობა და უნარი შესწევთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა მარტო გამოიყენონ თანამედროვე ტექნიკა. არამედ შექმნ-ნ კიდეც მომავლის ტექნიკა;

ეწევა მუშაობას სასწავლო-მეთოდური საქმიანობის სრულყოფისათვის, შეიმუშავებს და შეიტანს წინადადებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული უმაღლესი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების, აგრეთვე ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო სკოლების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ცოდნის ასამაღლებელი მუდმივმოქმედი კურსების და სპეციალისტთა გადასამზადებელი და კვალიფიკაციის ასამაღლებელი დარგობრივი კურსების სასწავლო გეგმებისა და პროგრამების გაუმჯობესების შესახებ;

მოამზადებს სამეცნიერო-პედაგოგიურ კადრებს სამამულო და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების და საბჭოთა უმაღლესი სკოლის იდეურ-აღმზრდელობითი ამოცანების შესაბამისად;

აამაღლებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებისა და სკოლების მასწავლებელთა შემადგენლობის კვალიფიკაციას, გაღაამზადებს სოფლის მეურნეობის უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტთა კადრებს და აამაღლებს მათ კვალიფიკაციას, აგრეთვე მოამზადებს საკოლმეურნეო წარმოების მასობრივი კვალიფიკაციის კადრებს და აამაღლებს მათ ცოდნას;

მოამზადებს და დაამტკიცებს რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებისათვის სახელმძღვანელოებს და სასწავლო წიგნებს, რომლებიც უპასუხებენ მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ამოცანებს;

უზრუნველყოფს უმაღლესი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების და ერთწლიანი სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებას, აგრეთვე კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს სტუდენტებისათვის, მოსწავლეებისათვის, მასწავლებელთა შემადგენლობისა და სასწავლებლების სხვა მუშაკებისათვის.

ზ) შეარჩევს და გაანაწილებს სამინისტროს სისტემის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კადრებს;

თ) მოაწყობს რესპუბლიკაში მეთესლეობას იმ ანგარიშით, რომ საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები უზრუნველყოფილ იქნან სასოფლო-სამეურნეო კულტურების დარაიონებული ჯიშიანი თესლით;

განსაზღვრავს ელიტური თესლის საჭირო რაოდენობას კულტურებისა და ჯიშების მიხედვით, მოაწყობს მის წარმოებას რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებსა და საბჭოთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლის რეპროდუქციული მასალის მისაღებად, მოაწყობს ელიტის გამრავლებას სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა ბაზებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში;

მოაწყობს პირველი თაობის სიმინდის ჰიბრიდული თესლის გამოყვანას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებში ჰიბრიდების მშობლიური ფორმებიდან, რომლებიც მიღებულ იქნება სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში;

კონტროლს გაუწევს ელიტური და ჯიშიანი თესლის მოყვანას სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში;

შეადგენს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯიშგანახლებისა და ჯიშთაცვლის გეგმებს და თვალყურს ადევნებს მათ შესრულებას;

ი) ხელმძღვანელობას გაუწევს მთელ სანაშენო მუშაობას რესპუბლიკაში და შეიმუშავებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯიშიანი პირუტყვის სულადობის გადიდებას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ისე, რომ იმავდროულად გაიზარდოს მისი პროდუქტიულობა და გაუმჯობესდეს ჯიშობრივი თვისებები;

მოაწყობს სანაშენო საქმეს, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერების და სახელმწიფო სადგურებისა და სახელმწიფო საჯიშეების მუშაობას, უზრუნველყოფს მათ მაღალხარისხოვანი ჯიშიანი მწარმოებლებით და ჯიშიანი პირუტყვის სწორად გამოყენებას საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობების ფერმებში, და პირუტყვის სადედე სულადობის ხელოვნურ განაყოფიერებას.

მოაწყობს ჯიშიანი პირუტყვის აღრიცხვას და უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჯიშების დარაიონების გეგმის შესრულებას;

შეადგენს კოლმეურნეობათა სანაშენო ფერმების ორგანიზაციის ჯიშიანი მოზარდეულის გამოზრდის, ჯიშიანი პირუტყვის შესყიდვისა და საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისათვის მისი მიყიდვის გეგმებს;

გამოავლენს მაღალპროდუქტიულ ცხოველებს და აწარმოებს მათ ჩაწერას სახელმწიფო საჯიშე წიგნებში და მაღალპროდუქტიულ ცხოველთა წიგნში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაწყობს და კონტროლს გაუწევს პირველადს საწარმოო-ზოოტექნიკურ და საჯიშე აღრიცხვას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმებში;

დახმარებას გაუწევს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ახალი ჯიშების გაუმჯობესების საქმეში;

მოაწყობს, ხელმძღვანელობასა და კონტროლს გაუწევს საჯიშე მუშაობის დაყენებას სახელმწიფო სადგურებში, სახელმწიფო საწაშენოებსა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერების საკოლმეურნეობათაშორისო სადგურებში;

მოაწყობს კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერების პუნქტებს და ხელმძღვანელობას გაუწევს მათ მუშაობას;

კ) ხელმძღვანელობასა და დახმარებას გაუწევს სამომთაბარო მეცხოველეობის რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს საზამთრო და საზაფხულო საძოვრებზე პირუტყვის გარეკვის და საძოვრებზე მისი სწორად განლაგების ორგანიზაციის საქმეში;

თვალყურს ადევნებს პირუტყვის გასარეკი ტრასების სწორ ექსპლუატაციას, განახორციელებს მათ კეთილმოწყობას (წყლით უზრუნველყოფა, დასასვენებელი მოედნების მოწყობა, ხიდებისა და ნაგებობათა მოვლა-შენახვა ტრასაზე);

განახორციელებს კონტროლს საზამთრო საძოვრებზე თივის სადაზღვევო მარაგის დროზე დამზადებისადმი;

თვალყურს ადევნებს იმას, რომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სწორად გამოიყენონ საძოვრებზე წყლის მოქმედი რესურსები, აგრეთვე დახმარებას გაუწევს მათ საჭირო ზოოვეტერინარულ ღონისძიებათა გატარებაში როგორც საზამთრო, ისე საზაფხულო საძოვრებზე;

ლ) ხელმძღვანელობას გაუწევს სავეტერინარო საქმეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, მისი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, გარდა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, საქართვე-

ლოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ნაწილებისა და დაწესებულებებისა;

ხელმძღვანელობას გაუწევს ისეთ ვეტერინარულ ღონისძიებათა შემუშავებას, მოწყობას და განხორციელებას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში, რომლებიც უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა და ფრინველის ჯანმრთელობის დაცვას, აგრეთვე მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულებას;

მოაწყობს იმისადმი ვეტერინარულ კონტროლს, რომ გამოშვებულ იქნას ცხოველთა ვეტერინარულ-სანიტარულის მხრივ კეთილხარისხოვანი ნედლი პროდუქტები იმ მიზნით, რომ დაცულ იქნას მოსახლეობა ისეთი დაავადებებისაგან, რომლებიც საერთოა ადამიანისა და ცხოველებისათვის;

შეიმუშავებს ისეთ პროფილაქტიკურ და ეპიზოოტიის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გეგმებს, რომლებსაც რესპუბლიკური მნიშვნელობა აქვთ, აგრეთვე ვეტერინარულ ღონისძიებათა გეგმებს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში და კონტროლს გაუწევს მათ შესრულებას;

შეიმუშავებს, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორგანოებთან და სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, ისეთი სნეულებებისაგან ადამიანთა დაცვის ღონისძიებებს, რომლებიც საერთოა ადამიანისა და ცხოველებისათვის, და მოაწყობს მათ განხორციელებას;

შეიმუშავებს და მოაწყობს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ რესპუბლიკის ტერიტორიის დაცვას სხვა რესპუბლიკებიდან, მხარეებიდან, ოლქებიდან და უცხო სახელმწიფოებიდან პირუტყვისა და ფრინველის გადამდებ სნეულებათა შემოტანისაგან, აგრეთვე განახორციელებს ვეტერინარულ სანიტარულ კონტროლს პირუტყვის, ფრინველის, ხორცისა და ცხოველთა სხვა ნედლი პროდუქტების ექსპორტისა და იმპორტის დროს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაწყობს და ხელმძღვანელობას გაუწევს ვეტერინარულ-სანიტარულ ზედამხედველობას პირუტყვის, ფრინველის და ცხოველთა ნედლი პროდუქტების დამზადების, შენახვის, ტრანსპორტირების, ვაჭრობისა და გადამუშავების დროს;

ხელმძღვანელობას და კონტროლს გაუწევს მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებული ვეტერინარული საწარმოებისა და დაწესებულებების, ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროებისა და სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს ვეტერინარული განყოფილებების, რაიონების მთავარი ვეტერინარი ექიმების, ვეტსახსადგურების, ვეტპოლიკლინიკებისა და ვეტლაბორატორიების მუშაობას;

მოაწყობს რესპუბლიკაში ვეტერინარულ- სამკურნალო, პროფილაქტიკურ, ეპიზოოტიის საწინააღმდეგო და სანიტარულ ღონისძიებებს, განახორციელებს ეპიზოოტიის წინააღმდეგ ბრძოლისადმი ოპერატიულ ხელმძღვანელობას;

განახორციელებს იმისადმი სახელმწიფო კონტროლს, რომ ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა მეურნეობამ გარდა „ლ“ ქვეპუნქტის პირველ აბზაცში მოხსენებული მეურნეობებისა, აგრეთვე პირუტყვის და ფრინველის ცალკეულმა მფლობელებმა შეასრულონ სსრ კავშირის ვეტერინარული წესდების მოთხოვნები, აგრეთვე სსრ კავშირის მთავრობის და საქართველოს სსრ მთავრობის, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროების დადგენილებანი და განკარგულებანი, რომლებიც გამოიცემა სსრ კავშირის ვეტერინარული წესდების გასავითარებლად;

მ) ხელმძღვანელობასა და კონტროლს გაუწევს სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებისა და დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს, რომლებიც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხორციელდება;

დაგეგმავს სასოფლო-სამეურნეო კულტურების განსაკუთრებით საშიში მავნებლობის წინააღმდეგ ღონისძიებათა გატარებას სახელმწიფო სახსრების ხარჯზე, რისთვისაც მოაწყობს ექსპედიციებისა და რაზმების გაგზავნას ადგილებზე და ხელმძღვანელობას გაუწევს მათ მუშაობას;

ხელმძღვანელობას გაუწევს სასოფლო-სამეურნეო მავნებელთა გამოჩენის და გავრცელების აღრიცხვისა და პროგნოზის სამსახურის სამეთვალყურეო პუნქტების მუშაობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიმუშავებს და უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებისა და დაავადების და სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ახალი მეთოდების განხორციელებას;

სისტემატურად შეამოწმებს მეურნეობებში შხამქიმიკატების შენახვასა და გამოყენებას, აპარატურის და იმ სხვა დამხმარე ინვენტარის მოვლა-შეკეთებას, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლაში იყენებენ;

ნ) მოაწყობს მთელი მიწების აღრიცხვას და სახელმწიფო ჩაწერას (რეგისტრაციას) რესპუბლიკის ფარგლებში და იმ მიწებისა, რომლებითაც საქართველოს სს რესპუბლიკა სარგებლობს მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე, სავარგულებისა და მიწათმოსარგებლეთა კატეგორიების მიხედვით, აგრეთვე განახორციელებს მიწების სარგებლობის უფლების, საზოგადოებრივი მიწების, კოლმეურნეობათა მიწების და კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა პირადი სარგებლობის საკარმიდამო ნაკვეთების ფაქტიური ოდენობის რევიზიას და კონტროლს გაუწევს მიწების გამოყენებას დანიშნულებისამებრ ყველა მიწათმოსარგებლის მიერ, თანახმად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 31 დეკემბრის № 2529 დადგენილებისა „სსრ კავშირის მიწის ფონდის ერთიანი სახელმწიფო აღრიცხვის შესახებ“;

მოაწყობს და გაატარებს მიწათმოწყობის სამუშაოებს კოლმეურნეობებზე მიწების სამუდამოდ მიმაგრებისათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შიგასამეურნეო მიწათმოწყობისათვის, კოლმეურნეობათა საკარმიდამო ტერიტორიის გამოყოფისა და მიწათმოწყობისათვის, აგრეთვე შეადგენს რესპუბლიკის მიწის ბალანსს;

შეასრულებს მიწათმოწყობის მიზნებისათვის საჭირო გადაღების, საგამოკვლევო და სატრიანგულაციო სამუშაოებს (ჰორიზონტალური, ტოპოგრაფიული, აეროფოტოგადაღების, ნიადაგობრივი, გეობოტანიკური და აგროსამეურნეო გამოკვლევანი);

შეასრულებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწების გამოყოფის სამუშაოებს;

შეადგენს რესპუბლიკაში ნიადაგის დაცვისა და გაუმჯობესების, სამიწათმომწყობო და საგამოკვლევო სამუშაოების ღონისძიებათა გეგმებს;

მიწათმოწყობის, გადაღებისა და საგამოკვლევო სამუშაოების შესასრულებლად სამინისტროს თავის შემადგენლობაში ჰყავს ოპერატიული მუშაკები — მიწათმომწყობები, ტოპოგრაფები, გეოდე-

ზისტები, ნიადაგმცოდნეები, მელიორატორები, აგრონომები, აგრეთვე სხვა სპეციალისტები და მოაწყობს მათგან საწარმოო რაზმებსა და პარტიებს:

ო) შეადგენს და ზემდგომ ორგანოებს წარუდგენს კაპიტალურ დაბანდებათა შეჯამებითს გეგმებს და განაცხადებს მასალებსა და მოწყობილობაზე სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის.

განიხილავს და დაამტკიცებს მთავრობის მიერ დაწესებული ლიმიტის ფარგლებში მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას.

8. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურასა და შტატებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

9. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი დასახელება.

90 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან თევზის მრეწველობის ფლოტის ზღვაოსნობის უსაშიშრობისა და სანავსადგურო ზედამხედველობის ინსპექციის მოწყობის საკითხები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 6 აგვისტოს № 561 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თევზის მრეწველობის ფლოტის სანავსადგურო ზედამხედველობა „თევზნავსადგურზედამხედველობა“ უშუალოდ დაუმორჩილდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და ამიერიდან ეწოდოს მას: „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული თევზის მრეწველობის ფლოტის ზღვაოსნობის უსაშიშრობისა და სანავსადგურო ზედამხედველობის ინსპექცია“ (ფლოტის ინსპექცია).

2. უფლება მიენიჭოს ფლოტის აღნიშნულ ინსპექციას ჩამოართვას დროებით ერთ წლამდე ვადით გემწამყვანისა და გემის მექანიკოსის წოდების დიპლომები იმ პირებს, რომლებიც გემებზე დაუშვებენ ლოთობას და უხეშად დაარღვევენ ზღვაოსნობის უსაშიშროებისა და თევზჭერის კანონდებულებებს.

3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინის-

ტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიული კომისიის მიერ წარმოდგენილი დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ზღვაოსნობის უსაშიშრობისა და თევზის მრეწველობის ფლოტის სანავსადგურო ზედამხედველობის ინსპექციის შესახებ.

4. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 19 ივლისის № 742 დადგენილების შესაბამისად დაწესდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ თევზის მრეწველობის ფლოტის ზღვაოსნობის უსაშიშრობისა და სანავსადგურო ზედამხედველობის ინსპექციის შტატები და ამ ინსპექციის მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთები, დანართის თანახმად.

გაგრძელდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ზღვაოსნობის უსაშიშრობისა და თევზის მრეწველობის ფლოტის სანავსადგურო ზედამხედველობის ინსპექციის შენახვა ამჟამად არსებული წესის მიხედვით.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფლოტის ინსპექციის უფროსს ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებთან შეთანხმებით გადასინჯოს ინსპექციის არსებული შემადგენლობა და დანიშნოს შესაბამის თანამდებობებზე კვალიფიციური მუშაკები, რომლებმაც კარგად იციან ზღვაოსნობისა და სანავსადგურო ზედამხედველობის საქმე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 7 ოქტომბერი, № 621

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 7 ოქტომბრის № 621
დადგენილების დანართი

საშტატო განრიგი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ თევზის მრეწველობის ფლოტის ზღვაოსნობის უსაშიშროებისა და სანავსადგურო ზედამხედველობის ინსპექციისა

თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულების რაოდენობა	თანამდებობრივი განაკვეთი	ხელფასის თვიური ფონდი თანამდებობრივი განაკვეთებით
1. ინსპექციის უფროსი . . .	1	200	200
2. მთავარი სპეციალისტი — ინსპექციის უფროსის მოადგილე . . .	1	165	165
3. საზღვაო ინსპექტორები . . .	5	125	625
4. უფროსი ინჟინერი	3	110	330
5. ინჟინერი . . .	2	100	200
6. მდივანი-მემანქანე	1	50	50
7. ბუღალტერი	0,5	74	37
8. შიკრიკი-დამლაგებელი . . .	0,5	30	15
სულ	14	—	1622

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 7 ოქტომ-
ბრის № 621 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ თევზის მრეწ-ველობის ფლოტის ზღვაოსნობის უსაშიშრობისა და სანავსადგურო ზედამხედველობის ინსპექციის (ფლოტის ინსპექციის შესახებ)

I. ზოგადი დებულებანი

1. ზღვაოსნობის უსაშიშრობისა და სანავსადგურო ზედამხედ-ველობის ინსპექცია (ფლოტის ინსპექცია) თავის საქმიანობაში უშუალოდ ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და მოქმედებს ამ დებულების საფუძველზე.

2. ფლოტის ინსპექცია არის იურიდიული პირი და იმყოფება ქალაქ ბათუმში.

3. ფლოტის ინსპექციის სტრუქტურა განისაზღვრება საშტატო განრიგით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრ-თა საბჭოს მიერ.

4. ფლოტის ინსპექციას სათავეში უდგას უფროსი, რომელსაც დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

5. ფლოტის ინსპექციის საქმიანობა ვრცელდება თევზის მრეწვე-ლობის საწარმოების, იმ ორგანიზაციებისა და თევზჭერის კოლმე-ურნეობების ფლოტზე, რომლებიც თევზის ჭერას ეწევიან როგორც ზღვებში, ისე რესპუბლიკის შინაგან წყალსატევებშიც, სათევზაო ნავსადგურებსა და სათევზაო სანავსადგურო პუნქტებზე.

6. ინსპექცია თავის საქმიანობას ახორციელებს თავისი მუშაკე-ბისა და შტატგარეშე საზოგადოებრივი ინსპექტორების ძალებით.

იმ ადგილებში, სადაც არ არის სანავსადგურო ზედამხედველო-ბის ორგანოები, ინსპექცია თავის საქმიანობას ახორციელებს თევზ-სამეურნეო ორგანიზაციათა და თევზჭერის კოლმეურნეობათა ფლოტის კაპიტნების და გემის მექანიკოსთა სამსახურის მეშვეო-ბით.

. ფლოტის ინსპექცია ასრულებს კონტროლის გამწევი ორგანოს ფუნქციებს ზღვაოსნობის უსაშიშრობისა და სანავსადგურო ზედა-მხედველობის საკითხებზე.

8. ფლოტის ინსპექციის უფროსის და მთავარი სპეციალისტის თანამდებობების დაკავება შეუძლიათ მხოლოდ შორეული ნაოსნო-

ბის კაპიტნებს, რომელთაც აქვთ უმაღლესი ან საშუალო ტექნიკური განათლება და მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება არა ნაკლებ 5 წლისა.

უფროსი ინსპექტორის და ინსპექტორის თანამდებობების დაკავება შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც აქვთ დიპლომები არა ნაკლებ მცირე ნაოსნობის კაპიტნისა ან გემის მეორე თანრიგის მექანიკოსისა, აგრეთვე ელექტრორადიონავიგატორებს, რომელთაც აქვთ უმაღლესი ან საშუალო ტექნიკური განათლება.

9. თევზსამეურნეო ორგანიზაციები მოვალენი არიან დაუთმონ ადგილებზე ფლოტის ინსპექციას სამსახურებრივი სადგომები საჭირო სამეურნეო ინვენტარით, გათბობით, განათებით და სხვა მომსახურებით, აგრეთვე უზრუნველყონ ისინი ყოველგვარი სახის კავშირითა და ტრანსპორტით სამსახურებრივი მიზნებისათვის.

10. ფლოტის ინსპექციას აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება, აგრეთვე თანამდებობრივი შტამპები ინსპექტორებისათვის.

11. ფლოტის ინსპექციას უნდა ჰქონდეს ტექნიკური ბიბლიოთეკა და საჭირო რუკებისა და სხვა სანავიგაციო ხელსაწყოთა კომპლექტი ზღვაოსნობისა და სამდინარო ნაოსნობისათვის.

12. ფლოტის ინსპექციის ყველა მუშაკს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს უნდა ეცვას ფორმის ტანსაცმელი, რაც დაწესებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 7 აგვისტოს № 1068 დადგენილებით.

II. ფლოტის ინსპექციის ამოცანები და მოვალეობანი

13. თევზის მრეწველობის ფლოტის ზღვაოსნობის უსაშიშროებისა და სანავსადგურო ზედამხედველობის ინსპექციის ძირითადი ამოცანებია:

ა) ავარიულობის თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება, იმისადმი სისტემატური კონტროლი, რომ თევზის მრეწველობის საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და თევზჭერის კოლმეურნეობებმა, რომლებიც თევზის ჭერას ეწევიან, შეასრულონ დადგენილებანი, განკარგულებანი, წესები და ინსტრუქციები ზღვაოსნობის უსაშიშროების საკითხებზე, აგრეთვე ზომების მიღება, ავარიების წარმომშობი დარღვევის აღსაკვეთად;

ბ) ბრძანებებისა და ინსტრუქციების გამოცემა თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ზღვაოსნობის უსაშიშრობისა და ფლოტის სანავსადგურო ზედამხედველობის უზრუნველყოფის საკითხებზე.

14. ფლოტის ინსპექციას ეკისრება:

ა) ზედამხედველობა გაუწიოს სსრ კავშირის საგაჭრო ზღვაოსნობის კოდექსის, სსრ კავშირის სამდინარო და საზღვაო რეგისტრის იმ წესების, წესდებების, წესების, ინსტრუქციების, კანონების, დადგენილებების, განკარგულებებისა და ბრძანებების დაცვას თევზის მრეწველობის ფლოტში და თევზჭერის კოლმეურნეობებში, რომლებიც აწესრიგებენ ზღვაოსნობას, გემის სამსახურსა და თევზის სარეწს;

ბ) კონტროლი გაუწიოს გემების ტექნიკურ მდგომარეობას, გემების მომარაგებას მაშველი, ხანძარსაწინააღმდეგო, საშკიპერო და სანავიგაციო-საშტურმანო ქონებით, მათი სარგებლობის ცოდნას, აგრეთვე სანავიგაციო-სანაოსნო ვითარების მდგომარეობას სათევზაო ნავსადგურებისა და თევზის მრეწველობის საწარმოების ეკვატორიებზე, გემის დაწესებული დოკუმენტაციის არსებობას და სწორად წარმოებას;

გ) მუდმივი და ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს თევზის მრეწველობის ორგანიზაციებს და თევზჭერის კოლმეურნეობებს ავარიულობის თავიდან აცილების, თევზჭერის ფლოტის გემების ნაოსნობის უსაშიშრობის უზრუნველყოფისა და გემთა სამსახურის სწორად დაყენების საკითხებში;

დ) გამოიკვლიოს თევზის მრეწველობის ფლოტსა და თევზჭერის კოლმეურნეობებში მომხდარი ავარიები, გამოავლინოს ავარიებში დამნაშავე პირები, ანალიზი გაუკეთოს და აღრიცხოს ავარიები, შეიმუშაოს ავარიულობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებანი, აგრეთვე ღონისძიებანი ზღვაოსნობის უსაშიშრობისა და თევზჭერის საკითხებზე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარუდგინოს ანგარიშები და მოხსენებები ავარიებისა და ავარიული შემთხვევების შესახებ.

თევზჭერის ფლოტის გემებზე მომხდარი ავარიებისა და თევზჭერის იარაღების დაზიანების შესახებ გამოკვლევას აწარმოებს ფლოტის ინსპექცია იმ რაიონში, სადაც ავარია მოხდა, ამ გემების კუთვნილების დამოუკიდებლად. ავარიების გამოკვლევის შედეგად გაკეთებულ დასკვნებს ფლოტის ინსპექცია გაუგზავნის იმ ორგანიზაციას, რომელსაც გემი ეკუთვნის;

ე) კონტროლი გაუწიოს გემების დაკომპლექტებას პირადი შემადგენლობით სსრ კავშირის საკავშირო ზღვაოსნობის კოდექსის მოთხოვნებისა და წყალთა შინაგანი გზებით ნაოსნობის წესების შესაბამისად;

ვ) კონტროლი გაუწიოს იმას, თუ როგორ ახორციელებენ თევზსამეურნეო ორგანიზაციები და თევზჭერის კოლმეურნეობები გემთა კაპიტნების ინსტრუქტაჟს გაშლილ ზღვაში და განსაკუთრებით იმ რაიონებში ნაოსნობისა და თევზჭერის წესების შესახებ, რომლებიც უცხო სახელმწიფოთა ტერიტორიულ წყლებს ეკვრიან, აგრეთვე იმას — მოიპოვება თუ არა გემებზე ინსტრუქციები ამ წყლებში ნაოსნობისა და თევზჭერის წესების შესახებ და რუკები, სადაც აღნიშნულია ტერიტორიული წყლებისა და სპეციალური ზონების საზღვრები;

ზ) კონტროლის განხორციელება იმისადმი, თუ როგორ იცავენ ნაოსნობის წესებს თევზსარეწი ექსპედიციების გემები. რისთვისაც უნდა გაიგზავნონ სარეწზე ფლოტის ინსპექციის ინსპექტორები; აძლიოს კონსულტაციები ზღვაოსნობის, სანავსადგურო ზედამხედველობის, გემთა სამსახურის ორგანიზაციის, დიპლომირებისა და ინსპექციის საქმიანობის სხვა საკითხებზე;

თ) აწარმოოს თევზის მრეწველობის საწარმოების, ორგანიზაციების და თევზჭერის კოლმეურნეობათა გემების რეესტრი;

ი) მოაწყოს მაშველი სამუშაოები იმ გემებისათვის დახმარების გასაწევად, რომლებიც ავარიას განიცდიან.

15. ფლოტის ინსპექცია მონაწილეობას იღებს:

ა) ახალი გემებისა და სათევზაო ნავსადგურების მშენებლობის პროექტების განხილვაში;

ბ) ფლოტის მეთაურთა კადრების მომზადების, გადამზადების და დახელოვნების სასწავლო გეგმებისა და პროგრამის განხილვაში, აგრეთვე საატესტაციო კომისიების მუშაობაში;

გ) იმ სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიების მუშაობაში, რომლებიც გამოცდებს ატარებენ თევზის მრეწველობის საზღვაო სასწავლებლებში;

დ) თევზის მრეწველობის ფლოტში ნაოსნობის თანამედროვე საშუალებებისა და მეთოდების დანერგვის ღონისძიებათა გატარებაში;

ე) იმ კანდიდატების შერჩევაში, რომლებმაც უნდა დაიკავონ ფლოტის კაპიტნების, დამრიგებელი კაპიტნების, დამრიგებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მექანიკოსების, დამრიგებელი ელექტრორადიონავიგატორების, ჯგუფური ნაოსნობის კაპიტანფლაგმანების და მექანიკოს-ფლაგმანების, აგრეთვე კაპიტნების და უფროსი (მთავარი) მექანიკოსის თანამდებობანი ყველა ტიპის გემებზე, რომლებიც ნაოსნობას ეწევიან შორეულ წყლებში;

ვ) გემებისა და მექანიზმების ჩამომწერი კომისიების მუშაობაში.

III. ფლოტის ინსპექციის უფლებები

16. ფლოტის ინსპექციას უფლება ენიჭება:

ა) აკრძალოს გემების გასვლა სანაოსნოდ და მათი დაბრუნება ნაოსნობიდან ისეთ შემთხვევებში, როდესაც გემების ტექნიკური მდგომარეობა, მათი მომარაგება, გემების დოკუმენტები ან მათი დაკომპლექტება პირადი შემადგენლობით ვერ აკმაყოფილებს სსრ კავშირის სავაჭრო ზღვაოსნობის კოდექსის, სსრ კავშირის საზღვაო და სამდინარო რეგისტრის, სსრ კავშირის თევზის მრეწველობის ფლოტის ტექნიკური ექსპლუატაციის წესების, აგრეთვე იმ ბრძანებებისა და ინსტრუქციების მოთხოვნებს, რომლებიც თევზის მრეწველობის ფლოტში მოქმედებენ;

ბ) შეაჩეროს თევზის მრეწველობის საწარმოებისა და თევზჭერის კოლმეურნეობათა თანამდებობის პირების იმ ბრძანებებისა და ცალკეული განკარგულებების შესრულება, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ზღვაოსნობის უსაშიშრობას, ხოლო განსაკუთრებით სასწრაფო შემთხვევებში გადააყენოს თანამდებობიდან ეკიპაჟის მეთაურთა შემადგენლობის პირები, საწარმოების, თევზჭერის კოლმეურნეობათა ფლოტის ცალკეული მუშაკები, თუ მათი საქმიანობა საფრთხეს უქმნის გემების უსაშიშრობას, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხელმძღვანელობას ან თევზჭერის კოლმეურნეობის გამგეობას;

გ) დაავალდებულოს საქართველოს სსრ თევზის მრეწველობის და თევზჭერის კოლმეურნეობათა ფლოტის ყველა გემის კაპიტნები გადაუხვიონ კურსს ან გადავიდნენ სარეწის ადგილიდან იმ გემებისათვის დახმარების აღმოსაჩენად, რომლებიც ავარიას განიცდიან.

დ) მოთხოვოს იმ გემის კაპიტანს, რომელმაც ავარია განიცადა, აგრეთვე იმ ორგანიზაციებს, საწარმოებს, თევზჭერის კოლმეურნეობებს, რომლებიც გემების ექსპლუატაციას ეწევიან, წარუდგინონ მთელი დოკუმენტაცია, რომელიც შეეხება გემის ავარიის ან

ზღვაოსნობისა და მეთევზეობის მოქმედი დებულებების დარღვევას;

ე) მიიღოს ახსნა-განმარტება გემების ავარიებისა და ზღვაოსნობის მოქმედ დებულებათა დარღვევის შესახებ თევზსამეურნეო ორგანიზაციების და თევზჭერის კოლმეურნეობების ყველა მუშაკისაგან, აგრეთვე ფლოტის მეთაურთა და რიგითი შემადგენლობისაგან;

ვ) მოთხოვოს ამ ორგანიზაციების, საწარმოებისა და თევზჭერის კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს, რომლებიც თევზსაჭერი ფლოტის ექსპლუატაციას ეწევიან, მიიღონ ზომები ავარიების გამოძიების შედეგების მიხედვით და აღმოფხვრან გემების ექსპლუატაციის საქმეში გამოვლინებული ნაკლოვანებანი, კონტროლი გაუწიოს ზომების დროულად მიღებას ავარიების შემთხვევის გამოძიების შედეგების მიხედვით;

ზ) მიმართოს თევზის მრეწველობის საწარმოთა ხელმძღვანელებს და თევზჭერის კოლმეურნეობათა გამგეობებს წინადადებით მიიღონ ზემოქმედების ზომები იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც არღვევენ დისციპლინას და ზღვაოსნობის მოქმედ კანონდებულებებს;

თ) ჩამოართვას ერთ წლამდე ვადით გემწამყვანის, გემის მექანიკოსის წოდების დიპლომები იმ პირებს, რომლებიც უხეშად არღვევენ ზღვაოსნობასა და მეთევზეობის უსაშიშრობის არსებულ კანონდებულებებს;

ი) გადასცეს საგამომძიებლო ორგანოებს ავარიებისა და ზღვაოსნობის და სამდინარო ნაოსნობის მოქმედ კანონდებულებათა დარღვევის გამოძიების მასალები დამნაშავე პირთა მისაცემად სისხლის სამართლის პასუხისგებაში;

კ) შეამოწმოს დღეღამის ყოველ დროს თევზის მრეწველობის, სათევზაო ნავსადგურების სამსახურის, სანავსადგურო პუნქტების გემები, მცურავი საშუალებანი, გემთმერემონტეები, გემთმშენებლობის საწარმოები და ფლოტის მუშაობასთან უშუალოდ დაკავშირებული სხვა საწარმოები, აგრეთვე ჩაატაროს გემებზე ყოველგვარი სახის შესამოწმებელი ვარჯიში განგაშით;

ლ) მოთხოვოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ტრესტ საქთევზმრეწვის რადიოცენტრს და რადიოსადგურს დაუყოვნებლივ გაუგზავნონ ფლოტის ინსპექციას ყველა იმ კორესპონდენციის ასლები, რომლებიც დაკავშირებულია თევზის მრეწველობის გემების ავარიებთან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ) კონტროლი გაუწიოს სათევზაო ნავსადგურებში სანავიგაციო კამერების და საშტურმანო ხელსაწყოთა სახელოსნოების მუშაობას.

17. ფლოტის ინსპექციის მითითებანი მის კომპენტენციაში შემავალ საკითხებზე სავალდებულოა თევზსამეურნეო ორგანიზაციების ყველა მუშაკისა და თევზის მრეწველობის ფლოტის გემების მეთაურთა შემადგენლობისათვის.

---

91 ქ. ჭიათურის, ლანჩხუთის, გეგეჭკორისა და ლაგოდეხის რაიონების ადგილობრივ საბჭოებში შესულ მშრომელთა განცხადებებისა და წერილების, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სესიებსა და კოლმეურნეთა საერთო კრებებზე გამოსულთა კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების განხილვის მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ ქ. ჭიათურის და ლანჩხუთის, გეგეჭკორის, ლაგოდეხის რაიონების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა და ამ რაიონების კოლმეურნეობათა გამგეობებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს მშრომელთა განცხადებებისა და წერილების, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სესიებსა და კოლმეურნეთა საერთო კრებებზე გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე გამოხმაურებისა და მათი განხორციელების საქმეში, რის შედეგადაც გაუმჯობესდა მშრომელთა კანონიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმე და გამოსწორდა მხილებულ ნაკლოვანებათა დიდი ნაწილი, ამასთან ერთად დასახელებულ აღმასკომებსა და კოლმეურნეობათა გამგეობებს ამ საქმეში სერიოზული ნაკლოვანებანი და დარღვევები აქვთ. მთავარი ნაკლი ის არის, რომ ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი მშრომელთა საჩივრებისა და კრიტიკული შენიშვნებისადმი ფორმალურ-ბიუროკრატული დამოკიდებულების შემთხვევები. ხშირად განცხადებებისა და საჩივრების განხილვა-გადაწყვეტა თვეობით ჭიანურდება, განმცხადებლებს პასუხი ან სრულიად არ ეძლევათ ან ეძლევათ დიდი დაგვიანებით. ზოგჯერ საჩივრები და განცხადებები გადასაწყვეტად ეგზავნებათ იმ პირებს, ვისაც უჩივიან. ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოს აღმასკომსა და დაწესებულება-ორგანიზაციებში მოუწესრიგებელია განცხადებათა აღრიცხვისა და შენახვის საქმე. სუსტად ხორციელდება კონტროლი განცხადებათა გადაწყვეტაზე. ყოველივე ეს მშრომელთა კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნონიერ უკმაყოფილებას იწვევს და ზრდის განცხადება-საჩივრების რიცხვს, რაც ხშირად ხელმძღვანელი ორგანოების მსჯელობის საგანი ხდება; მოუწესრიგებელია მშრომელთა მიღების საქმე.

ლაგოდეხის რაიაღმასკომის ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის დირექტორმა ამხ. ყაველაშვილმა ერთი წელი გააჭიანურა დ. ლაგოდეხის 1 მაისის სახელობის ქუჩის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადების გადაწყვეტა, რომლითაც ისინი ქუჩის კეთილმოწყობას მოითხოვდნენ.

ამავე რაიონის კაბალის სასოფლო საბჭოში 1960 წელს შესული 273 განცხადებიდან, უკვალოდ დაიკარგა 50 განცხადება, რომლებიც სხვადასხვა დროს შესამოწმებლად გადაეცათ საბჭოს დეპუტატებს.

ლანჩხუთის რაიაღმასკომის სოცუზრუნველყოფის განყოფილებამ 9 თვეს გააჭიანურა მოქ. პ. ორაგველიძის პენსიის საკითხის გადაწყვეტა. ორაგველიძე დაკმაყოფილებულ იქნა მხოლოდ საქართველოს სსრ სოცუზრუნველყოფის სამინისტროს ჩარევის შემდეგ.

ასეთ ნაკლოვანებებს ადგილი აქვს ადგილობრივი საბჭოების სესიებსა და კოლმეურნეთა კრებებზე გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებზე გამოხმაურების საქმეშიც.

გეგეჭკორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს 1960 წლის 16 თებერვლის სესიაზე დეპუტატებმა ვ. თოდუამ, ბ. ახალაიამ, მ. ჩიქოვანმა, კვაშილავამ და სხვებმა მკაცრად გააკრიტიკეს რაიონის კოლმეურნეობებში მეცხოველეობის განვითარების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. ამ კრიტიკულმა შენიშვნებმა სესიის შემდგომ ვერ პოვეს სათანადო გამოხმაურება და რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში მდგომარეობა კვლავ გამოუსწორებელია.

ამავე რაიონში ხშირად უყურადღებოდ რჩება კოლმეურნეთა საერთო კრებებზე გამოსულთა კრიტიკული შენიშვნები.

ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1961 წლის 1 თებერვალს რკინიგზის ჭიათურის ვაგზლის უფროსმა ამხ. ა. გაჩეჩილაძემ, ხოლო 16 მარტს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სადგურის უფროსმა ამხ. ა. ტყემალაძემ წარუდგინოს მოხსენებითი ბარათები, რომლებშიაც აღნიშნულია რომ ჭიათურა — საჩხერის მატარებელზე ადგილი აქვს უბილეთოდ მგზავრობის მასობრივ შემთხვევებს. 15 მარტს, შემოწმების დროს მარტო ერთ რეისზე მატარებელში აღმოჩნდა 262 უბილეთო მგზავრი. მატარებლის გამყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები არა თუ იღებდნენ ზომებს უბილეთო მგზავრების წინააღმ-
დეგ, არამედ მათ ხელსაც კი უწყობდნენ. ქალაქის საბჭოს აღმას-
კომს და რკინიგზის ხელმძღვანელობას ამ საკითხზე არ მიუღიათ
რაიმე ზომები და მდგომარეობა დღესაც უცვლელია.

ლანჩხუთის რაიონში სათანადო ყურადღება არ ექცევა ამომ-
რჩევლების მიერ დაყენებული საკითხების გადაწყვეტას.

ლაგოდეხის რაიონის ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმას-
რულებული კომიტეტები, აგრეთვე სატყეო მეურნეობის მუშაკები
ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ სახელმწიფო და საკოლმეურნეო
ტყეების დაცვას. სახელმწიფო და საკოლმეურნეო ტყეებში ნად-
ვურდება ისეთი ძვირფასი ჯიშის ხეები, როგორიცაა მუხა, თელა,
ცაცხვი და სხვა.

არის შემთხვევები, როცა რაიონული საბჭოების სესიებზე გა-
მოთქმული კრიტიკული შენიშვნები და საქმიანი წინადადებანი
ზოგჯერ საჭირო გამოხმაურებას ვერ პოულობენ სათანადო სამინის-
ტროებსა და რესპუბლიკურ უწყებებში. მაგალითად, ლაგოდეხის
რაიონული საბჭოს 1960 წლის 30 მარტის სესიაზე აფენის სოფლის
კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. პ. დეკანოიძემ დაა-
ყენა საკითხი, რომ სხვა ადგილას გადაიტანონ რაიონის ცენტრში
არსებული რძის დამამზადებელი პუნქტი, რომელიც ქმნის ანტისა-
ნიტარულ მდგომარეობას. საქართველოს სსრ რძისა და ყველის
მრეწველობის ტრესტმა არც კი შეისწავლა საკითხი და უყურა-
დღებოდ დატოვა ეს წინადადება. იმავე სესიაზე ფინგანის გამგემ
დეპუტატმა ნ. ყაველაშვილმა აღნიშნა, რომ ლაგოდეხის ადგილობ-
რივი მეურნეობის კომბინატმა გეგმების შეუსრულებლობის შე-
დეგად 1960 წელს ბიუჯეტს დააკლო 368 ათასი მანეთი (ფულის
ძველი მასშტაბით). ამის მიზეზი ის არის, რომ საქართველოს სსრ
ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრომ არ უზრუნველყო აფენის
ექსტრაქტების ქარხნის დროულად გადაცემა საექსპლუატაციოდ,
ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს ამ კრიტიკიდან სათან-
დო დასკვნა არ გამოუტანია და აღინიშნული ქარხანა დღესაც არაა
გადაცემული საექსპლუატაციოდ.

ყველა აღნიშნული ნაკლოვანებანი და დარღვევები იმის შედე-
გია, რომ ზოგიერთმა საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა, პირ-
ველ რიგში კი მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა
არ გამოიტანეს საჭირო დასკვნები ზემდგომი ხელმძღვანელი ორგა-
ნოების დადგენილებებიდან მშრომელთა საჩივრების განცხადებე-

ბისა და წერილების განხილვის მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე პარტიისა და მთავრობის სადირექტივო მითითებებიდან იმის შესახებ, რომ დროულად მიექცეს ყურადღება მშრომელთა კრიტიკულ შენიშვნებსა და საქმიან წინადადებებს, დაისახოს ქმედითი ღონისძიებანი მუშაობის ამა თუ იმ უბანზე არსებული ნაკლოვანებებისა და დამახინჯებების აღმოსაფხვრელად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს ქ. ჭიათურის, ლანჩხუთის, გეგეჭკორისა და ლაგოდეხის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები მშრომელთა განცხადებების, საჩივრებისა და წერილების განხილვის, აგრეთვე ადგილობრივი საბჭოების სესიებსა და კოლმეურნეთა საერთო კრებებზე გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებზე გამოხმაურების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, მტკიცედ იხელმძღვანელონ ამ საკითხებზე ზემდგომი ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებებითა და საბჭოთა კანონმდებლობით, რისთვისაც:

ა) სრული წესრიგი დაამყარონ საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებში შესულ მშრომელთა განცხადებების, საჩივრებისა და წერილების აღრიცხვის, განხილვა-გადაწყვეტისა და პასუხების გაცემის საქმეში.

ამხილონ და მკაცრად დასაჯონ ის პირები, რომლებსაც ბრალი მიუძღვით მშრომელთა განცხადება-საჩივრების განხილვის გაჭიანურებასა და არასწორად გადაწყვეტაში;

ბ) უზრუნველყონ, რომ განცხადება-საჩივრები გადაეგზავნოს მხოლოდ იმ ორგანიზაციებსა და პირებს, რომლებსაც დაკისრებული აქვთ მათში აღძრული საკითხის გადაწყვეტა. არ დაუშვან, რომ საჩივრები ეგზავნებოდეს იმ პირებს, ვისაც უჩივიან;

გ) დაწესებულება-ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობით დააწესონ მტკიცე კონტროლი განცხადება-საჩივრების განხილვისა და პასუხის გაცემის საქმისადმი. სისტემატურად შეამოწმონ ამ საკითხზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება, შედეგები განიხილონ აღმასკომის სხდომებზე და გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მშრომელთა განცხადება-საჩივრების შემოწმების საქმეში ფართოდ ჩაებან ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები და აქტივი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საბჭოების სესიებსა და კოლმეურნეთა საერთო კრებებზე გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებსა და საქმიან წინადადებებს. პერიოდულად შეამოწმონ ასეთი შენიშვნები და წინადადებანი, აგრეთვე შესაბამისი გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიღებულია სათანადო საბჭოებისა და კოლმეურნეობათა მიერ, მიიღონ საჭირო ზომები მხილებულ ნაკლოვანებათა დროზე გამოსასწორებლად. მკაცრი სასჯელი დაადონ იმ მუშაკებს, რომლებიც უხეშად არღვევენ მთავრობის დადგენილებებსა და საბჭოთა კანონებს, უგულებელყოფენ მასების საქმიან კრიტიკას.

2. დაევალოს ლაგოდეხის რაიაღმასკომს განიხილოს საკითხი და მიიღოს ზომები აფენისა და კაბალის სასოფლო საბჭოების აღმასკომთა მდივნების თ. ბრეგვაძისა და ი. ასლანოვის მიმართ, რომლებიც უსულგულოდ მოეკიდნენ მშრომელთა განცხადებების განხილვისა და გადაწყვეტის საქმეს.

3. ლანჩხუთის რაიაღმასკომმა მიიღოს საჭირო ზომები აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგის ამხ. სულაბერიძის და ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის ყოფ. დირექტორის ამხ. ე. ჩიჩუას მიმართ, რომლებმაც უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს მშრომელთა განცხადებების განხილვის საქმეში.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს დაუბრკოლებლივ განიხილონ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სესიებსა და კოლმეურნეთა საერთო კრებებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები და საქმიანი წინადადებანი, რომლებიც წარედგინება მათ, გაატარონ საჭირო ღონისძიებანი მათდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

5. ვინაიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილებით აღნიშნული დარღვევები და ნაკლოვანებანი არ არის დამახასიათებელი მარტო ზემოდასახელებული ქალაქისა და რაიონებისათვის, წინადადება მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს სისტემატურად შეამოწმონ მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვა-გადაწყვეტის, აგრეთვე ადგილობრივი საბჭოების სესიებსა და კოლმეურნეთა საერთო კრებებზე გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნებზე გამოხმაურების მდგომარეობა და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი ამ საქმეში წესრიგის დასამყარებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს ლაგოდეხის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან ერთად მიიღოს გადამჭრელი ზომები ტყის ძვირფასი ჯიშების (მუხა, თელა, ცაცხვი და სხვ.) განადგურებისაგან დასაცავად და ამ დარგში არსებულ ნაკლოვნებათა აღმოსაფხვრელად.

7. დაევალოს ჭიათურის საქალაქო, ლანჩხუთის, გეგეჭკორისა და ლაგოდეხის რაიონული საბჭოების აღმასკომებს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ წარმოუდგინონ ანგარიში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 1 იანვრისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 7 ოქტომბერი, № 623

92 მგლების განადგურებისათვის დამატებითი წამახალისებელი ჯილდოს გაცემის პირობებში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მავნე მტაცებელი ნადირის მგლების განადგურებისათვის ბრძოლის გაძლიერების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს 1961 წლიდან, ერთ მონადირეზე კალენდარული წლის განმავლობაში, სამი და მეტი მგლის განადგურებისათვის დამატებითი წამახალისებელი ჯილდო შემდეგი ოდენობით:

სამი მგლის განადგურებისათვის — 40 მანეთი, ხოლო სამს ზევით თვითეულ განადგურებულ მგელზე დაემატოს 5 მანეთი.

დამატებითი წამახალისებელი ჯილდოს გაცემისას მგლის ორი ლეკვი ჩაითვალოს, როგორც ერთი მოზრდილი მგელი.

2. ჯილდო გაღებულ იქნას ხანძრებისა და პირუტყვის დახოცვის თავიდან აცილებისა და მათთან ბრძოლის ღონისძიებათა დასაფინანსებლად საველდებულო საგანაკვეთო და ქონების ნებაყოფლობითი დაზღვევის გადასახდელთა 8-პროცენტიანი ანარიცხების სახსრებიდან.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მგლების განადგურებისათვის დამატებითი წამახალისებელი ჯილდოს გაცემის პირობები, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 16 დეკემბრის № 1976 დადგენილების მეოთხე მუხლით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 12 ოქტომბერი, № 641

93 კავშირგაბმულობის საწარმოებში რადიომიმღებებისა და ტელევიზორების რეგისტრაციისა და მათი სარგებლობისათვის საბონემენტო გადასახდელის გადახდევინების გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 18 აგვისტოს № 768 დადგენილება „კავშირგაბმულობის საწარმოებში რადიომიმღებებისა და ტელევიზორების რეგისტრაციისა და მათი სარგებლობისათვის საბონემენტო გადასახდელის გადახდევინების გაუქმების შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

2. დაევალოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას გაითვალისწინოს 1962 წლის გეგმით მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდის შემცირება საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროსათვის იმასთან დაკავშირებით, რომ გაუქმდა რადიომიმღებებისა და ტელევიზორების რეგისტრაცია და მათი სარგებლობისათვის საბონემენტო გადასახდელის გადახდევინება.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტს ჩაატაროს მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა იმ ღონისძიებათა მნი-

შვნელობის შესახებ, რომლებიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 18 აგვისტოს № 768 დადგენილების თანახმად ტარდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუშავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი. 1961 წ. 25 ოქტომბერი, № 657

ასლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 768

1961 წლის 18 აგვისტო

მოსკოვი, კრემლი

კავშირგაბმულობის საწარმოებში რადიომიმღებებისა და ტელევიზორების რეგისტრაციისა და მათი სარგებლობისათვის საბონემენტო გადასახდელის გადახდევინების გაუქმების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. გაუქმდეს 1962 წლის 1 იანვრიდან რადიომიმღებებისა და ტელევიზორების რეგისტრაცია კავშირგაბმულობის საწარმოებში, აგრეთვე საბონემენტო გადასახდელის გადახდევინება იმ რადიომიმღებებისა და ტელევიზორების სარგებლობისათვის, რომლებიც რეგისტრირებულია კავშირგაბმულობის საწარმოებში 1959 წლის 1 იანვრამდე.

კავშირგაბმულობის საწარმოებში 1959 წლის 1 იანვრიდან 1962 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებული რადიომიმღებებისა და ტელევიზორების სარგებლობისათვის საბონემენტო გადასახდელების გადახდევინება იწარმოებს იმ დღიდან სამი წლის ვადის გასვლამდე, რაც მოხდა მათი პირველადი რეგისტრაცია კავშირგაბმულობის საწარმოებში, ამ ვადის გასვლის შემდეგ საბონემენტო გადასახდელის გადახდევინება ამ რადიომიმღებებისა და ტელევიზორების სარგებლობისათვის შეწყდება.

2. რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის პროგრამების ორგანიზაციის ხარჯების დასაფარავად დაწესდეს 1962 წლის 1 იანვრიდან საცალო ფასების დანამატები რადიომაუწყებლობის მიმღებებსა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადიოლებსა, რადიომაგნიტოფონებსა და სხვა რადიოდანადგარებზე, რომელთაც თავის შემადგენლობაში აქვთ რადიომაუწყებლობის მიმღებები — 15 პროცენტის ოდენობით და ტელევიზორებსა, ტელერადიოებსა და სხვა სატელევიზიო დანადგარებზე, რომლებსაც თავის შემადგენლობაში აქვთ ტელევიზორები, — 20 პროცენტის ოდენობით.

3. დაწესდეს, რომ სამრეწველო საწარმოები, რომლებიც უშვებენ რადიომაუწყებლობის მიმღებს და ტელევიზორებსა და სხვა დანადგარებს, რომლებსაც თავის შემადგენლობაში აქვთ რადიომაუწყებლობის მიმღები და ტელევიზორები, მისცემენ მათ სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებს ამ დადგენილების მე-2 მუხლით დაწესებული საცალო ფასის დანამატით და ამ დანამატებისგან მიღებულ თანხებს შეიტანენ შესაბამისი რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში.

იმ რადიომიმღებებისა და სატელევიზიო დანადგართა ნაშთების დანამატების თანხებს, რომლებიც 1962 წლის 1 იანვრისათვის ინახება სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოებში, შეიტანენ ისინი რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში ერთდროულად ხელახალი აღრიცხვის ჩატარების შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს 1962 წლის 1 მარტისა.

4. დაევალოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს შეიმუშაოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით და დაამტკიცოს ინსტრუქცია ამ დადგენილების შეფარდების შესახებ.

5. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს 1962 წლის გეგმის პროექტის შედგენის დროს გაითვალისწინონ მოკავშირე რესპუბლიკების კავშირგაბმულობის სამინისტროებისათვის მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდის შემცირება იმასთან დაკავშირებით, რომ გაუქმდა რადიომიმღებებისა და ტელევიზორების რეგისტრაცია და მათი სარგებლობისათვის სააბონემენტო გადასახდელის გადახდევინება ამ დადგენილების თანახმად.

6. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს ჩაატარონ მოსახელობაში საჭირო მუშაობა ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განმარტებისათვის.

7. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსთან ერთად სამი თვის ვადაში წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად სსრ კავშირის მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა ნუსხა, რომლებმაც ძალა დაკარგეს ამ დადგენილებასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ხრუშჩოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **მ. სმირტიუკოვი.**

94 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 2 სექტემბრის № 801 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 2 სექტემბრის № 801 დადგენილებისა „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის ფულადი ავანსებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კრედიტების მიცემის წესის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 20 აპრილის № 335 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. მუხ. 5 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 2 ნოემბრის № 1297 დადგენილებისა „საკონსერვო და ხილბოსტნეულის ქარხნების ნედლეულის ზონების კოლმეურნეობებში საკვალსათბურო მეურნეობის აღდგენისა და საქკონსერვტრესტის საკონსერვო მრეწველობისათვის 1949 წლის წარმოების სეზონში დახმარების გაწევის ზომების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 14 მაისის № 243 განკარგულება.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 12 მაისის № 649 დადგენილება „1953 წლის მოსავლის თამბაქოს დამზადების გეგმის შესახებ“.

4. „საქართველოს სს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების სამუშაოთა ნატურსაზღაურის გაუქმების, ამ პროდუქტების დამზადების ახალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესის, ფასებისა და პირობების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 ივლისის № 446 დადგენილების მე-16 მუხლის პირველი აბზაცი.

5. „სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის 1959 წლის საფინანსო-საკრედიტო გეგმის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 17 თებერვლის № 116 დადგენილების მე-3 მუხლის ქვეპუნქტი „ბ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 25 ოქტომბერი, № 661.

95 ინვალიდებისათვის საპროთეზო-ორთოპედიული დახმარების გაუმჯობესების ზომების შესახებ

ინვალიდებისათვის საპროთეზო-ორთოპედიული დახმარების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 19 სექტემბრის № 862 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სამი თვის ვადაში შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი ინვალიდებისათვის საპროთეზო-ორთოპედიული დახმარების გაუმჯობესების საქმეში, ამასთან გაითვალისწინოს:

ა) საპროთეზო-ორთოპედიულ ნაკეთობათა ხარისხის გაუმჯობესება;

ბ) საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება 1962 წელს, სტაციონარის გაფართოება 1963 წელს რთული პროთეზირების ჩასატარებლად საპროთეზო-ორთოპედიულ ქარხანასთან;

გ) მოძრავი საპროთეზო სახელოსნოს მოწყობა საპროთეზო-ორთოპედიულ ქარხანასთან, რომელსაც დაეკისროს შეკვეთების გაფორმება, რემონტი, მორგება და ინვალიდებისათვის საპროთეზო ნაკეთობათა მიცემა;

დ) სამედიცინო განყოფილების მოწყობა საპროთეზო-ორთოპედიულ ქარხანასთან სამი კაცის შემადგენლობით სამინისტროს 1961 წლის ხელფასის ფონდებისა და პერსონალის რაოდენობის ფარგლებში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გააუმჯობესოს ინვალიდთა, განსაკუთრებით იმ ბავშვთა სამედიცინო მომსახურება, რომლებიც საპროთეზო-ორთოპედიულ დახმარებასა და სმენის პროთეზირებას საჭიროებენ, აგრეთვე მოაწყოს ინვალიდთა დისპანსერული მომსახურება.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას:

ა) გამოუყოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საპროთეზო მრეწველობისათვის მაღალხარისხოვანი ნედლეული და მასალები;

ბ) გამოუყოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს 1962 წელს მოძრავი საპროთეზო სახელოსნოსათვის ერთი სატვირთო ავტომანქანა „გაზ-51“.

4. რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს აანაზღაურონ კოლმეურნეობათა სახსრებიდან იმ ინვალიდ კოლმეურნეთა მიერ შეძენილი პროთეზების ღირებულება, რომლებიც ინვალიდი გახდნენ შრომითი დასახიჩრებულობის ან პროფესიული დაავადების გამო.

5. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 19 სექტემბრის № 862 დადგენილებით:

ა) სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაევალა სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებთან ერთად ჩაატაროს ერთდროული აღრიცხვა ყველა კატეგორიის ინვალიდებისა, რომლებიც საჭიროებენ ხელით სამართავ ავტომობილებსა და მოტოეტლებს;

ბ) დადგენილია, რომ მუშებსა და მოსამსახურეებს საპროთეზო-ორთოპედიულ საწარმოებთან არსებულ სტაციონარებში ყოფნის დროისათვის მიეცემათ საავადმყოფო ფურცლები ვადით არა უმეტეს 10 დღისა;

გ) საპროთეზო მრეწველობის საწარმოთა ხელმძღვანელებს მინიჭებული აქვთ უფლება დაუწესონ ძირითადი წარმოების მუშებს შრომის დროებლივი ან დროებლივ-პრემიული ანაზღაურების დროს იმ მუშებისათვის გათვალისწინებული სატარიფო განაკვეთები, რომელთა შრომის ანაზღაურება სანარდო წესით ხდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 25 ოქტომბერი, № 664.

ეროვნული ბიბლიოთეკა

96 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს შესახებ და რესპუბლიკის სახელმწიფო არქივების ქსელი.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 13 ივნისის დადგენილება „საქართველოს სსრ საარქივო სამმართველოს დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 16, მუხ. 183).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუშავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ა. ფირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 28 ოქტომბერი, № 676

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 28 ოქტომბრის № 676 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველო შექმნილია საქართველოს სს რესპუბლიკაში საარქივო საქმისადმი მეცნიერული და ორგანიზაციულ-მეთოდური ხელმძღვანელობის მიზნით.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს გამგებლობაში არის საქართველოს სსრ ცენ-

ტრალურ, საოლქო, საქალაქო და რაიონულ სახელმწიფო არქივებში დაცული დოკუმენტური მასალები საქართველოს სსრ სახელმწიფო საარქივო ფონდისა, რომელიც სსრ კავშირის სახელმწიფო საარქივო ფონდის ნაწილს წარმოადგენს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტურ მასალებს, რომლებიც დაცულია ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის სახელმწიფო არქივებში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველო განაგებს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის საარქივო ორგანოების მეშვეობით.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს ძირითადი ამოცანებია:

ა) საქართველოს სსრ სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტური მასალების დაცვა-შენახვის უზრუნველყოფა;

ბ) საქართველოს სს რესპუბლიკაში საარქივო საქმის ორგანიზაციის, თეორიისა და პრაქტიკის ძირითადი საკითხების დამუშავება;

გ) სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტური მასალების გამოვლინება და მათი ყოველმხრივი გამოყენება სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების ინტერესებისათვის;

დ) ჩვენი ქვეყნის დაწესებულებათა მოწინავე გამოცდილების შესწავლა, განზოგადება და გავრცელება საარქივო საქმის, არქეოგრაფიისა და მიმდინარე საქმისწარმოების დოკუმენტური ნაწილის დარგში.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველო მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) განახორციელებს სამეცნიერო და ორგანიზაციულ-მეთოდურ ხელმძღვანელობას ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის საარქივო ორგანოებისადმი, საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივებისა და სამინისტროთა და უწყებათა არქივებისადმი;

ბ) შეიმუშავებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტური მასალებით დაკომპლექტების პრინციპებს; გადაწყვეტს რესპუბლიკური მნიშვნელობის საარქივო ფონდების შემადგენლობაზე დოკუმენტური მასალების მიკუთვნების საკითხს და განახორციელებს ღონისძიებებს ამ მასალების კონცენტრაციისათვის საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივებში; ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოსთან, მშრომელთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატების ავტონომიური ოლქის აღმასკომთან, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან შეთანხმებით გადაწყვეტს საკითხებს, რომ დოკუმენტური მასალები ერთი ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ქალაქის, რაიონის არქივებიდან გადაეცეს სხვა ავტონომიური რესპუბლიკის, ქალაქის, რაიონის არქივებში; მოაწყობს რესპუბლიკის სახელმწიფო საარქივო ფონდის შევსებას იმ დოკუმენტთა დედნებითა და პირებით, რომლებიც დაცულია სხვა მოკავშირე რესპუბლიკების საარქივო ან სხვა დაწესებულებებში;

ბ) განახორციელებს კონტროლს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების არქივებში დაცული დოკუმენტური მასალების დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელებისა და ამ მასალების მდგომარეობისადმი;

დ) შეიმუშავებს და გამოსცემს რესპუბლიკის ყველა დაწესებულებისა, ორგანიზაციისა და საწარმოებისათვის სავალდებულო წესებს, ინსტრუქციებსა და მეთოდურ სახელმძღვანელოებს, რომლებიც დაადგენენ საქართველოს სსრ სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტური მასალების კონცენტრაციის, შენახვის, სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების, აღწერის, აღრიცხვისა და გამოყენების ორგანიზაციის წესს;

ე) ხელმძღვანელობას გაუწევს საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივების სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას; შეათანხმებს რესპუბლიკის საარქივო და სხვა სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების მუშაობას დოკუმენტური მასალების მოვლა-პატრონობის, შენახვის რეჟიმისა და მიკროფოტოგადაღების უზრუნველყოფის საკითხებზე;

ვ) შეიმუშავებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტური მასალების სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულების ექსპერტიზის პრინციპებს;

ზ) მოაწყობს საქართველოს სსრ სახელმიწფო საარქივო ფონდის დოკუმენტური მასალების გამოვლინებას; ინფორმაციას მიაწვდის დაინტერესებულ დაწესებულებებს გამოვლინებული მასალების შინაარსის შესახებ; დადგენილი წესით მოაწყობს საქართველოს სსრ სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტური მასალების გამოყენებას სახალხო-სამეურნეო და სამეცნიერო მიზნებით, გამოფენებზე, კინოში, რადიოთი, ტელევიზიით, პერიოდულ პრესაში და ა. შ.;

თ) დადგენილი წესით აწარმოებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საარქივო ფონდის იმ დოკუმენტური მასალების ცენტრალიზებულ აღრიცხვას, რომლებიც დაცულია საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივებსა და სამინისტროებისა და უწყებების არქივებში, აგრეთვე ბიბლიოთეკების ხელნაწერთა განყოფილებებსა და მუზეუმებში; მოაწყობს მუშაობას საქართველოს სსრ სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტური მასალების კატალოგიზაციისათვის;

ი) დაგეგმავს სხვა ორგანიზაციებთან ერთად, რომლებიც არქეოგრაფიულ მუშაობას ეწევიან, საარქივო დოკუმენტური მასალების კრებულების გამოცემას; შეათანხმებს საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივებისა და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის საარქივო დაწესებულებათა მუშაობას;

კ) დადგენილი წესით განახორციელებს კავშირურთიერთობას მოკავშირე რესპუბლიკების საარქივო და სამეცნიერო დაწესებულებებთან მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე;

ლ) შეისწავლის, განაზოგადებს და გაავრცელებს საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების საარქივო დაწესებულებათა მუშაობის გამოცდილებას;

მ) მიიღებს ზომებს იმისათვის, რომ დაინერგოს არქივების მუშაობის პრაქტიკაში დოკუმენტური მასალების შენახვის, რესტავრაციის, კონსერვაციისა და გადაღების ყველაზე რაციონალური სისტემები და მეთოდები თანამედროვე ტექნიკის ფართოდ გამოყენების საფუძველზე; მისცემს განაცხადებს არქივთა საცავების ტიპიური პროექტების შემუშავებაზე და დადგენილი წესით წარადგენს ამ პროექტებს დასამტკიცებლად;

ნ) განახორციელებს ხელმძღვანელობას უშუალოდ დაქვემდებარებული დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და საწარმოებისადმი, უზრუნველყოფს მათს დაფინანსებას და მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას; განიხილავს ამ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა საბუღალტრო ანგარიშებს, აგრეთვე განახორციელებს საფინანსო კონტროლს მათი საქმიანობისადმი;

ო) შეამოწმებს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და ავტონომიური ოლქის აღმასკომთან შეთანხმებით ამ რესპუბლიკებისა და ოლქის საარქივო დაწესებულებათა სამეცნიერო და ორგანიზაციულ-მეთოდურ საქმიანობას.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს უფლება ენიჭება:

ა) განსაზღვროს იმ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა კატეგორია, რომლებისგანაც წარმოებს დოკუმენტური მასალების მიღება სახელმწიფო არქივებში, აგრეთვე იმ დოკუმენტური მასალების შემადგენლობა, რომლებიც დაცულ უნდა იქნან საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივებში და სამინისტროებისა და უწყებების არქივებში, ან რომლებიც არ უნდა იქნან შენახული;

ბ) შეცვალოს ცალკეულ შემთხვევებში იმ დოკუმენტური მასალების შენახვის ვადები, რომლებიც ინახება საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებათა არქივებში, აგრეთვე გადაჭრას საკითხი რესპუბლიკის სახელმწიფო საარქივო ფონდის იმ დოკუმენტური მასალების შესაბამისი სახელმწიფო არქივებისათვის გადაცემის ვადებისა და წესის შესახებ, რომლებიც დროებით ინახება მუზეუმებში, ბიბლიოთეკების ხელნაწერთა განყოფილებებში, დარგობრივ აკადემიებსა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში; ნება დართოს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც აქვთ დოკუმენტური მასალების დამტკიცებული ნუსხები მათი შენახვის ვადებით, დამოუკიდებლად გადაწყვიტონ დოკუმენტური მასალების მოსპობის საკითხი;

გ) შეამოწმოს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებათა არქივების მუშაობა დოკუმენტური მასალების დაცვა-შენახვის უზრუნველყოფისა და მიმდინარე საქმიანობის დოკუმენტური ნაწილის დაყენების ხაზით. აძლიოს სავალდებულო მითითებანი არქივების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ;

დ) მიიღოს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებებისაგან ცნობები არქივების მუშაობისა და მიმდინარე საქმის წარმოების დოკუმენტური ნაწილის ორგანიზაციის საკითხებზე;

ე) დადგენილი წესით შექმნას საუწყებათაშორისო კომისიები და მოიწვიოს თათბირები საარქივო საქმის თეორიის, პრაქტიკისა და ტექნიკის, არქეოგრაფიისა და მიმდინარე საქმისწარმოების დოკუმენტური ნაწილის საკითხებზე;

ვ) დადგენილი წესით გამოაქვეყნოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტური მასალები, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია საარქივო საქმისა და მიმდინარე საქმისწარმოების დოკუმენტური ნაწილის საკითხებზე, გამოსცეს ბიულეტენები, სასწავლო და პრაქტიკული სახელმძღვანელოები, სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა და სამეცნიერო-საცნობარო სახელმძღვანელოები საქართველოს სსრ სახელმწიფო საარქივო ფონდის შემადგენლობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს სათავეში უდგას უფროსი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს უფროსს და მის მოადგილეს დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს უფროსი ხელმძღვანელობს საარქივო სამმართველოს მთელ საქმიანობას, გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და შესასრულებლად, ამასთან შეამოწმებს მათს შესრულებას; დადგენილი წესით შექმნის, გადააკეთებს და გააუქმებს საარქივო სამმართველოსადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს; დაამტკიცებს დებულებებს (წესდებებს) და თანამდებობრივ ინსტრუქციებს საარქივო სამმართველოს განყოფილებებისა და დაქვემდებარებული დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების შესახებ; დაამტკიცებს რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივებისა და მისდამი დაქვემდებარებული სხვა დაწესებულებების საშტატო განრიგებს, გადაანაწილებს მათ შორის შტატებს პერსონალის იმ საერთო რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რომლებსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო დააწესებს ამ დაწესებულებებისათვის; დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს საარქივო სამმართველოს აპარატის მუშაკებს, დაქვემდებარებული დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკებს.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოსთან შეიქმნება:

ა) სამეცნიერო საბჭო — საარქივო საქმის თეორიისა და პრაქტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხების განსახილველად, საარქივო დოკუმენტების გამოსაქვეყნებლად და მიმდინარე საქმისწარმოების დოკუმენტური ნაწილის დასაყენებლად;

ბ) საექსპერტო-შემმოწმებელი კომისია — საქართველოს სსრ სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტური მასალების შესანახად დატოვების და იმ დოკუმენტური მასალების მოსპობის საკითხების განსახილველად, რომელთა შენახვა საჭირო არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული საბჭოსა და კომისიის შემადგენლობას დაამტკიცებს საარქივო სამმართველოს უფროსი.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს აპარატის სტრუქტურას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება.

ჭ ს ე ლ ი

საქართველოს სსრ სახელმწიფო არქივებისა

1. საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (ქ. თბილისი).
2. საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (ქ. თბილისი).
3. საქართველოს სსრ ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ქუთაისის ფილიალი.
4. საქართველოს სსრ კინო — ფოტო — ფონოდოკუმენტების ცენტრალური სახელმწიფო არქივი (ქ. თბილისი).
5. თბილისის საქალაქო სახელმწიფო არქივი (ქ. თბილისი).
6. ქუთაისის საქალაქო სახელმწიფო არქივი (ქ. ქუთაისი).
7. ფოთის საქალაქო სახელმწიფო არქივი (ქ. ფოთი).
8. ჭიათურის საქალაქო სახელმწიფო არქივი (ქ. ჭიათურა).
9. რუსთავის საქალაქო სახელმწიფო არქივი (ქ. რუსთავი).
10. აბაშის რაიონული სახელმწიფო არქივი (დაბა აბაშა).
11. ამბროლაურის რაიონული სახელმწიფო არქივი (დაბა ამბროლაური).
12. ახალქალაქის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. ახალქალაქი).
13. ახალციხის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. ახალციხე).
14. ახმეტის რაიონული სახელმწიფო არქივი (სოფ. ახმეტა).
15. ბოლნისის რაიონული სახელმწიფო არქივი (დაბა ბოლნისი).
16. ბორჯომის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. ბორჯომი).
17. ვანის რაიონული სახელმწიფო არქივი (სოფ. ვანი).

18. გეგეჭკორის რაიონული სახელმწიფო არქივი (დაბა გეგეჭკორი).
19. გორის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. გორი).
20. გურჯაანის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. გურჯაანი).
21. დმანისის რაიონული სახელმწიფო არქივი (სოფ. დმანისი).
22. დუშეთის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. დუშეთი).
23. ზესტაფონის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. ზესტაფონი).
24. ზუგდიდის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. ზუგდიდი).
25. ყაზბეგის რაიონული სახელმწიფო არქივი (სოფ. ყაზბეგი).
26. ქარელის რაიონული სახელმწიფო არქივი (სოფ. ქარელი).
27. კასპის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. კასპი).
28. ყვარლის რაიონული სახელმწიფო არქივი (სოფ. ყვარელი).
29. ლაგოდეხის რაიონული სახელმწიფო არქივი (დაბა ლაგოდეხი).
30. ლანჩხუთის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. ლანჩხუთი).
31. ლენტეხის რაიონული სახელმწიფო არქივი (სოფ. ლენტეხი).
32. მარნეულის რაიონული სახელმწიფო არქივი (სოფ. მარნეული).
33. მახარაძის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. მახარაძე).
34. მაიაკოვსკის რაიონული სახელმწიფო არქივი (სოფ. მაიაკოვსკი).
35. მესტიის რაიონული სახელმწიფო არქივი (სოფ. მესტია).
36. მცხეთის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. მცხეთა).
37. ონის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. ონი).
38. ორჯონიკიძის რაიონული სახელმწიფო არქივი (დაბა ორჯონიკიძე).
39. საგარეჯოს რაიონული სახელმწიფო არქივი (სოფ. საგარეჯო).
40. სამტრედიის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. სამტრედია).
41. საჩხერის რაიონული სახელმწიფო არქივი (დაბა საჩხერე).
42. სიღნაღის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. სიღნაღი).
43. სამგორის რაიონული სახელმწიფო არქივი (დაბა სამგორი).
44. თელავის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. თელავი).
45. თერჯოლის რაიონული სახელმწიფო არქივი (სოფ. თერჯოლა).
46. თეთრიწყაროს რაიონული სახელმწიფო არქივი (დაბა თეთრიწყარო).

47. თიანეთის რაიონული სახელმწიფო არქივი (სოფ. თიანეთი).
48. ტყიბულის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. ტყიბული).
49. ხაშურის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. ხაშური).
50. ხობის რაიონული სახელმწიფო არქივი (დაბა ხობი).
51. ცაგერის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. ცაგერი).
52. წალენჯიხის რაიონული სახელმწიფო არქივი (დაბა წალენჯიხა).
53. წალკის რაიონული სახელმწიფო არქივი (დაბა წალკა).
54. წითელწყაროს რაიონული სახელმწიფო არქივი (დაბა წითელწყარო).
55. წულუკიძის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. წულუკიძე).
56. ცხაკაიას რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. ცხაკაია).
57. წყალტუბოს რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. წყალტუბო).
58. ჩოხატაურის რაიონული სახელმწიფო არქივი (დაბა ჩოხატაური).
59. ჩხოროწყუს რაიონული სახელმწიფო არქივი (დაბა ჩხოროწყუ).

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში

60. აფხაზეთის ასსრ საოლქო სახელმწიფო არქივი (ქ. სოხუმი).
61. ტყვარჩელის საქალაქო სახელმწიფო არქივი (ქ. ტყვარჩელი).
62. სოხუმის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. სოხუმი).
63. ოჩამჩირის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. ოჩამჩირე).
64. გუდაუთის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. გუდაუთა).
65. გაგრის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. გაგრა).
66. გალის რაიონული სახელმწიფო არქივი (დაბა გალი).

აჭარის ასს რესპუბლიკაში

67. აჭარის ასსრ საოლქო სახელმწიფო არქივი (ქ. ბათუმი).
68. ბათუმის საქალაქო სახელმწიფო არქივი (ქ. ბათუმი).
69. ქობულეთის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. ქობულეთი).
70. ბათუმის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. ბათუმი).
71. ქედის რაიონული სახელმწიფო არქივი (დაბა ქედა).
72. ხულოს რაიონული სახელმწიფო არქივი (დაბა ხულო).
73. შუახევის რაიონული სახელმწიფო არქივი (სოფ. შუახევი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში

74. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო არქივი (ქ. სტალინირი).
75. სტალინირის რაიონული სახელმწიფო არქივი (ქ. სტალინირი).
76. ლენინგორის რაიონული სახელმწიფო არქივი (დაბა ლენინგორი).
77. ზნაურის რაიონული სახელმწიფო არქივი (დაბა ზნაური).
78. ჯავის რაიონული სახელმწიფო არქივი (სოფ. ჯავა).

97 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 26 აგვისტოს № 777 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 13 იანვრის № 45 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 26 აგვისტოს № 777 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას ცნობად, რომ გაუქმებულია:

ა) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1942 წლის 1 ოქტომბრის № 1609 დადგენილების მუხლი 9 (დებულება სათბობისა და თბოელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვისათვის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დაჯილდოების შესახებ);

ბ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 2 მარტის № 234 დადგენილება „წელთა ნამსახურობისათვის ერთდროული გასამრჯელოს და პროცენტული დანამატების გაცემის თაობაზე“ (სსრკ დადგ. კრ. 1957 წ. № 4, მუხ. 43) იმ ნაწილში, რომელიც ეხება წელთა ნამსახურობის ერთდროული გასამრჯელოს (პროცენტული დანამატების) მიცემას იმ მუშაკებისათვის, რომლებიც გადაყვანილი არიან შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 13 იანვრის № 45 დადგენილების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) „სათბობის მომჭირნეობის შესახებ“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1942 წლის 20 ნოემბრის № 1766 დადგენილების მე-4 მუხლის ქვეპუნქტი „ბ“;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 31 მაისის № 517 დადგენილება „სათბობის მომჭირნეობით ხარჯვისათვის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დაჯილდოების წესის შეცვლის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 28 ოქტომბერი, № 677

98 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 12 სექტემბრის № 834 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ

„სამამულო და საიმპორტო მოწყობილობის დაკრედიტების წესის შეცვლის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 10 ივლისის № 612 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 12 სექტემბრის № 834 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას ცნობად, რომ გაუქმებულია:

ა) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1945 წლის 2 იანვრის № 24 განკარგულება;

ბ) „საიმპორტო და სარეპარაციო მიწოდების გზით შემოსული მოწყობილობისა და საქონლის ღირებულების ასანაზღაურებლად სამინისტროებისა და უწყებებისათვის კრედიტების მიცემის წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 10 აგვისტოს № 305 დადგენილების 1 მუხლის ქვეპუნქტი „ა“;

გ) „იმპორტის წესით შემოსული სამონტაჟო მოწყობილობის

ღირებულების ასანაზღაურებლად გაცემულ სესხთა დავალიანების დაფარვის განვადების წესის ნაწილში სსრ კავშირის მინისტრების უფლებათა გაფართოების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 11 აპრილის № 1002 დადგენილების 50-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი;

დ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 12 მაისის № 5085 განკარგულება;

ე) „სსრ კავშირის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 16 ნოემბრის № 1980 დადგენილების მუხლი 26.

2. „სსრ კავშირის სამრეწველო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის 1958 წლის საფინანსო-საკრედიტო გეგმის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 4 თებერვლის № 62 დადგენილების მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში სიტყვები: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 10 აგვისტოს № 3050 დადგენილება შეიცვალოს სიტყვებით: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 10 აგვისტოს № 3050 და 1961 წლის 10 ივლისის № 612 დადგენილებანი“.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს ამ დადგენილების მე-3 მუხლის ქვეპუნქტი „ა“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 28 ოქტომბერი, № 678

99 საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორთა კადრებით უზრუნველყოფის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მასობრივი კვალიფიკაციის მექანიზატორების მომზადება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

მთელი რიგი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ტრაქტორისტების სიმცირეს განიცდიან. ამ მიზეზით ხშირია ტექნიკის გაცდენა, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები აგროტექნიკური ვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დების უხეში დარღვევით სრულდება, რაც მოსავლიანობის შემცირებას იწვევს.

ორცვლად მუშაობისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს აკლიათ 3.609 ტრაქტორისტი, ანუ საერთო მოთხოვნილების 28 პროცენტი, აქედან ტრაქტორის მართვის უფლება არა აქვს 2.836 კაცს, ანუ 30,5 პროცენტს.

წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს აკლიათ 132 ტრაქტორისტი, გორის — 100, საგარეჯოს — 84, ზუგდიდის — 52, აფხაზეთის ასსრ — 96, აჭარის ასსრ — 45, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს — 98 ტრაქტორისტი და სხვ.

სამტრედიის რაიონში 128 ტრაქტორისტიდან მართვის უფლება აქვს მხოლოდ 68 კაცს. ამ რაიონის ლენინისა და კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობებში ტრაქტორებზე ამუშავებენ რიგითს კოლმეურნეებს, რომლებსაც ხშირად ცვლიან.

წითელწყაროს რაიონის ლენინისა და ორჯონიკიძის სახელობის და სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობებში, აგრეთვე ელდარის საბჭოთა მეურნეობაში ტრაქტორისტების უყოლობის გამო გამცდარია 20 ტრაქტორი.

აღნიშნული მიზეზის გამო, რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ტრაქტორებს სრული დატვირთვით ვერ იყენებენ, დაბალია ცვლისა და სეზონური გამომუშავება.

ა/წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით საბჭოთა მეურნეობებში პირობითი ტრაქტორით გამომუშავებულია 119 ჰექტარი, კოლმეურნეობებში — 115 ჰექტარი რბილ ხვნაზე გადაყვანით.

ტრაქტორისტთა ხშირი დენადობის შედეგად ტრაქტორები და მანქანები მინდვრად მუშაობის დროს ტექნიკურად მოუვლელია, უგულებელყოფილია მანქანა-იარაღების წესიერი მოვლა-შენახვა, ადგილი აქვს ტექნიკის განკომპლექტების მრავალ ფაქტს.

რესპუბლიკა ყოველწლიურად დიდი რაოდენობით იღებს მძლავრ ტექნიკას, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შემოზიდულია 2.845 ახალი ტრაქტორი და ბევრი სხვა მანქანა-იარაღი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მომზადებულ მექანიზატორთა კონტინგენტი სისტემატურად მცირდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს მექანიზაციის სასწავლებლებში 1959 წელს მომზადდა 1.100 კაცი, 1960

წელს — 432 კაცი, 1962 წლისათვის კი უნდა მომზადდეს მხოლოდ 400 კაცი.

მექანიზატორთა კადრების მომზადებისადმი ასეთი არასერიოზული დამოკიდებულება ცუდ გავლენას ახდენს მემცენარეობასა და მეცხოველეობაში კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის, მუშახელის გათავისუფლებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და რაიაღმასკომებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლებისა და საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ მიიღონ სათანადო ზომები და უზრუნველყონ მასობრივი კვალიფიკაციის კადრების საჭირო რაოდენობით მომზადება-გადამზადება, რისთვისაც:

ა) ერთი დეკადის ვადაში შეამოწმონ ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორთა კადრებით (ტრაქტორისტები, სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირები, მემანქანეები, აღმრიცხველები და სხვ.) უზრუნველყოფის მდგომარეობა;

ბ) მიმდინარე წლის 1 დეკემბრამდე დაამთავრონ ტრაქტორისტთა ატესტაცია, არ დაუშვან ტრაქტორებზე იმ პირთა მუშაობა, რომელთაც არ გაუვლიათ ატესტაცია და არა აქვთ ტრაქტორის მართვის უფლება. ამავე ვადისათვის შეადგინონ ცალკეული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიხედვით მასობრივი კვალიფიკაციის მექანიზატორთა მომზადების 1962 წლის გეგმა, დანართის თანახმად.

გ) მექანიზატორთა შრომის ანაზღაურება აწარმოონ ცლის გამომუშავების ნორმების შესრულებისა და საატესტაციო კომისიის მიერ ტრაქტორისტისათვის დაწესებული კვალიფიკაციისა და მინიჭებული კლასის გათვალისწინებით;

დ) სისტემატურად მოაწყონ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ რაიონულ და სარაიონთაშორისო განყოფილებებთან და სამანქა-

ი-სამელიორაციო სადგურებთან ტრაქტორისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურს-სემინარები.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველომ:

ა) მასობრივი კვალიფიკაციის კადრების სწავლების გაუმჯობესების მიზნით, ყველა სასწავლებლებთან მოაწყოს სარემონტო სახელოსნოები;

ბ) მოსწავლე — მექანიზატორთა რაოდენობა რესპუბლიკის ყველა სასწავლებლებისათვის ყოველწლიურად განსაზღვრონ 1000 კაცით; პროფტექნიკური განათლების სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებულ მოსწავლეთა კონტინგენტის ფარგლებში;

გ) მოსწავლეთა პრაქტიკული ჩვევებით აღჭურვისა და ახალი ტექნიკის უკეთ გამოყენებისათვის წარმოადგინოს წინადადება სასწავლებლებთან ამჟამად არსებული სასწავლო მეურნეობების გაფართოების შესახებ იმ ვარაუდით, რომ თვითეულ მეურნეობას ჰქონდეს საწარმოო მიწის ნაკვეთი არა ნაკლები 100 ჰექტარისა.

3. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინოს მცირეძალოვან კოლმეურნეობათა ეკონომიური მდგომარეობა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოსთან ერთად წარმოადგინოს წინადადება მასობრივი კვალიფიკაციის კადრების სწავლებასთან დაკავშირებული ხარჯების სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურების შესაძლებლობის შესახებ.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ“ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა პროფესიული განათლების მთავარ სამმართველომ გაითვალისწინონ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სპეციფიურობა, ახალი ტექნიკის გამოყენების ზონალური თავისებურებანი და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად შეიმუშაონ ღონისძიებანი, რათა მექანიზატორთა კადრების სწავლების გაუმჯობესების მიზნით, მიმაგრებულ იქნას რაიონების ჯგუფი ცალკეულ სასწავლებლებზე.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ“ გაითვალისწინოს მექანიზაციის სასწავლებლების აღჭურვა უახლესი ტექნიკით და ყოველწლიურად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოყოს შესაძლებლობის ფარგლებში ტრაქტორები და მანქანა-იარაღები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს განაცხადით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუპავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაჭაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 30 ოქტომბერი, № 685

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 30 ოქტომბრის № 685 დადგენილების დანართი

გ ე გ მ ა

მასობრივი კვალიფიკაციის მექანიზატორთა მომზადებისა 1962 წლისათვის

რაიონების დასახელება	მოსამზადებელი კონტინგენტის რაოდენობა (კაცი)
1. ახალქალაქის	25
2. ახალციხის	15
3. ხაშურის	20
4. ქარელის	25
5. გორის	30
6. კასპის	30
7. საგარეჯოს	30
8. გურჯაანის	35
9. სიღნაღის	35
10. წითელწყაროს	30
11. თელავის	20
12. ახმეტის	20
13. ყვარლის	20
14. ლაგოდეხის	20
15. სამგორის	20
16. მცხეთის	30
17. მარნეულის	30
18. ბოლნისის	20
19. წალკის	20
20. დუშეთის	15
21. თეთრიწყაროს	20
22. დმანისის	10
23. თიანეთის	10
24. წყალტუბოს	15
25. სამტრედიის	15
26. ვანის	15
27. მაიაკოვსკის	15
28. ზესტაფონის	15
29. თერჯოლის	15
30. ჭიათურის	10
31. საჩხერის	10
32. ონის	10

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონების დასახელება	მოსამზადებელი კონტინგენტის რაოდენობა (კაცი)
33. ამბროლაურის	10
34. აბაშის	25
35. ცხაკაიას	25
36. გეგეჭკორის	15
37. ზუგდიდის	30
38. წალენჯიხის	10
39. ხობის	20
40. ჩხოროწყუს	20
41. მახარაძის	20
42. ლანჩხუთის	20
43. ჩოხატაურის	15
44. აფხაზეთის ასსრ	70
45. აჭარის ასსრ	20
46. სამხრეთ ოსეთის ა/ოლქი	50
სულ	1000

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

100 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიის (საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის) დებულებისა და ამ კომისიის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიის (სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის) დებულებისა და ამ კომისიის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 16 ოქტომბრის № 946 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიის (საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის) შესახებ.

2. დამტკიცდეს:

ა) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიის სტრუქტურა, დანართის თანახმად;

ბ) სახელმწიფო კონტროლის კომისიის საშტატო რიცხვი 65 ერთეულის (მომსახურე სამეურნეო პერსონალის ჩაუთვლელად) და აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო კონტროლის კომისიების ჯგუფების საშტატო რიცხვი — 14 ერთეულის რაოდენობით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიას შეადგინოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიას წარუდგინოს დასამტკიცებლად საშტატო განრიგი მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების სახელმწიფო კონტროლის კომისიების მუშაკთა იმ თანამდებობრივი განაკვეთების შესაბამისად, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 16 ოქტომბრის № 946 დადგენილებით, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების შესაბამისი ხარჯთაღრიცხვები იმ საშტატო რაოდენობის საფუძველზე, რაც დამტკიცებულია იმავე დადგენი-

ლებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 3 ნოემბერი, № 694.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 3 ნოემბრის № 694
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიის (საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის) შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისია შექმნილია თანახმად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 14 აგვისტოს ბრძანებულებისა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიის საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიად (საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლი) გარდაქმნის შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისია: საქართველოს სსრ მთავრობის სახელით შეამოწმებს მთავრობის მიერ სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა ფაქტიურად შესრულებას, ფულადი სახსრების, მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვაში და მათ მოვლა-შენახვაში სახელმწიფო დისციპლინის დაცვას; შეამოწმებს საერთო-საკავშირო ფონდში და სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების წესით მასალების, მოწყობილობის, სასურსათო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამრეწველო საქონლის მიწოდების მთავრობის მიერ დაწესებული გეგმების შესრულებას; კონტროლს გაუწევს აღრიცხვისა და სახელმწიფო ანგარიშგების მდგომარეობას; აწარმოებს ბრძოლას სახელმწიფო ანგარიშგებაში წამატებათა აღმოფხვრისათვის, მოტყუებისა და თვალისახვევის წინააღმდეგ, აგრეთვე კუთხურობისა და უწყებრივობის გამოხატულების, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ; შეამოწმებს მუშაობას მმართველობის სახელმწიფო აპარატის სრულყოფისა და მისი შენახვის ხარჯების შემცირებისათვის.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისია მუშაობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიის ხელმძღვანელობით და თავის საქმიანობაში ემორჩილება როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისე სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლსაც.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შეიქმნება სახელმწიფო კონტროლის ჯგუფები, რომლებიც თავიანთ მუშაობას ახორციელებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიის ხელმძღვანელობით.

იმისათვის, რომ გაძლიერდეს სახელმწიფო კონტროლის კომისიის კავშირურთიერთობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და უფრო ფართო მონაწილეობა მიიღონ მშრომელებმა საკონტროლო მუშაობაში, ქალაქ სოხუმში, ბათუმსა და სტალინირში შეიქმნება შტატგარეშე საზოგადოებრივ კონტროლიორთა ჯგუფები, რომლებიც მუშაობენ სახელმწიფო კონტროლის ადგილობრივი ჯგუფების დავალებითა და ხელმძღვანელობით.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სახელმწიფო კონტროლის ჯგუფებთან შეიქმნება საზოგადოებრივი საბჭოები საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და წარმოების მოწინავეებისაგან.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისია და მისი ადგილობრივი ორგანოები თავიანთ მუშაობას ატარებენ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში, ეყრდნობიან საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მასობრივ საზოგადოებრივ კონტროლს და ფართოდ იყენებენ შემოწმებისათვის მუშებს, კოლმეურნეებს, სპეციალისტებსა და მოსამსახურეებს.

5. სახელმწიფო კონტროლის ორგანოები შემოწმების ჩატარების დროს ადგილზე იღებენ ზომებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ამ მიზნით შემოწმების შედეგებს შეიტანენ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, კოოპერაციული ორგანიზაციების განსახილველად, ხოლო საჭირო შემთხვევებში განიხილავენ სამეურნეო აქტივზე, მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა კრებებზე და გააშუქებენ პრესაში. საქართველოს სსრ მთავრობის განსახილველად შეიტანენ მხოლოდ იმ საკითხებს, რომლებიც მთავრობის გადაწყვეტილებას საჭიროებენ.

სამინისტროების, უწყებების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები მოვალენი არიან დაუყოვნებლივ აღმოფხვრან გამოვლინებული დარღვევები და ნაკლოვანებანი და შედეგები აცნობონ სახელმწიფო კონტროლის შესაბამის ორგანოებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიას უფლება აქვს:

ა) აძლიოს საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა თანამდებობის პირებს მათთვის სავალდებულო მითითებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა და დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ, იმავდროულად აცნობოს ეს შესაბამისი სამინისტროების, უწყებებისა და სახალხო მეურნეობის საბჭოს ხელმძღვანელებს;

ბ) მიიღოს საბჭოთა და სამეურნეო აპარატის ხელმძღვანელთა და სხვა თანამდებობის პირთა მიმართ, რომლებიც ფუშავენ სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებას, არღვევენ სახელმწიფო დისციპლინას და უშვებენ საქმის გაჭიანურებას და ბიუროკრატიზმს, შემდეგი ზომები: დაადოს დამნაშავეებს დისციპლინური სასჯელი — მისცეს შენიშვნა, გამოუცხადოს საყვედური, სასტიკი საყვედური, აგრეთვე გადააყენოს თანამდებობიდან.

თანამდებობის პირებს, რომლებსაც ნიშნავენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისია თანამდებობიდან გადააყენებს შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თანხმობით.

ბოროტმოქმედების ან სხვა დანაშაულებრივი ქმედობის გამოვლინების შემთხვევებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სა-

ხელმწიფო კონტროლის კომისია მასალებს დამნაშავეთა მიმართ უგზავნის პროკურატურის ორგანოებს;

გ) დააკისროს, საქართველოს სსრ მთავრობის მიერ დამტკიცებული წესების შესაბამისად, ფულადი დანარიცხები თანამდებობის პირებს, რომლებმაც ზარალი მიაყენეს სახელმწიფოს, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციას;

დ) მოიწვიოს შემოწმებაში მონაწილეობისათვის ექსპერტებად საწარმოების, სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებისა და სხვა დაწესებულებათა სპეციალისტები და სხვა მცოდნე პირები, ხოლო საჭირო შემთხვევებში შექმნას საექსპერტო კომისიები;

ე) მოთხოვოს საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებსა და სხვა თანამდებობის პირებს დოკუმენტები და ახსნა-განმარტებანი საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის კომპენტენციაში შემავალ საკითხებზე.

7. შემოწმების პროცესში მყოფ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები მოვალენი არიან წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიის კონტროლიორებს მათს განკარგულებაში არსებული მთელი სტატისტიკური საანგარიშო მასალები და სხვა ცნობები, რომლებიც საჭიროა შემოწმების მსვლელობაში და შედიან სახელმწიფო კონტროლის ორგანოების კომპეტენციაში.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისია შეიქმნება შემდეგი შემადგენლობით: კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, თავმჯდომარის მოადგილეები და კომისიის წევრები, რომლებსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. კომისიის წევრთა შემადგენლობაში შედის პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის თითო წარმომადგენელი.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს სახელმწიფო კონტროლის ორგანოების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის, კადრების შერჩევისა და განაწილების, შესრულების შემოწმების განასახორციელებლად საჭირო მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს, სამუშაო გეგმებს, შემოწმების შედეგებს (საჭირო შემთხვევებში საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების გამოძახებით), მოისმენს კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისიის განყოფილებათა ხელმძღვანელების ანგარიშებს, აგრეთვე სახელმწიფო კონტროლის ჯგუფების ხელმძღვანელთა მოხსენებებს მათი მუშაობის შესახებ და განხილულ საკითხებზე მიიღებს შესაბამის დადგენილებებს.

10. სახელმწიფო კონტროლის ორგანოების შენახვა ხდება საკავშირო ბიუჯეტის ხარჯზე.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიის სტრუქტურას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიას აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 3 ნოემბრის № 694
დადგენილების დანართი

ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კონტროლის კომისიისა (საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლი)

მძიმე მრეწველობისა და მანქანათმშენებლობის საკითხების შემოწმების განყოფილება.

მშენებლობის, საშენ მასალათა, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის საკითხების შემოწმების განყოფილება.

სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა საკითხების შემოწმების განყოფილება.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, ვაჭრობის, ფინანსებისა და სახელმწიფო აპარატის მუშაობის საკითხების შემოწმების განყოფილება.

კულტურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხების შემოწმების განყოფილება.

მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების ბიურო.

საერთო განყოფილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო კონტროლის ჯგუფი აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში.

სახელმწიფო კონტროლის ჯგუფი აჭარის ასს რესპუბლიკაში.

სახელმწიფო კონტროლის ჯგუფი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

101 საკოლმეურნეო ბაზრებში ციტრუსოვანთა ნაყოფის გაყიდვის აკრძალვის შესახებ

„სახელმწიფო გეგმის შესრულებამდე საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ ხილისა და ბოსტნეულის გატანის აკრძალვის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 19 ივლისის № 455 დადგენილების დამატებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აეკრძალოთ კოლმეურნეობებს, სახელმწიფო ორგანიზაციებს, კოლმეურნეებსა და სხვა მოქალაქეებს 1961 წლის მოსავლის ციტრუსოვანთა ნაყოფის (მანდარინი, ფორთოხალი და ლიმონი) გაყიდვა საკოლმეურნეო ბაზრებზე მანამ, ვიდრე მთლიანად საქართველოს სს რესპუბლიკაში არ შესრულდება 1961 წლის მოსავლის ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების სახელმწიფო გეგმა.

2. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ, ბათუმის, ფოთისა და სოხუმის სავაჭრო ნავსადგურების უფროსებმა და სამოქალაქო და საჰაერო ფლოტის საქართველოს ტერიტორიულმა სამმართველომ არ დაუშვან ციტრუსოვანთა ნაყოფის გაგზავნა დამამზადებელი ორგანიზაციების (ცეკავშირი) და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა მეურნეობების მთავარ სამმართველოს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ტრესტის განრიგების გარეშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. დაევალოთ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს მკაცრი კონტროლი გაუწიონ ამ დადგენილების შესრულებას და გააძლიერონ ბრძოლა ციტრუსოვანთა ნაყოფის გადამყიდველების წინააღმდეგ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 3 ნოემბერი, № 689.

102 კოლექტიურ ბაღ-ვენახებად გამოყოფილი მიწის ნაკვეთების მუშა-მოსამსახურეთა ინდივიდუალური სარგებლობისათვის მიმაგრების გაუქმების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 18 სექტემბრის № 865 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ იმ მიწის ნაკვეთების მიწათმოსარგებლეები, რომლებიც საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს გამოეყოთ კოლექტიურ ბაღებად და ვენახებად, უნდა იყვნენ მუშა-მოსამსახურეთა მებაღეობის ამხანაგობანი და არა ცალკეული პირები.

ამასთან დაკავშირებით, არ მიემაგროთ მუშებსა და მომსახურეებს ინდივიდუალური სარგებლობისათვის მიწის ნაკვეთები კოლექტიურ ბაღებსა და ვენახებში.

2. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს გაატარონ საჭირო ღონისძიებანი კოლექტიურ ბაღ-ვენახებს შიგნით არსებული სამეჯნო ნიშნების გაუქმებისათვის და ამიერიდან არ დაუშვან მიწის ნაკვეთების მიმაგრება მუშა-მოსამსახურეებზე ინდივიდუალური სარგებლობისათვის კოლექტიურ ბაღებსა და ვენახებში.

წესრიგი დაამყარონ მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური მებაღეობის გაძღოლის საქმეში, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ

ბაღის გაშენებისა და მოვლის მთელი სამუშაოები უნდა სრულდებოდეს კოლექტიურად.

ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 1 იანვრამდე.

3. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის და საქართველოს პროფსაბჭოს მიერ წარმოდგენილი პროექტი ცვლილებებისა, რომლებიც შეტანილი იქნება საქართველოს სსრ მუშა-მოსამსახურეთა მებაღეობა-მევენახეობის ამხანაგობის ტიპობრივ წესდებაში და მისი საბოლოო განხილვა მოხდეს პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმების შემდეგ.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლის ან გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1961 წ. 5 ნოემბერი, № 697.

ეროვნული ბიბლიოთეკა

48.5/1

გამომცემი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველობა

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

შეკვეთა № 845